

სს „ლიბერთი ბანკი“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	1
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა.....	5
2. მომზადების საფუძველი.....	6
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	31
5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ.....	34
6. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.....	37
7. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ.....	38
8. მომხმარებლებზე გაცემული სესხები.....	39
9. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები.....	47
10. ძირითადი საშუალებები.....	49
11. არამატერიალური აქტივები.....	51
12. გადასახადით დაბეგვრა.....	51
13. სხვა აქტივები, ავანსები და სხვა ვალდებულებები.....	54
14. საკრედიტო ზარალის ხარჯი და სხვა გაუფასურება და ანარცხები.....	56
15. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე.....	57
16. ვალდებულებები კლიენტების მიმართ.....	57
17. სუბორდინირებული ვალი.....	58
18. საკუთარი კაპიტალი.....	58
19. პირობითი ვალდებულებები.....	62
20. წმინდა საკომისიო შემოსავალი.....	63
21. სხვა შემოსავალი.....	64
22. თანამშრომლებზე გაწეული და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები.....	65
23. რისკის მართვა.....	66
24. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები.....	89
25. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები.....	98
26. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში.....	100
27. კაპიტალის მართვა.....	101



**Building a better
working world**

EY LLC
Kote Abkhazi Street, 44
Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
Fax: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

შპს იუაი
საქართველო, 0105 თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
ფაქსი: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ლიბერთი ბანკის“ აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „ლიბერთი ბანკისა“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.



**Building a better
working world**

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები ის საკითხებია, რომლებიც, ჩვენი პროფესიული განსჯის საფუძველზე, ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნით მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში. ეს საკითხები მთლიანობაში განვიხილეთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში და აუდიტზე დაყრდნობით ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბებისას, შესაბამისად ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვხატავთ. განმარტება იმისა, თუ როგორ განვიხილეთ აღნიშნული საკითხი აუდიტის განმავლობაში, ქვემოთ წარმოდგენილია ჩვენივე აუდიტის კონტექსტში.

ჩვენ შევასრულეთ პასუხისმგებლობა, რომელიც დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“; აღნიშნული საკითხის ჩათვლით. შესაბამისად, ჩვენი აუდიტი მოიცავდა ისეთი პროცედურების ჩატარებასაც, რითაც შევაფასებდით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკებს, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ჩვენი აუდიტის პროცედურების, მათ შორის ქვემოთ მოცემული საკითხის განსახილველად ჩატარებული პროცედურების შედეგები, წარმოადგენს თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი აუდიტორული მოსაზრების საფუძველს.

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხი	როგორ მივუდექით ამ საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში
მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	
<p>ვინაიდან მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი მნიშვნელოვანია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობისთვის და ახლად მიღებული ფასს (IFRS) 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ („ფასს 9“) მიხედვით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა კომპლექსურია და განსჯას საჭიროებს, ეს საკითხი აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხად მივიჩნით.</p> <p>დანაკარგების გამო სესხების გაუფასურება გამოითვლება ერთდროულად კოლექტიური დარეზერვების მოდელითა და დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე ინდივიდუალური სასესხო რეზერვის შექმნით, და აგრეთვე რეგრესული საპროგნოზო შეფასებების საფუძველზე.</p>	<p>ჩვენ გავერკვიეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის პროცესში და ჩვენი მოდელირების სპეციალისტების დახმარებით შევაფასეთ ჯგუფის მიერ შემუშავებული მეთოდები. აუდიტის განმავლობაში, ძირითადად, შემდეგი საკითხები გავაანალიზეთ:</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ შევაფასეთ საკრედიტო რისკის მოდელები და დაშვებები, რომლებიც გამოყენებულია დარეზერვების ძირითადი პარამეტრების დადგენისა და თითოეული პორტფელისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისთვის; ▶ შევაფასეთ ხელმძღვანელობის განსჯა, რომელსაც იგი ეყრდნობა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ინდივიდუალურად და კოლექტიურად დადგენისას, რაოდენობრივ და ხარისხობრივ კრიტერიუმებზე დაყრდნობით; შევაფასეთ ხელმძღვანელობის მიერ შერჩეული კრიტერიუმების გამოყენების თანმიმდევრულობა საანგარიშგებო თარიღისთვის;



**Building a better
working world**

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხი	როგორ მივუდეთ ამ საკითხს ჩვენი აუდიტის განმალობაში
<p>კოლექტიური და ინდივიდუალური დარეზერვება დამოკიდებულია მთელ რიგ დაშვებასა და განსჯაზე. მაგალითად:</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელ მოდელში გამოყენებული სააღრიცხვო ინტერპრეტაციები და დაშვებები; ▶ სესხების გადანაწილება პირველ, მეორე და მესამე ეტაპებზე ფასს 9-ში წარმოდგენილი კრიტერიუმების მიხედვით; ▶ სხვადასხვა ეკონომიკური სცენარის გავლენის შეფასებაში გამოყენებული ამოსავალი მონაცემები და დაშვებები; ▶ დეფოლტის ალბათობის, დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების და დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების განსაზღვრა, უზრუნველყოფის საგნის შეფასების ჩათვლით, და ▶ ინდივიდუალურად დადგენილი რეზერვების შეფასება, მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადებისა და უზრუნველყოფის საგნის შეფასების ჩათვლით; ▶ ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნების სიზუსტე და ადეკვატურობა. <p>რეზერვის დადგენისას გამოყენებული განსჯისა და მოდელირების სხვადასხვა ხერხის გამო, დაშვებებმა და პროგნოზებმა შეიძლება განაპირობოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მნიშვნელოვნად განსხვავებული რეზერვი.</p> <p>მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების შესახებ ინფორმაცია შესულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის დართულ მე-8 შენიშვნაში „მომხმარებლებზე გაცემული სესხები“ და 23-ე შენიშვნაში „რისკის მართვა“.</p>	<ul style="list-style-type: none"> ▶ შევამოწმეთ სესხების გადანაწილება გაუფასურების შესაბამის ეტაპებზე ჯგუფის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის მეთოდოლოგიით წინასწარ დადგენილ კრიტერიუმებზე დაყრდნობით. <p>კოლექტიურად შეფასებული რეზერვის შესამოწმებლად, მოდელირების ჩვენი შიდა სპეციალისტების მხარდაჭერით შევადგინეთ საბაზისო სტატისტიკური მოდელები, მთავარი ამოსავალი მონაცემები და გამოყენებული დაშვებები და ასევე შევადგინეთ საპროგნოზო ინფორმაციის ჩართვა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშებაში. ჩვენ შემთხვევითობის პრინციპით შევარჩიეთ საკრედიტო რისკით მნიშვნელოვნად გაუფასურებული კორპორაციული კრედიტები და საფუძვლიანად შევამოწმეთ სამომავლო ფულადი ნაკადების შესახებ დაშვებები, უზრუნველყოფის საგნების ღირებულებისა და მოსალოდნელი შედეგების დადგომის ალბათობების ჩათვლით.</p> <p>შევადგინეთ მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების შესახებ განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.</p>



**Building a better
working world**

სხვა ინფორმაცია ასახულია ჯგუფის 2018 წლის წლიურ ანგარიშში.

სხვა ინფორმაცია გულისხმობს წლიურ ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. წლიური ანგარიშში ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თალღითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.



**Building a better
working world**

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვაღიარებთ ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.



**Building a better
working world**

- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.
- ▶ მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფარგლებში არსებული საწარმოებისა თუ ბიზნესოპერაციების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ კომპანიის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვაველეთ.

ამასთანავე, სამეთვალყურეო საბჭოს წარვუდგენთ წერილობით განცხადებას, რომ ვაკმაყოფილებთ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და ვატყობინებთ ყოველგვარი ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც გონივრულობის ფარგლებში შეიძლება ეჭვს იწვევდეს ჩვენი დამოუკიდებლობის შესახებ, და, თუ შესაძლებელია, წარმოვადგენთ შესაბამის გარანტიებს.

სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენილ საკითხებს შორის განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში და, შესაბამისად, სწორედ ისინი წარმოადგენს აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. აღნიშნულ საკითხებს აღვწერთ აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონით ან ნორმატიული აქტით არ არის აკრძალული საკითხის საჯაროობა, ან თუ, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, გადავწყვეტთ, რომ საკითხი არ უნდა აისახოს ჩვენს დასკვნაში, რადგან გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ამით გამოწვეული უარყოფითი შედეგები გადაწონის ამ ინფორმაციის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის სარგებელს.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის პარტნიორიც არის ოლეგ იუშენკოვი.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2019 წლის 14 მაისი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	392,899	464,402
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7	99,731	73,430
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	8	953,544	757,065
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	9	197,504	222,800
ძირითადი საშუალებები	10	128,936	132,582
არამატერიალური აქტივები	11	32,651	26,349
გადახდილი ავანსები	13	11,995	6,814
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი		2,568	-
მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივი	12	-	66
სხვა აქტივები	13	20,405	19,969
სულ აქტივები		1,840,233	1,703,477
ვალდებულებები			
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	15	8,213	6,497
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	16	1,482,249	1,346,288
მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		-	2,375
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	12	2,089	-
სხვა ვალდებულებები	13	29,194	25,231
სუბორდინირებული ვალი	17	48,122	105,753
სულ ვალდებულებები		1,569,867	1,486,144
საკუთარი კაპიტალი	18		
საწესდებო კაპიტალი		54,629	54,405
დამატებით შეტანილი კაპიტალი		35,558	34,300
გამოსყიდული აქციები		(10,138)	(10,454)
კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციები		4,565	6,139
გაუნაწილებელი მოგება		169,839	116,529
სხვა რეზერვები		15,913	16,414
სულ საკუთარი კაპიტალი		270,366	217,333
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,840,233	1,703,477

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ:

გიორგი კალანდარიშვილი

გენერალური დირექტორი

ლევან ლევიშვილი

ფინანსური დირექტორი

14 მაისი, 2019 წ.

5-102 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი			
მომხმარებლებზე გაცემული სესხები		266,334	270,897
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები		19,994	18,760
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		15,681	5,652
		302,009	295,309
საპროცენტო ხარჯი			
ვალდებულებები კლიენტების მიმართ		(111,669)	(100,030)
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე		(11)	(326)
სუბორდინირებული ვალი		(7,785)	(13,408)
		(119,465)	(113,764)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		182,544	181,545
საკრედიტო ზარალის ხარჯი	14	(35,820)	(37,897)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების რეზერვის ხარჯის შემდგომ		146,724	143,648
წმინდა საკომისიო შემოსავალი			
წმინდა შემოსულობა/(ზარალი) უცხოური ვალუტიდან:	20	22,998	26,885
- გარიგებებიდან		5,322	(34)
- საკურსო სხვაობებიდან		(695)	1,536
სხვა შემოსავალი	21	19,031	21,461
არასაპროცენტო შემოსავალი		46,656	49,848
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	22	(67,472)	(72,036)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	22	(33,095)	(35,050)
ცვეთა და ამორტიზაცია	10, 11	(21,723)	(20,894)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(5,883)	(6,795)
სხვა გაუფასურება და ანარიცხების შემობრუნება	14	218	79
არასაპროცენტო ხარჯი		(127,955)	(134,696)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე		65,425	58,800
მოგების გადასახადის ხარჯი	12	(8,225)	(5,786)
წლის მოგება		57,200	53,014
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		57,200	53,014
მოგება ერთ აქციაზე:	18		
- საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე (ლ-ში მთლიანი თანხა)		0.01260	0.01166
- განზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე (ლ-ში მთლიანი თანხა)		0.01257	0.01166

5-102 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	ბანკის აქციონერთათვის განკუთვნილი						
	სააქციო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	გამოსყი- დული აქციები	კონვერტი- რებადი პრივილე- გირებული აქციები	გაუნაწი- ლებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
31 დეკემბერი, 2016 წ.	54,233	34,300	(10,454)	6,139	84,224	16,789	185,231
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	-	-	53,014	-	53,014
გადაფასების რეზერვის ცვეთა (18 შენიშვნა)	-	-	-	-	335	(335)	-
გაყიდული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (18 შენიშვნა)	-	-	-	-	-	(40)	(40)
ჩვეულებრივ აქციებზე გადახდილი დივიდენდები (18 შენიშვნა)	-	-	-	-	(20,000)	-	(20,000)
კონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებზე გადახდილი დივიდენდები (18 შენიშვნა)	-	-	-	-	(1,044)	-	(1,044)
საწესდებო კაპიტალის გამოშვება (18 შენიშვნა)	172	-	-	-	-	-	172
31 დეკემბერი, 2017 წ.	54,405	34,300	(10,454)	6,139	116,529	16,414	217,333
ფასს 9-ის გამოყენების გავლენა (3 შენიშვნა)	-	-	-	-	(3,439)	-	(3,439)
ფასს 9-ის მიხედვით გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი	54,405	34,300	(10,454)	6,139	113,090	16,414	213,894
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	-	-	57,200	-	57,200
გადაფასების რეზერვის ცვეთა (18 შენიშვნა)	-	-	-	-	325	(325)	-
გაყიდული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (18 შენიშვნა)	-	-	-	-	-	(176)	(176)
კონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებზე გადახდილი დივიდენდები (18 შენიშვნა)	-	-	-	-	(776)	-	(776)
აქციების გარდაქმნა (18 შენიშვნა)	-	1,258	316	(1,574)	-	-	-
საწესდებო კაპიტალის გამოშვება (18 შენიშვნა)	224	-	-	-	-	-	224
31 დეკემბერი, 2018 წ.	54,629	35,558	(10,138)	4,565	169,839	15,913	270,366

5-102 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	<i>შენიშვნა</i>	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი		264,533	353,985
გადახდილი პროცენტი		(147,792)	(113,333)
მიღებული საკომისიო		31,003	34,646
გადახდილი საკომისიო		(8,060)	(7,459)
უცხოურ ვალუტებში განხორციელებული ოპერაციებიდან რეალიზებული წმინდა შემოსულობა		7,685	5,313
ჩამოწერილი აქტივების აღდგენა	8, 13	4,400	2,079
სხვა მიღებული შემოსავალი		18,335	20,097
გადახდილი ხელფასები და თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები		(66,830)	(70,195)
ზოგადი, ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო დანახარჯები		(40,835)	(40,519)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		62,439	184,614
<i>საოპერაციო აქტივების წმინდა (ზრდა)/კლება</i>			
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		(26,025)	17,592
მომხმარებლებზე გაცემული სესხები		(192,825)	(224,387)
გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები		(6,117)	(6,285)
<i>საოპერაციო ვალდებულებების წმინდა ზრდა/(კლება)</i>			
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე		1,617	(15,488)
ვალდებულებები კლიენტების მიმართ		152,547	61,744
სხვა ვალდებულებები		6,991	3,986
საოპერაციო საქმიანობაში (გამოყენებული)/ მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადით დაბეგრამდე		(1,373)	21,776
გადახდილი მოგების გადასახადი		(10,408)	(5,746)
საოპერაციო საქმიანობაში (გამოყენებული)/საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(11,781)	16,030
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
შემოსულობა გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვიდან		-	1,060
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შექმნა		(128,930)	(144,130)
შემოსულობა საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვიდან		153,002	167,768
არამატერიალური აქტივებისა და მირითადი საშუალებების შექმნა		(27,590)	(23,323)
შემოსავალი მირითადი საშუალებების გაყიდვიდან		458	115
შემოსულობა დასაკუთრებული ქონების გაყიდვიდან		-	400
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		(3,060)	1,890
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
საწესდებო კაპიტალის გამოშვებით მიღებული შემოსავალი	18	224	172
შემოსავალი სუბორდინირებული სესხიდან	17	66,051	11,331
სუბორდინირებული ვალის დაფარვა	17	(122,196)	-
ჩვეულებრივი აქციების მფლობელებისთვის გადახდილი დივიდენდები	18	-	(20,000)
კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციების მფლობელებისთვის გადახდილი დივიდენდები	18	(776)	(1,044)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		(56,697)	(9,541)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		35	(6,864)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა		(71,503)	1,515
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	6	464,402	462,887
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლო	6	392,899	464,402

5-102 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

სს „ლიბერთი ბანკი“ (შემდგომში „ბანკი“) არის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე 1993 წელს ჩამოყალიბებული სააქციო საზოგადოება. ბანკი საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში „სებ“) მიერ 1993 წლის 10 თებერვალს გაცემული #3500/10 ზოგადი საბანკო ლიცენზიის საფუძველზე.

2017 წლის 13 ოქტომბერს European Financial Group B.V.-მა (იუროფიან ფაინანშალ გრუპ ბივი) (შემდგომში „EFG“), რომელიც ნიდერლანდების სამეფოს კანონმდებლობის მიხედვით დაფუძნებული და მოქმედი კომპანიაა, შეისყიდა ჯგუფის საკუთარი კაპიტალის 74.64%-იანი სააქციო წილი. ბანკის საბოლოო ბენეფიციარული მფლობელები არიან ირაკლი რუხაძე, ბენ მარსონი და იგორ ალექსევი.

ბანკი იღებს ანაბრებს მოსახლეობისგან, გაცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, აწარმოებს ვალუტის გაცვლით ოპერაციებს და თავის საცალო და კორპორატიულ კლიენტებს სთავაზობს სხვადასხვა საბანკო მომსახურებას. მისი სათავო ოფისი მდებარეობს საქართველოს დედაქალაქ თბილისში და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილი იყო საქართველოში მოქმედი 444 ფილიალით, სერვისცენტრით, სადისტრიბუციო ცენტრითა და მობილური სერვის ცენტრს (2017 წლის 31 დეკემბერი: 645). ბანკის იურიდიული მისამართია ლიბერთი თაუერი, საქართველო, 0162 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი #74.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის მიმოქცევაში არსებული ჩვეულებრივი აქციების 5%-ზე მეტს ფლობდნენ შემდეგი აქციონერები. დანარჩენი აქციონერებიდან თითოეული ჩვეულებრივი აქციების 5%-ზე ნაკლებს ფლობდა.

აქციონერი	2018		2017	
	წილობრივი მონაწილეობა, %	ხმის უფლება, %	წილობრივი მონაწილეობა, %	ხმის უფლება, %
European Financial Group B.V.	61.18%	75.00%	60.46%	74.64%
ლიბერთი ბანკი (გამოსყიდული აქციები)	18.43%	–	19.00%	–
სს „Heritage Securities“ (ნომინალური მფლობელი)	13.98%	17.13%	6.27%	7.74%
BNY Limited (ნომინალური მფლობელი)	–	–	6.96%	8.59%
სხვა აქციონერები (რომელთაგან თითოეული ფლობს აქციათა 5%-ზე ნაკლებს)	6.41%	7.87%	7.31%	9.03%
სულ	100.00%	100.00%	100.00%	100.00%

ბანკი წარმოადგენს საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებულ კომპანიას და მისი ჩვეულებრივი აქციები განთავსებულია საქართველოს საფონდო ბირჟაზე. მიმოქცევაში არსებულმა აქციებმა 2018 წლის 31 დეკემბრისთვის 24.1% შეადგინა (2017 წლის 31 დეკემბერი: 24.0%).

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა ბანკის აქციონერთა მიერ. აქციონერებს უფლება აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებები შეიტანონ გამოშვების შემდეგ.

(ათას ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა (გაგრძელება)

ბანკი წარმოადგენს ჯგუფის (შემდგომში „ჯგუფი“) მშობელ კომპანიას, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში კონსოლიდირებულ შემდეგ საწარმოებს:

სახელწოდება	რეგისტრაციის ქვეყანა	ჯგუფის მფლობელობაში არსებული წილი		დაფუძნების თარიღი	საქმიანობა
		31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.		
მპს „Bus Stop“	საქართველო	100.00%	100.00%	27 აგვისტო, 2009 წ.	გარე სარეკლამო მომსახურება
სს „სმარტექსი“*	საქართველო	21.47%	21.47%	5 იანვარი, 2009 წ.	ადრეულ ეტაპზე განხორციელებული ინვესტიციები სარისკო კაპიტალში

* ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში ეს აღრიცხულია კაპიტალ-მეთოდით.

2018 წლის დეკემბერში ჯგუფმა გააუქმა თავისი შვილობილი კომპანია – LBF Luxemburg S.A., რომელიც წლების განმავლობაში უმოქმედო იყო.

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად.

ბანკი და მისი შვილობილი კომპანიები ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ ფასს-ის შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, წარმოებული ინსტრუმენტების საინვესტიციო ქონების, შენობა-ნაგებობების და გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდების გარდა, ქვემოთ წარმოდგენილი ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკის მიხედვით.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში („ლ“), თითო აქციის ღირებულების გარდა, და თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ჯგუფმა პირველად გამოიყენა ფასს (IFRS) 15 და ფასს (IFRS) 9. ახალი სააღრიცხვო სტანდარტების მიღება შემდეგი ხასიათისა და გავლენის მქონე ცვლილებებს განაპირობებს.

ჯგუფმა პირველად გამოიყენა გარკვეული სტანდარტების ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ჯგუფს ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული. ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ თითოეული ცვლილების ხასიათსა და გავლენას:

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

ფასს(IFRS) 9 ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ჯგუფს არ გადაუანგარიშებია 2017 წლის შედარებადი ინფორმაცია ფასს 9-ის მოქმედების არეალში მოქცეული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის. ამიტომ 2017 წლის შედარებადი ინფორმაცია გაცხადებულია ბასს 39-ის შესაბამისად და არ ედრება 2018 წლისთვის წარმოდგენილ ინფორმაციას. ფასს 9-ის მიღების შედეგად წარმოშობილი სხვაობები პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაშია აღიარებული 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და მოცემულია ქვემოთ:

(ა) კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით, ყველა სავალო ფასიანი ქაღალდი, რომელიც არ აკმაყოფილებს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის“ (SPPI) კრიტერიუმს, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში. ამ კრიტერიუმის თანახმად, სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც არ შეესაბამება „დაკრედიტების ძირითად სქემას“, მაგალითად, ინსტრუმენტები, რომლებიც შეიცავს კონვერტაციის ჩართულ ოფციონს ან „რეგრესის უფლების არმქონე სესხები“ ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. სავალო ფინანსური აქტივების შემთხვევაში, რომლებიც აკმაყოფილებს SPPI კრიტერიუმს, თავდაპირველი აღიარებისას მათი კლასიფიკაცია განისაზღვრება იმ ბიზნესმოდელის საფუძველზე, რომლითაც იმართება ეს ინსტრუმენტები:

- ▶ ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით;
- ▶ ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით“, ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში;
- ▶ ინსტრუმენტები, რომლებიც იმართება სხვა საფუძველზე, მათ შორის სავაჭრო ფინანსური აქტივები, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

წილობრივი ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირებული უნდა იქნეს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ხდება ინსტრუმენტების შეუქცევადი კლასიფიცირება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში. სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით კლასიფიცირებული კაპიტალის ინვესტიციების შემთხვევაში, ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი, გარდა დივიდენდის სახით შემოსვლისა, აღიარებული უნდა იქნეს სხვა სრულ შემოსავალში, მოგებაში ან ზარალში შემდგომი გადატანის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება მეტწილად უცვლელი რჩება და არ განსხვავდება არსებული ბასს 39-ის მოთხოვნებისგან. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები კვლავაც შეფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები აღარ არის გამიჯნული დაკავშირებული ფინანსური აქტივისგან.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

(ბ) გაუფასურება

ფასს 9-ის მიღებამ საფუძვლიანად შეცვალა ჯგუფის მიერ სესხის გაუფასურების აღრიცხვა, რადგან ბასს 39-ის განცდილი ზარალის მიდგომა ჩანაცვლა საპროგნოზო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომით. 2018 წლის 1 იანვრიდან ყველა სესხსა და სხვა სავალო ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც არ არის აღრიცხული სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVPL), ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების რეზერვს აღრიცხავს სასესხო ვალდებულებებთან და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებთან ერთად. ფასს 9-ის მიხედვით, წილობრივი ინსტრუმენტები არ ექვემდებარება გაუფასურებას.

რეზერვი ეყრდნობა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც უკავშირდება მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას, თუ სესხის გაცემის შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივის განმარტებას, მაშინ რეზერვი დაეყრდნობა აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებას. ჯგუფის გაუფასურების დარიცხვის მეთოდი განხილულია 0 შენიშვნაში. ფასს 9-ის გამოყენების რაოდენობრივი გავლენა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ, (გ) თავში.

(გ) ფასს 9-ზე გადასვლის ეფექტი

ქვედა ცხრილში წარმოდგენილია ფასს 9-ის მიღების გავლენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და გაუნაწილებელ მოგებაზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მათ შორის ბასს 39-ის მიხედვით გაწეული საკრედიტო ზარალის გაანგარიშების ფასს 9-ის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით ჩანაცვლების ეფექტი.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

ბასს 39-ის მიხედვით საბალანსო ღირებულებების და ფასს 9-ის მიხედვით გაცხადებული ნაშთების 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეჯერების შედეგი ასეთია:

	ბასს 39-ის მიხედვით შეფასება		ბელაბალი შეფასება			ფასს 9	
	კატეგორია	თანხა	რეკლასი- ფიკაცია	მოსალოდ- ნელი საკრე- დიტო ზარალი	სხვა	თანხა	კატეგორია
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	L&R ¹	464,402	-	(3)	-	464,399	ამორტი- ზებული ღირებუ- ლება
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	L&R	73,430	-	(140)	-	73,290	ამორტი- ზებული ღირებუ- ლება
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	L&R	152,425	70,375	(1,096)	-	221,704	ამორტი- ზებული ღირებუ- ლება
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	HTM ²	70,375	(70,375)	-	-	-	ამორტი- ზებული ღირებუ- ლება
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	L&R	757,065	(608)	(6,609)	3,802	753,650	ამორტი- ზებული ღირებუ- ლება
მომხმარებლებზე გაცემული სესხები (ა)	L&R	-	608	-	-	608	FVPL
წარმოებული ფინანსური აქტივები	FVPL	104	-	-	-	104	FVPL
გადავადებული საგადასახადო აქტივები	-	66	-	607	-	673	-
სხვა აქტივები	-	185,610	-	-	-	185,610	-
სულ აქტივები		1,703,477	-	(7,241)	3,802	1,700,038	-
ანარიცხები		215	-	-	-	215	-
მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		2,375	-	-	-	2,375	-
ყველა სხვა ვალდებულება		1,483,554	-	-	-	1,483,554	-
სულ ვალდებულებები		1,486,144	-	-	-	1,486,144	-
ფასს 9-ის მიღების ეფექტი		-	-	(7,241)	3,802	-	

¹ L&R: სესხები და მისაღები ანგარიშები.

² HTM: დაფარვის ვადამდე ფლობილი.

A 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ჯგუფმა ანალიზის შედეგად დაადგინა, რომ კლიენტებზე გაცემული გარკვეული სესხები არ აკმაყოფილებდა SPPI კრიტერიუმს. ამიტომ ეს სესხები, რომლებიც მანამდე ამორტიზებული ღირებულებით იყო შეფასებული, ჯგუფმა მიაკუთვნა სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კატეგორიას, მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVPL).

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

ფასს 9-ზე გადასვლის გავლენა რეზერვებსა და გაუნაწილებელ მოგებაზე ასეთია:

	<i>რეზერვები და გაუნაწილებელი მოგება</i>
გაუნაწილებელი მოგება	
საბოლოო ნაშთი ბასს 39-ის მიხედვით (2017 წლის 31 დეკემბერი)	116,529
ფასს 9-ის მიხედვით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება	(4,046)
გადავადებული გადასახადი ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით	607
ფასს 9-ის მიხედვით გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი (2018 წლის 1 იანვარი)	113,090
მთლიანი ცვლილება საკუთარ კაპიტალში ფასს 9-ის მიღების გამო	(3,439)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში სესხებზე შესაძლო დანაკარგების საწყისი საერთო ნაშთი ბასს 39-ის მიხედვით და ანარიცხები სასესხო ვალდებულებების და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისთვის ბასს 37-ის „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ მიხედვით შეჯერებულია ფასს 9-ის მიხედვით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვთან.

	<i>სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვი / ბასს 39-ის / ბასს 37-ის მიხედვით შექმნილი ანარიცხები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>		<i>ხელახალი შეფასება</i>	<i>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასს 9-ის მიხედვით 2018 წლის 1 იანვარს</i>
გაუფასურების რეზერვი შემდეგისთვის:				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	–	3		3
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	–	140		140
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სესხები და მისაღები ანგარიშები	109,486	6,609		116,095
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფასიანი ქაღალდები ბასს 39-ის მიხედვით / ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ფასს 9-ის მიხედვით	–	346		346
სესხები და მისაღები ანგარიშები ბასს 39-ის მიხედვით / ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ფასს 9-ის მიხედვით	–	750		750
	109,486	7,848		117,334

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 15 „შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“

2014 წლის მაისში გამოცემული და 2016 წლის აპრილში შეცვლილი ფასს 15 და განსაზღვრავს ხუთეტიპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. თუმცა, სტანდარტი არ ეხება ფინანსურ ინსტრუმენტებთან და იჯარასთან დაკავშირებულ შემოსავალს, და ამიტომ არ ახდენს გავლენას ჯგუფის შემოსავლის ძირითად ნაწილზე, მათ შორის საპროცენტო შემოსავალზე, ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებიდან მიღებულ შემოსულობაზე/(ზარალზე), საიჯარო შემოსავალზე, რომლებზეც ვრცელდება ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ და ბასს 17 „იჯარა“. ამის შედეგად, ჯგუფის შემოსავლის დიდ ნაწილზე ამ სტანდარტის მიღება გავლენას არ ახდენს.

ფასიკ (IFRIC) ინტერპრეტაცია 22 „ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად“

ინტერპრეტაციის თანახმად, წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც საწარმო თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის არაერთი წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, საწარმომ თანხის თითოეული წინასწარი გადახდისთვის ან მიღებისთვის ცალკე უნდა განსაზღვროს ოპერაციის თარიღი. ინტერპრეტაცია გავლენას არ ახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს 40-ში „საინვესტიციო ქონების გადატანა“

ცვლილებები განმარტავს, როდის უნდა გადაიტანოს საწარმომ ქონება, მათ შორის სამშენებლო ან მოწყობითი სამუშაოების პროცესში მყოფი ქონება, საინვესტიციო ქონებაში ან საინვესტიციო ქონებიდან. ცვლილებების მიხედვით, მიზნობრიობის ცვლილება ხდება მაშინ, როდესაც ქონება აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების განმარტებას და არსებობს დანიშნულების შეცვლის მტკიცებულება. მხოლოდ ხელმძღვანელობის მიერ ქონების ექსპლუატაციის განზრახვის შეცვლა არ წარმოადგენს ქონების დანიშნულების შეცვლისთვის საკმარის მტკიცებულებას. ამ ცვლილებებს გავლენას არ აქვს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს (IAS) 28-ში „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ – განმარტება, რომ ინვესტიციის ობიექტების სამართლიანი ღირებულებით შეფასება მოგებაში ან ზარალში ასახვით თითოეული ინვესტიციის შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა მოხდეს

ცვლილებების მიხედვით, საწარმოს, რომელიც არის სარისკო კაპიტალის ორგანიზაცია ან სხვა ნებადართული საწარმო, შეუძლია სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში შეაფასოს მისი ინვესტიცია მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში თითოეული ინვესტიციის შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას, მათი ინდივიდუალურად განხილვის საფუძველზე. თუ საწარმო, რომელიც თვითონ არ არის საინვესტიციო საწარმო, ფლობს წილს მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში, რომელიც საინვესტიციო საწარმოა, მას შეუძლია, კაპიტალ-მეთოდის გამოყენებისას არჩიოს სამართლიანი ღირებულებით შეფასების შენარჩუნება, რომელსაც იყენებს ეს საინვესტიციო მეკავშირე თუ ერთობლივი საწარმო საინვესტიციო მეკავშირე თუ ერთობლივი საწარმოს წილის მიმართ შვილობილ კომპანიებში. ეს არჩევანი კეთდება ინდივიდუალურად თითოეული საინვესტიციო მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, მომდევნო თარიღებიდან უგვიანესით: (ა) საინვესტიციო მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს თავდაპირველი აღიარება; (ბ) მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს გარდაქმნა საინვესტიციო საწარმოდ; და (გ) საინვესტიციო მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს გარდაქმნა მშობელ კომპანიადა. ამ ცვლილებებს გავლენას არ აქვს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანიები, ანუ საწარმოები, რომლებიც ჯგუფის მიერ კონტროლდება, კონსოლიდირებულია. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო. კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ▶ ჯგუფს აქვს ინვესტიციის ობიექტზე ზეგავლენა (ანუ ამჟამინდელი უფლებები მას საშუალებას აძლევს, ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა მართოს).
- ▶ ჯგუფი იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება.
- ▶ შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

გაგრძელებული მოსაზრებით, ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობა კონტროლის უფლებას იძლევა. ამ მოსაზრების შესაბამისად, თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე აქვს თუ არა გავლენა, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ▶ ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან საკონტრაქტო გარიგება/გარიგებები.
- ▶ სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან მიღებული უფლებები.
- ▶ ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები.

შვილობილი კომპანიები კონსოლიდირდება ჯგუფის კონტროლის უფლების წარმოშობიდან და მათ აღარ გააჩნიათ აღნიშნული სტატუსი კონტროლის შეწყვეტისას. ყველა შიდაჯგუფური გარიგება, ნაშთები და არარეალიზებული შემოსულობა ჯგუფის კომპანიებს შორის შემდგარი გარიგებებიდან სრულად გაიქვითება; ასევე გაიქვითება არარეალიზებული ზარალი ამ გარიგებებიდან გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარიგება ასახავს გადაცემული აქტივის გაუფასურებას. საჭიროების შემთხვევაში, შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა შეცვლილია ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

შვილობილი კომპანიის საკუთარ კაპიტალში წილის შეცვლა, კონტროლის შეცვლის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება. ზარალი მიეწერება არასაკონტროლო პაკეტს მაშინაც კი, თუ ეს ბალანსის დეფიციტს იწვევს.

თუ ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, ის ჩამოწერს შვილობილი კომპანიის აქტივებს (გუდვილის ჩათვლით) და ვალდებულებებს, უმცირესობის წილის საბალანსო ღირებულებას, საკუთარ კაპიტალში ასახულ ჯამურ საკურსო სხვაობებს; ასახავს მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას, ნებისმიერი ინვესტიციის სამართლიან ღირებულებას და მოგებაში და ზარალში დეფიციტს ან მეტობას, ასევე მოახდენს მშობელი კომპანიის კომპონენტების წილის რეკლასიფიკაციას მოგებასა და ზარალზე, რაც უწინ აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

მეკავშირე საწარმოები წარმოადგენენ კომპანიებს, რომლებშიც ჯგუფი ზოგადად ფლობს ხმის უფლების 20%-დან 50%-მდე, ან სხვაგვარად შესწევს უნარი მოახდინოს მნიშვნელოვანი ზემოქმედება, მაგრამ რომელსაც ის არ აკონტროლებს ან სხვა პირთან ერთად აკონტროლებს. მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციები იანგარიშება კაპიტალ-მეთოდით და თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, გუდვილის ჩათვლით. შემდგომი ცვლილებები საბალანსო ღირებულებაში ასახავს მეკავშირე საწარმოში ჯგუფის წმინდა აქტივების წილში შესყიდვის შემდგომ მომხდარ ცვლილებებს. მეკავშირე საწარმოების მოგება-ზარალში ჯგუფის წილი აისახება მოგებაში ან ზარალში, ხოლო რეზერვებში მისი გადაადგილების წილი აისახება სხვა სრულ შემოსავალში. თუმცა, როდესაც ჯგუფის ზარალის წილი მეკავშირე საწარმოში უტოლდება ან აღემატება მის წილს მეკავშირე საწარმოში, ჯგუფი არ ასახავს შემდგომ დანაკარგებს, თუ ის ვალდებული არ არის შემდგომი გადახდების განხორციელებაზე მეკავშირე საწარმოში ან მისი სახელით.

არარეალიზებული შემოსულობა ჯგუფსა და მის მეკავშირე საწარმოებს შორის გარიგებებზე იქვითება მეკავშირე საწარმოთა კაპიტალში ჯგუფის წილის მოცულობით. არარეალიზებული ზარალიც იქვითება, თუ გარიგება არ ასახავს გადაცემული აქტივის გაუფასურებას.

სამართლიანი ღირებულებით შეფასება

ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც აღრიცხულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVPL) და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და არაფინანსურ აქტივებს, მაგ. საინვესტიციო ქონებას აფასებს სამართლიანი ღირებულებით ყოველი საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღისთვის.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე სახარბიელო ბაზარი ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

ჯგუფი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად – არასაბაზრო მონაცემებს.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულებით შეფასება (გაგრძელება)

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- ▶ დონე 3 – ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

ჯგუფი განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

პირველადი აღიარება

აღიარების თარიღი

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფმა აქტივების ან ვალდებულებების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

თავდაპირველი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია მათ სახელშეკრულებო პირობებზე და ამ ინსტრუმენტების მართვის ბიზნესმოდელზე. ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, მაგრამ როდესაც ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, მაშინ ამ თანხას ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

2018 წლის 1 იანვრიდან ჯგუფი ყველა თავისი ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას ახდენს ამ აქტივების მართვის ბიზნესმოდელისა და სახელშეკრულებო პირობების მიხედვით და აფასებს შემდეგიდან ერთ-ერთით:

- ▶ ამორტიზებული ღირებულება;
- ▶ სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- ▶ სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

*(ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****თავდაპირველი შეფასება (გაგრძელება)**

ჯგუფი თავისი წარმოებული ინსტრუმენტების პორტფელის კლასიფიკაციას და შეფასებას ახდენს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ჯგუფმა შეიძლება ფინანსური ინსტრუმენტები აღრიცხოს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, თუ ეს აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად შეამცირებს შეფასების ან აღიარების არათანმიმდევრულობას.

2018 წლის 1 იანვრამდე ჯგუფი თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენდა სესხებად და მისაღებ ანგარიშებად (ამორტიზებული ღირებულება), სამართლიანი ღირებულებით შეფასებულად, მოგებაში ან ზარალში ასახვით, გასაყიდად გამიზნულად ან დაფარვის ვადამდე ფლობილად (ამორტიზებული ღირებულება).

ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, თუ ისინი ვაჭრობისთვისაა გამიზნული, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, ან სამართლიანი ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, კლიენტებზე გაცემული სესხები, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ამორტიზებული ღირებულებით

2018 წლის 1 იანვრამდე მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ და მომხმარებლებზე გაცემული სესხები მოიცავდა არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყო კოტირებული აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ აქტივებისა:

- ▶ რომლებსაც ჯგუფი უპირებს დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში გაყიდვას;
- ▶ რომლებსაც ჯგუფი თავდაპირველი აღიარებისას მიაკუთვნებს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახულის ან გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას;
- ▶ რომლებზეც ჯგუფმა შეიძლება მთლიანად არ ამოიღოს თავდაპირველი ინვესტიცია ამა თუ იმ მიზეზით, გარდა კრედიტის გაუფასურების მიზეზისა, და რომლებიც მიეკუთვნება გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას.

2018 წლის 1 იანვრიდან ჯგუფი მხოლოდ მაშინ აფასებს ამორტიზებული ღირებულებით მოთხოვნებს საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, მომხმარებლებზე გაცემულ სესხებს და სხვა ფინანსურ ინვესტიციებს, თუ ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ▶ ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანიც არის ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად;
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს (SPPI).

ამ პირობების შესახებ უფრო დაწვრილებით მოცემულია ქვემოთ.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ბიზნესმოდელის შეფასება

ჯგუფი თავის ბიზნესმოდელს იმ დონეზე განსაზღვრავს, რომ საუკეთესოდ ასახავს იმას, თუ როგორ მართავს ის ფინანსური აქტივების ჯგუფებს თავისი ბიზნესამოცანების მისაღწევად.

ჯგუფი ბიზნესმოდელი თითოეული ინსტრუმენტისთვის კი არ ფასდება, არამედ უფრო მაღალ, აგრეგირებული პორტფელის, დონეზე და ეყრდნობა ისეთ დაკვირვებად (ემპირიულ) ფაქტორებს, როგორც არის, მაგალითად:

- ▶ როგორ ხდება ბიზნესმოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში არსებული ფინანსური აქტივების შეფასება და ანგარიშგება საწარმოს ხელმძღვანელობის ზედა რგოლისთვის;
- ▶ რისკები, რომლებიც მოქმედებს ბიზნესმოდელის ეფექტურობაზე (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში არსებულ ფინანსურ აქტივებზე) და, კერძოდ, როგორ იმართება ეს რისკები;
- ▶ როგორ ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება ეყრდნობა თუ არა მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ან ამოღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს);
- ▶ ჯგუფის შეფასების მნიშვნელოვანი ასპექტებია ასევე გაყიდვების მოსალოდნელი სიხშირე, ოდენობა და დრო.

ბიზნესმოდელის შეფასება ეყრდნობა გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებს, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფულადი ნაკადების რეალიზაცია ჯგუფის თავდაპირველი მოლოდინისგან განსხვავებულად ხდება, ჯგუფი ამ ბიზნესმოდელის დანარჩენი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას კი არ ცვლის, არამედ ამ ინფორმაციას ითვალისწინებს მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება

კლასიფიკაციის პროცესის მეორე ეტაპზე ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში (მაგალითად, თუ მოხდა ძირითადი თანხის დაფარვა ან პრემიის/დისკონტის ამორტიზაცია).

პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტები საკრედიტო ხელშეკრულებებში, როგორც წესი, არის ფულის დროითი ღირებულების ანაზღაურება და საკრედიტო რისკი. მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების შესაფასებლად ჯგუფი ეყრდნობა განსჯას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორებიცაა ვალუტა, რომელშიც გამოხატულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი.

ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

*(ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)***ფინანსური გარანტიები, აკრედიტივები და სესხების გაცემის ვალდებულებები*

ჯგუფი გასცემს ფინანსურ გარანტიებს, აკრედიტივებსა და სესხების გაცემის ვალდებულებებს.

ფინანსური გარანტიები თავდაპირველად აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებებში სამართლიანი ღირებულებით, და წარმოადგენს მიღებულ პრემიას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ჯგუფის ვალდებულებები თითოეული გარანტიისთვის ფასდება შემდეგ ორ მაჩვენებელს შორის უმეტესით: თავდაპირველად აღიარებული თანხა, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით, რომელიც აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში და გარანტიის შედეგად წარმოშობილი ფინანსური ვალდებულების დასაფარად საჭირო ხარჯის ყველაზე ზუსტი პროგნოზი ბასს 37-ის მიხედვით, (2018 წლის 1 იანვრამდე) ან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ფასს 9-ის მიხედვით (2018 წლის 1 იანვრიდან).

სესხების გაცემის ვალდებულება და აკრედიტივები ისეთი ვალდებულებებია, რომელთა მიხედვითაც, ნაკისრი ვალდებულების ვადის განმავლობაში ჯგუფს ევალება სესხის გაცემა მომხმარებლისთვის წინასწარ დადგენილი პირობებით. ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებების ანალოგიურად, ბასს 39-ის მიხედვით ანარიცხები იქმნებოდა წამგებიანი ხელშეკრულებების შემთხვევაში, მაგრამ 2018 წლის 1 იანვრიდან ასეთ ხელშეკრულებებს შეეხო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით ანარიცხების შემქნის მოთხოვნები.

ვალდებულების შესრულების გარანტია

ვალდებულების შესრულების გარანტია არის კონტრაქტი, რომელიც ითვალისწინებს კომპენსაციას, თუ მეორე მხარე ვერ შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებას. ვალდებულების შესრულების გარანტიით საკრედიტო რისკი არ გადაიცემა. ვალდებულების შესრულების გარანტიის კონტრაქტების მიხედვით რისკი არის იმის ალბათობა, რომ მეორე მხარე ვერ შესრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებას. შესაბამისად, ვალდებულების შესრულების გარანტიები არ ჩაითვლება ფინანსურ ინსტრუმენტებად და, ამრიგად, არ ექვევება ფასს 9-ის მოქმედების არეალში.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

2018 წლის 1 იანვრამდე არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც აქვთ ფიქსირებული ან განსაზღვრადი დაფარვის გრაფიკი და ფიქსირებული ვადა, კლასიფიცირდა, როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილი ფასიანი ქაღალდები, თუ ჯგუფს აქვს დაფარვის ვადამდე მათი ფლობის სურვილი და შესაძლებლობა. ეს კლასიფიკაცია არ მოიცავდა განუსაზღვრელი ვადის მქონე ინვესტიციებს. ვადამდე ფლობილი ინვესტიციები შემდეგ ამორტიზებული ღირებულებით შეფასდა. შემოსულობის და ზარალის აღიარება მოხდა მოგებაში ან ზარალში ინვესტიციების გაუფასურებისას და ასევე ამორტიზაციის პროცესში.

სესხები და მისაღები ანგარიშები

2018 წლის 1 იანვრამდე სესხები და მისაღები ანგარიშები იყო ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდების მქონე არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც კოტირებული არ იყო აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ იყო განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისთვის, და არ იყო კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად გამოზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. ასეთი აქტივები აღირიცხებოდა ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდებოდა მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდებოდა სესხებისა და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტა ან გაუფასურება, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფული და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის, ეროვნული ბანკისადმი მოთხოვნების (სავალდებულო რეზერვების გამოკლებით) და საკრედიტო დაწესებულებებისადმი მოთხოვნებისაგან, რომელთაც აქვთ გამოცემიდან 90 დღის ვადა და თავისუფალნი არიან საკონტრაქტო ვალდებულებებისაგან.

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

ჩვეულებრივი საქმიანობისას ჯგუფი სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში ინარჩუნებს ავანსებსა თუ დეპოზიტებს სხვა ბანკებში. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების თანხა აისახება გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობის ფარგლებში ჯგუფი ახორციელებს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებით ოპერაციებს, რომლებშიც ძირითადი წილი უკავია სავალუტო ფორვარდებსა და სვოპებს სავალუტო გაცვლით და კაპიტალის ბაზრებზე. ასეთი ფინანსური ინსტრუმენტები გამიზნულია სავაჭროდ და აისახება სამართლიანი ღირებულებით. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული საბაზრო ფასდადებით ან ფასწარმოქმნის მოდელის შესაბამისად, სადაც გათვალისწინებულია ამ ინსტრუმენტის მიმდინარე საბაზრო და საკონტრაქტო ფასი და სხვა ფაქტორები. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აისახება აქტივებად, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და ვალდებულებებად, როცა მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. ამ ინსტრუმენტებიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი აისახება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც წმინდა შემოსულობა/(ზარალი) სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ინსტრუმენტებიდან ან როგორც წმინდა შემოსულობა/(ზარალი) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან ინსტრუმენტის ხასიათიდან გამომდინარე.

2019 წლის 1 იანვრიდან ფასს 9-ის შემოდების შემდეგ ჯგუფი ასე აღრიცხავს ფინანსურ ვალდებულებებში და არაფინანსურ ძირითად ხელშეკრულებებში ჩართულ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ბიზნესმოდელისა და SPPI შეფასებების საფუძველზე.

ნასესხები სახსრები

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება ვალდებულებების სახით მაშინ, როდესაც მფლობელის წინაშე საკონტრაქტო გარიგებების შედეგად ჯგუფს წარმოეშობა ვალდებულება, რომ გადაიხადოს ფული ან ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვაგვარად დააკმაყოფილოს ეს ვალდებულება, გარდა განსაზღვრული ფულადი თანხის ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის სანაცვლოდ საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების განსაზღვრული რაოდენობის მიღებისა. ეს ინსტრუმენტები მოიცავს ვალდებულებებს საკრედიტო დაწესებულებების და მეანაბრეების წინაშე, გამოშვებულ სასესხო ფასიან ქაღალდებსა და სუბორდინირებულ ვალს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ხდება ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

თუ ჯგუფი შეისყიდის საკუთარ სესხს, მას ამოიღებენ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან, ხოლო სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საფასურს შორის აღირიცხება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

იჯარა

i. საოპერაციო იჯარა – ჯგუფი, როგორც მოიჯარე

აქტივების იჯარა, რომელთან მიმართებაშიც მფლობელობის რისკებიც და სარგებელიც მეიჯარის ხელშია, კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად. საოპერაციო იჯარის საიჯარო თანხები აისახება წრფივი მეთოდით, როგორც ხარჯი იჯარის პერიოდში და შესულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

ii. საოპერაციო იჯარა – ჯგუფი, როგორც მეიჯარე

ჯგუფი საოპერაციო იჯარის აქტივებს წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივების ხასიათის მიხედვით. საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება სხვა შემოსავლის სახით იჯარის ვადის განმავლობაში დარიცხვის წრფივი მეთოდით. მოიჯარისათვის წამახალისებელ ფაქტორებზე ჯამური დანახარჯის აღიარება ხდება, როგორც საიჯარო შემოსავლის წრფივი მეთოდით შემცირება იჯარის ვადის განმავლობაში. საოპერაციო იჯარიდან შემოსავლების მიღების თავდაპირველი პირდაპირი ხარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი. ეს არ ეხება ძირითად საკლირინგო ხელშეკრულებებს და დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები მთლიანად წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

რესტრუქტურირებული სესხები

საჭიროების შემთხვევაში ჯგუფი ახდენს სესხების რესტრუქტურირებას ნაცვლად იმისა, რომ დაისაკუთროს უზრუნველყოფის საგანი. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს დაფარვის პირობების გაუმჯობესებას და სესხის ახალი პირობების შეთანხმებას.

2018 წლის 1 იანვრიდან ჯგუფი ფინანსური აქტივის, მაგალითად, მომხმარებელზე გაცემული სესხის, აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც მოლაპარაკების შედეგად პირობები იმდენად შეიცვალა, რომ საქმე არსებითად ახალ სესხთან გვაქვს, სხვაობის აღიარება კი ხდება აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობის ან ზარალის სახით, თუ გაუფასურების ზარალი უკვე ბუღალტრულად აღრიცხული არ არის. ახლად აღიარებული სესხების კლასიფიცირება ხდება 1-ელ ეტაპად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნებისთვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ახალი სესხი ითვლება შეძენილ ან შექმნილ გაუფასურებულ სესხად. იმის შეფასებისას, უნდა მოხდეს თუ არა მომხმარებელზე გაცემული სესხის აღიარების შეწყვეტა, სხვა ფაქტორებთან ერთად, ჯგუფი შემდეგსაც ითვალისწინებს:

- ▶ სესხის ვალუტის ცვლილება;
- ▶ კონტრაქტის შეცვლა;
- ▶ თუ მოდიფიკაცია იმგვარია, რომ ინსტრუმენტი აღარ დააკმაყოფილებდა SPPI კრიტერიუმს.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

რესტრუქტურისებული სესხები

თუ მოდიფიკაცია არსებითად არ შეცვლის ფულად ნაკადებს, იგი არ გამოიწვევს აღიარების შეწყვეტას. თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ფულად ნაკადებში მომხდარ ცვლილებას ჯგუფი აღრიცხავს, როგორც მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს, რომელიც წარმოდგენილია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გამოთვლილ საპროცენტო შემოსავალში, თუ უკვე არ არის აღრიცხული გაუფასურების ზარალი.

ჯგუფის პოლიტიკის თანახმად, პროდუქტების მხოლოდ შეზღუდული რაოდენობა ექვემდებარება რესტრუქტურისაციას. ყველა რესტრუქტურისებული სესხი კლასიფიცირებულია მე-2 ეტაპის სესხებად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად მათზე ვრცელდება აქტივის არსებობის მთელ მანძილზე დეფოლტის ალბათობის მაჩვენებლები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება ბასს 39-ის მიხედვით

2018 წლის 1 იანვრამდე ჯგუფი თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებდა, ხომ არ არსებობდა ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი თუ ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად მიიჩნეოდა მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობდა რაიმე მოვლენით (ან მოვლენებით) გამოწვეული გაუფასურების არსებობის ობიექტური მტკიცებულება, რომელიც (რომლებიც) დადგა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ (გაწეული „ზარალის დადგომის შემთხვევა“) და ზარალის დადგომის შემთხვევა (ან შემთხვევებს) გავლენა ჰქონდა ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელი იყო. გაუფასურების მტკიცებულება შეიძლება ყოფილიყო იმის ნიშნები, რომ მსესხებელი ან მსესხებელთა ჯგუფი განიცდიდა მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არ იხდიდა ან აგვიანებდა სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდას, არსებობდა გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებდა მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორცაა ცვლილებები ვადაგადაცილებული გადახდების დონეში ან ეკონომიკურ პირობებში, რომლებსაც უკავშირდება ვალდებულებების შეუსრულებლობა. გასაყიდად გამიზნული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, გაუფასურების ნიშანი ასევე არის ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი შემცირება მის თვითღირებულებაზე ნაკლებ ოდენობამდე.

ჯგუფი ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი აქტივების შემთხვევაში, ინდივიდუალურად, ხოლო ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე აქტივების შემთხვევაში, კოლექტიურად აფასებდა, არსებობდა თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება ბასს 39-ის მიხედვით (გაგრძელება)

გაუფასურების ზარალის წარმოშობის ობიექტური მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, ზარალის თანხა აღრიცხვობდა, როგორც სხვაობა აქტივების საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის (გარდა მომავალში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, რომელიც ჯერ არ დამდგარა), რომელიც დისკონტირდებოდა თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ან, გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, როგორც სხვაობა ინვესტიციის თვითღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის. აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდებოდა და ზარალის თანხის აღიარება ხდებოდა მოგებაში ან ზარალში. საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა გრძელდებოდა შემცირებულ საბალანსო ღირებულებაზე აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ან, გასაყიდად გამიზნულ ფინანსური აქტივების შემთხვევაში, იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომლითაც ხდება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირება გაუფასურების ზარალის შეფასების მიზნით. აქტივები, თავიანთ რეზერვთან ერთად ჩამოიწერებოდა მაშინ, როდესაც მათი ამოღება აღარ იყო რეალურად მოსალოდნელი, ხოლო უზრუნველყოფა მთლიანად იყო რეალიზებული ან ჯგუფისთვის გადაცემული. თუ მომდევნო წელს სავარაუდო გაუფასურების ზარალის თანხა მცირდებოდა გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარი მოვლენის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი შემობრუნდებოდა მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, გარდა გასაყიდად გამიზნული კაპიტალის ინვესტიციებისა, რომელთა შემთხვევაშიც, მათი სამართლიანი ღირებულების ზრდა გაუფასურების შემდეგ აღიარდებოდა სხვა სრულ შემოსავალში.

გაუფასურების კოლექტიურად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია ჯგუფის პროდუქტების მონიტორინგის შიდა სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საკრედიტო რისკის ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა აქტივის ტიპი, სექტორი, უზრუნველყოფის ტიპი, ვადაგადაცილების სტატუსი და სხვა.

გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განისაზღვრა მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის შესაბამისად. ისტორიული ზარალის გამოცდილება დაკორექტირდა არსებული ემპირიული მონაცემების მიხედვით, რათა აესახა დღევანდელი პირობების ეფექტი, რომელიც არ მოქმედებდა იმ წლებზე, საიდანაც მიღებულია ისტორიული ზარალის გამოცდილება და უგულებელყოფილიყო წინა პერიოდში არსებული იმ პირობების ეფექტი, რომელიც დღეისათვის აღარ არსებობს. სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო ცვლილებები ასახავდა და უკავშირდებოდა წლიდან წლამდე შესაბამის ემპირიულ მონაცემებში მომხდარ ცვლილებებს (როგორიცაა უმუშევრობის განაკვეთი, უძრავი ქონების ფასი, საქონლის ფასი, გადახდისუნარიანობა და სხვა ფაქტორები, რომლებიც ჯგუფში განცდილი ზარალის ან მისი მასშტაბის განმსაზღვრელი იყო). რეგულარულად ხდებოდა სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების იმ მეთოდოლოგიის და დაშვებების გადახედვა, რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით, რათა შემცირებულიყო სხვაობა მოსალოდნელ და ფაქტობრივ ზარალს შორის.

ფასს 9-ის მიხედვით გაუფასურების შეფასების შესახებ ინფორმაცია 0 შენიშვნაშია წარმოდგენილი.

*(ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა***ფინანსური აქტივები*

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ▶ ამოიწერა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ▶ ჯგუფმა (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე, ჯგუფის მიერ აქტივის აღიარება ხდება მონაწილეობის შენარჩუნების პირობით. მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით

ჩამოწერები

2018 წლის 1 იანვრიდან ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ან ნაწილობრივ, ან მთლიანად მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფი შეწყვეტს მათი ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდეგ გამოიქვითება საერთო საბალანსო ღირებულებიდან. ყოველგვარი შემდგომი ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

გადასახადით დაბეგვრა

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოიანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული საგადასახადო ხარჯების ჯამს. ის წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული გადასახადის ხარჯების ჯამს.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გადასახადით დაბეგვრა (გაგრძელება)

გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ საფუძველსა და მათ საბალანსო თანხებს შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა გუდვილის პირველადი აღიარებიდან ან აქტივისა და ვალდებულებიდან იმ გარიგებაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ საგადასახადო მოგება-ზარალზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღრიცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც შესაძლებელი იქნება გამოსაქვითი დროებითი სხვაობების გაქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღრიცხება საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულების დაფარვის პერიოდში იმ განაკვეთებზე დაყრდნობით, რომლებიც მოქმედებდა ან არსებითად ამოქმედებული იყო ანგარიშგების დღეს.

გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილია დროებით სხვაობებზე, რომლებიც წარმოიშობა ინვესტიციებიდან შვილობილ კომპანიებში, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლოა გაკონტროლებულ იქნას დროებითი სხვაობის აღდგენის დრო და ახლო მომავალში მათი აღდგენა არ არის მოსალოდნელი.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფის საქმიანობაზე. ეს გადასახადები შესულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები, შენობების გამოკლებით, აღრიცხულია თვითღირებულებით, გარდა ყოველდღიური მომსახურების ხარჯებისა, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო თანხების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო თანხის აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

თვითღირებულებით პირველადი აღიარების შემდგომ, შენობა-ნაგებობები აისახება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღისათვის გამოკლებული შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. შეფასება ტარდება იმ სიხშირით, რაც საკმარისია იმის უზრუნველსაყოფად, რომ გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან.

გადაფასების დღისთვის დაგროვილი ცვეთა აკლდება აქტივის საბალანსო ღირებულებას და წმინდა თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული ღირებულების ოდენობით. გადაფასების ნებისმიერი მეტობა კრედიტდება სხვა სრულ შემოსავლებში ჩართული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება მანამდე მოგებაში ან ზარალში აღიარებული ამავე აქტივის გადაფასებისას მისი ოდენობის შემცირების აღდგენა. ამ შემთხვევაში მატების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეფიციტი, რომელიც უშუალოდ გაქვითავს ამავე აქტივზე უწინ აღიარებულ მეტობას, პირდაპირ გაიქვითება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის მეტობიდან.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან წლიური გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე ხდება აქტივის გადაფასებული საბალანსო ღირებულების ცვეთასა და აქტივის თავდაპირველი ღირებულების ცვეთას შორის სხვაობით. გაყიდვისას კონკრეტულ აქტივთან დაკავშირებული მთლიანი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, შემდეგი წლიური განაკვეთებით:

მიწა და შენობა-ნაგებობები	2%-5%
ავეჯი და მოწყობილობები	10%-20%
კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა	15%-25%
სატრანსპორტო საშუალებები	20%-25%
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	10%-25%

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

მიწა სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება და ცვეთა არ ერიცხება. საიჯარო ქონების გაუმჯობესება ამორტიზდება შესაბამისი იჯარით აღებული აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადაზე.

დაუსრულებელი მშენებლობა მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ძირითადი საშუალების მშენებლობას, მათ შორის მშენებლობის დროს გაწეული შესაბამისად განაწილებული პირდაპირი ცვლადი ხარჯები და ფიქსირებული ზედნადები ხარჯები. ასეთი აქტივების ცვეთა, მსგავსი ძირითადი საშუალების ანალოგიურად, იწყება აქტივის ექსპლუატაციაში მიღებიდან.

მესამე მხარეებისგან მიღებული კომპენსაცია ძირითადი საშუალებების იმ ერთეულებისთვის, რომლებიც გაუფასურდა, დაიკარგა ან გადაცემულ იქნა, შედის სხვა შემოსავალში, როდესაც კომპენსაციის ვალდებულებას მესამე მხარე აღიარებს.

საინვესტიციო ქონება

ჯგუფი გარკვეულ ქონებას ფლობს საინვესტიციო ქონების სახით, საიჯარო შემოსავლის მისაღებად, კაპიტალის ღირებულების ზრდისთვის ან ორივე მიზნით, და მათი გამოყენება ან ფლობა არ ხდება ჩვეულებრივი საქმიანობის პრობებში გაყიდვის მიზნით. საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით და შემდეგ ხელმეორედ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ასახავს საბაზრო პირობებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. ჯგუფის საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სხვადასხვა წყაროს საფუძველზე, მათ შორის დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშების მიხედვით, რომლებსაც აქვთ აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და ანალოგიური ადგილმდებარეობისა და კატეგორიის ქონების შეფასების გამოცდილება. გამომუშავებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში არასაბანკო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შეცვლის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში და მიეკუთვნება სხვა შემოსავლის ან სხვა საოპერაციო ხარჯების მუხლებს.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა განსაზღვრული ვადით ფასდება. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო ეკონომიკური მომსახურების ვადის – 1-10 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა.

საპენსიო და სხვა ვალდებულებები

ჯგუფს არა აქვს ცალკე საპენსიო სქემა საქართველოს სახელმწიფო საპენსიო სისტემის გარდა. ჯგუფს ასევე არა აქვს გათვალისწინებული საპენსიო შეღავათები.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი და დამატებით შეტანილი კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები საკუთარ კაპიტალად არის კლასიფიცირებული. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარე ხარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციებისა, აღრიცხულია საკუთარი კაპიტალის შემოსავლებიდან გამოქვითვების სახით. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

გამოსყიდული აქციები

როდესაც ბანკი შეიძენს ბანკის აქციებს, გადახდილი საფასური და ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ხარჯები (მოგების გადასახადის გამოკლებით) გამოიქვითება მთლიანი საკუთარი კაპიტალიდან, როგორც გამოსყიდული აქციები მათ გაუქმებამდე ან ხელახლა გამოშვებამდე. შემდგომში ასეთი აქციების გაყიდვის ან ხელახლა გამოშვების შემთხვევაში ხდება მიღებული საფასურის ჩართვა საკუთარ კაპიტალში. გამოსყიდული აქციები ასახულია საშუალო შეწონილი ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ანგარიშგება სეგმენტების მიხედვით

სეგმენტების მიხედვით ანგარიშგება ეფუძნება შემდეგ საოპერაციო სეგმენტებს: საცალო საბანკო მომსახურების, კორპორაციული და მცირე და საშუალო საწარმოების მომსახურების, კერძო საბანკო მომსახურების და კორპორაციული ცენტრის ფუნქციები.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

2018 წლის 1 იანვრიდან ჯგუფი გამოითვლის საპროცენტო შემოსავალს სავალო ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ფინანსური აქტივების (გარდა გაუფასურებული საკრედიტო აქტივებისა) საერთო საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით (2018 წლის 1 იანვრამდე: ფინანსური აქტივების ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით). ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც მომავალში მოსალოდნელი გადახდილი და მიღებული ფულადი სახსრების ზუსტ დისკონტირებას ახდენს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელ ვადაზე ან, როცა შესაძლებელია, უფრო ხანმოკლე პერიოდზე, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ ჯგუფი გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და ცვლილება საბალანსო ღირებულებაში აღირიცხება საპროცენტო შემოსავლად ან ხარჯად.

როდესაც ფინანსური აქტივი უფასურდება, ჯგუფი გამოითვლის საპროცენტო შემოსავალს ფინანსური აქტივის წმინდა ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ფინანსური აქტივები გამოსწორდა და აღარ არის გაუფასურებული, მაშინ ჯგუფი უბრუნდება საპროცენტო შემოსავლის გამოთვლას ბრუტოს საფუძველზე.

შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, ჯგუფი საპროცენტო შემოსავალს გამოითვლის საკრედიტო რისკის მიხედვით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიღებით და ამ განაკვეთის გამოყენებით აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე. საკრედიტო რისკის მიხედვით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომელით, თავდაპირველი აღიარებისას, ახდენს მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების (საკრედიტო ზარალის ჩათვლით) დისკონტირებას შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული აქტივების ამორტიზებულ ღირებულებამდე.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ყველა ფინანსური აქტივიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით აღირიცხება „სხვა საპროცენტო შემოსავალში“ მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

მიღებული გასამრჯელო და საკომისიო

ჯგუფი იღებს შემოსავალს გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან მომხმარებლებისთვის გაწეული სხვადასხვა სახის მომსახურების სანაცვლოდ. შემოსავალი გასამრჯელოდან შესაძლოა დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

► *გარკვეულ პერიოდში გაწეული მომსახურებისთვის მიღებული გასამრჯელო*

გარკვეულ პერიოდში გაწეული მომსახურებისთვის მიღებული გასამრჯელო დაირიცხება პერიოდის განმავლობაში, შესაბამისი ვალდებულებების შესრულებისთანავე. მასში საკომისიო შემოსავალიც შედის. სასესხო ვალდებულებები, რომლებიც სავარაუდოდ ჩამოიწერება და სხვა საკრედიტო თანხები გადავადებულია (ყველა ზღვრულ ხარჯთან ერთად) და აღიარებულია, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება.

► *დროის გარკვეულ მომენტში მიღებული საკომისიო შემოსავალი*

ანგარიშსწორების, ფულადი გზავნილების, ქვითრების გადახდების და საკასო ოპერაციებიდან მიღებული საკომისიოს აღიარება ხდება შესაბამისი ოპერაციის დასრულებისთანავე. თითოეული ოპერაცია აღირიცხება, როგორც ცალკე შესასრულებელი სახელშეკრულებო მოვალეობა.

► *საოპერაციო მომსახურებიდან მიღებული საკომისიო შემოსავალი*

მოლაპარაკებების წარმოებისთვის ან მესამე მხარისთვის გარიგების თაობაზე მოლაპარაკებებში მონაწილეობისთვის – მაგალითად, როდესაც ჯგუფის სახელშეკრულებო ვალდებულება არის აქციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ან ზიზნესების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები) მიღებული გასამრჯელო აისახება ამ გარიგების დასრულებისთანავე. საკომისიო და საკომისიოს ის კომპონენტები, რომლებიც უკავშირდება გარკვეულ სახელშეკრულებო ვალდებულებებს, აისახება შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ. როდესაც კონტრაქტი ითვალისწინებს ცვალებად ანაზღაურებას, გასამრჯელოსა და საკომისიო შემოსავლის აღიარება ხდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არსებობს იმის ალბათობა, რომ აღიარებული ჯამური შემოსავლის თანხის მნიშვნელოვანი შემობრუნება არ მოხდება მანამ, სანამ საბოლოოდ გაირკვევა ცვალებად ანაზღაურებასთან დაკავშირებული გაურკვეველობა.

შემოსავალი დივიდენდებიდან

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როცა ჯგუფს განესაზღვრება თანხების მიღების უფლება.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ბანკისა და მისი შვილობილი კომპანიების სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ხელახლა კონვერტაცია ლარში ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი – საკურსო სხვაობა. იმ არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი გარიგების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, გადაანგარიშდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებულ შემოსულობას გამოკლებული ზარალის მუხლში.

2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფმა შემდეგი გაცვლითი კურსი გამოიყენა:

	<i>2018</i>	<i>2017</i>
ლ / 1 აშშ დოლარი	2.6766	2.5922
ლ / 1 ევრო	3.0701	3.1044

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასს (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა – სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის – „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

*(ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)**

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორც ბასს 17-ის მიხედვით და გამიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს 16, რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, მოიჯარეებს და მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა.

ჯგუფი ფასს 16-ის მიღებას აპირებს რეტროსპექტულად, ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენების ჯამური (კუმულაციური) ეფექტით, რომელიც აღიარებულია თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის. ჯგუფი გადაწყვეტს სტანდარტის გამოყენებას იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე, ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის გამოყენებით, იჯარებად განისაზღვრებოდა. ამიტომ ჯგუფი არ გამოიყენებს სტანდარტს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე არ განისაზღვრებოდა იჯარის შემცველად ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის გამოყენებით.

ჯგუფი გადაწყვეტს სტანდარტით გათვალისწინებული გამონაკლისების გამოყენებას იმ საიჯარო კონტრაქტებზე, რომელთა მიხედვითაც, იჯარის ვადა მთავრდება 12 თვეში თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის, და აგრეთვე იმ საიჯარო კონტრაქტებზე, რომელთა საბაზისო აქტივი დაბალი ღირებულებისაა. ჯგუფს იჯარით აქვს აღებული გარკვეული საოფისე აღჭურვილობა (პერსონალური კომპიუტერები, პრინტერები, ქსეროქსის აპარატები და სხვა), რომელთა ღირებულება დაბალია.

ბანკი ამჟამად აფასებს ფასს 16-ის მიღების გავლენას, მაგრამ ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის არ მოელის, რომ ამ სტანდარტს რამე გავლენა ექნება მის საკუთარ კაპიტალზე.

ფასიკ (IFRIC) 23-ის ინტერპრეტაცია – „მოგების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებული გაურკვეველობა“

ინტერპრეტაცია ეხება მოგების გადასახადების აღრიცხვას ისეთ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო დაბეგვრა შეიცავს გაურკვეველობას, რაც გავლენას ახდენს ბასს 12-ის გამოყენებაზე. იგი არ ვრცელდება ბასს 12-ის მოქმედების არეალის მიღმა მყოფ გადასახადებზე და მოსაკრებლებზე, ამასთან იგი არ მოიცავს კონკრეტულ მოთხოვნებს გაურკვეველობის შემცველ საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებული ჯარიმებისა თუ საურავების შესახებ. ინტერპრეტაცია კონკრეტულად მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ▶ საწარმო ინდივიდუალურად განიხილავს თუ არა გაურკვეველი საგადასახადო დაბეგვრის წესებს;
- ▶ დაშვებები, რომლებსაც საწარმო აკეთებს საგადასახადო ორგანოების მიერ გამოყენებული საგადასახადო დაბეგვრის წესების შემოწმების შესახებ;
- ▶ როგორ განსაზღვრავს საწარმო დასაბეგრ მოგებას (საგადასახადო ზარალს), საგადასახადო ბაზებს, გამოუყენებელ საგადასახადო ზარალს, გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტებს და საგადასახადო განაკვეთებს;
- ▶ როგორ განიხილავს საწარმო ცვლილებების შეტანას ფაქტებსა და გარემოებებში.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

საწარმომ უნდა განსაზღვროს, გაურკვევლობის შემცველი თითოეული საგადასახადო დაბეგვრის შემთხვევა ცალკე განიხილოს, თუ გაურკვევლობის შემცველ ერთ ან მეტ საგადასახადო დაბეგვრასთან ერთად. ამას უნდა მოჰყვეს მიდგომა, რომელიც უკეთესად ახდენს გაურკვევლობის გადაწყვეტის პროგნოზირებას. ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, თუმცა მასზე გადასვლის გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს. ჯგუფი ინტერპრეტაციას გამოიყენებს მისი ძალაში შესვლის თარიღიდან. ვინაიდან ჯგუფი საქმიანობს მრავალი ქვეყნის რთულ საგადასახადო გარემოში, ინტერპრეტაციის გამოყენებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. გარდა ამისა, ჯგუფს შეიძლება დასჭირდეს პროცესებისა და პროცედურების შემუშავება ისეთი ინფორმაციის მისაღებად, რომელიც საჭიროა ინტერპრეტაციის დროულად გამოყენებისთვის.

ცვლილებები ფასს 9-ში: „სავანსო გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით“

ფასს 9-ის მიხედვით, სავალსო ინსტრუმენტი შეიძლება შეფასდეს ან ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იმ პირობით, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხის და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდას“ („SPPI კრიტერიუმი“) და რომ ინსტრუმენტი ამ კლასიფიკაციის შესაბამისი ბიზნესმოდელის ფარგლებშია ფლობილი. ფას 9-ში შესული ცვლილებები განმარტავს, რომ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს SPPI კრიტერიუმს მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ისეთი მოვლენა ან გარემოება, რომელიც იწვევს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას და განურჩევლად იმისა, თუ რომელი მხარე იხდის ან იღებს გონივრულ კომპენსაციას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისთვის.

ცვლილებები გამოყენებული უნდა იქნეს რეტროსპექტულად და ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. ეს ცვლილებები გავლენას არ ახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს (IFRS) 10-სა და ბასს (IAS) 28-ში: „აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის“

ცვლილება ეხება ფასს 10-ის და ბასს 28-ს შორის არსებულ შეუსაბამობას მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოსთვის მიყიდულ ან გადაცემულ შვილობილ კომპანიაზე კონტროლის დაკარგვასთან მიმართებაში. აღნიშნული ცვლილებები განმარტავს, რომ ისეთი აქტივების გაყიდვის ან გადაცემის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი, რომელიც ფასს 3-ის თანახმად წარმოადგენს ბიზნესსაქმიანობას ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის, სრულად უნდა იქნეს აღიარებული. თუმცა, ისეთი აქტივების გაყიდვის ან გადაცემის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი, რომელიც არ წარმოადგენს ბიზნესსაქმიანობას, უნდა იქნეს აღიარებული მხოლოდ დაუკავშირებელი ინვესტორების წილების ოდენობით მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში. ბასსს-მა ამ ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღი განუსაზღვრელი ვადით გადადო, მაგრამ საწარმო, რომელიც ვადაზე ადრე მიიღებს ცვლილებებს, ისინი პერსპექტიულად უნდა გამოიყენოს. ჯგუფი მიიღებს აღნიშნულ ცვლილებებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ცვლილებები ბასს (IAS) 28-ში „გრძელვადიანი მონაწილეობა მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“

ცვლილებები განმარტავს, რომ საწარმომ ფასს 9 უნდა გამოიყენოს მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებში ისეთი გრძელვადიანი მონაწილეობისთვის, რომლისთვისაც არ გამოიყენება კაპიტალ-მეთოდი, მაგრამ რომელიც თავიანთი არსით წარმოადგენს წმინდა ინვესტიციას მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში (გრძელვადიანი მონაწილეობა). ეს დაუზუსტება მნიშვნელოვანია, რადგან გულისხმობს, რომ ფასს 9-ის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი ეხება ასეთ გრძელვადიან მონაწილეობას კაპიტალში.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ცვლილებებით ასევე განიმარტა, რომ ფასს 9-ის გამოყენებისას საწარმო არ ითვალისწინებს მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს არანაირ ზარალს ან წმინდა ინვესტიციის რამე გაუფასურების ზარალს, რომელიც აღიარებულია მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში განხორციელებულ წმინდა ინვესტიციაში ბასს (IAS) 28-ის „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ გამოყენებით გამოწვეული კორექტირებების სახით.

ცვლილებები გამოყენებულ უნდა იქნეს რეტროსპექტულად და ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. ვინაიდან ჯგუფს არ აქვს გრძელვადიანი მონაწილეობა თავისი მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს კაპიტალში, ეს ცვლილებები გავლენას ვერ მოახდენს მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ყოველწლიური გაუმჯობესებების ციკლი 2015-2017 წ. წ. (გამოცემული 2017 წლის დეკემბერში)

ბასს (IAS) 12 „მოგებიდან გადასახადები“

ცვლილებების მიხედვით, მოგების გადასახადის გავლენა დივიდენდებზე უფრო პირდაპირ უკავშირდება წარსულში მომხდარ გარიგებებს ან მოვლენებს, რომლებმაც წარმოქმნა გასანაწილებელი მოგება, და არა მფლობელებზე განაწილებებს. შესაბამისად, საწარმო დივიდენდებზე დარიცხულ მოგების გადასახადს აღიარებს მოგებაში ან ზარალში, სხვა სრულ შემოსავალში ან საკუთარ კაპიტალში იმისდა მიხედვით, თუ სად აღიარა საწარმომ თავდაპირველად ეს წარსულში მომხდარი გარიგებები ან მოვლენები.

საწარმომ ეს ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც. როდესაც საწარმო პირველად იყენებს ამ ცვლილებებს, მან ისინი უნდა გამოიყენოს უადრესი შედარებადი პერიოდის დასაწყისიდან აღიარებულ დივიდენდებზე მოგების გადასახადის გავლენის აღრიცხვისას. ვინაიდან ჯგუფის არსებული პრაქტიკა შეესაბამება ამ ცვლილებებს, ჯგუფი არ მოელის მათგან რამე გავლენას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს საბალანსო ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობისთვის.

(ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)**ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი**

გაუფასურების ზარალის შეფასება როგორც ფასს 9-ის, ისე ბასს 39-ის შესაბამისად, ფინანსური აქტივების ყველა კატეგორიისთვის საჭიროებს განსჯის გამოყენებას, კერძოდ, სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობისა და ვადების და უზრუნველყოფის საგნის ღირებულებების პროგნოზირებას გაუფასურების ზარალის განსაზღვრისას და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შეფასებას. ეს პროგნოზები ეყრდნობა რამდენიმე ფაქტორს, რომელთა ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს რეზერვების სხვადასხვა დონე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაანგარიშებლად ჯგუფი იყენებს კომპლექსურ მოდელებს, რომლებიც ეყრდნობა რამდენიმე დაშვებას ცვლადი მონაცემების არჩევასთან და მათ ურთიერთდამოკიდებულებასთან დაკავშირებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელების ელემენტები, რომლებიც ეყრდნობა ბუღალტრულ გადაწყვეტილებებს და პროგნოზებს მოიცავს შემდეგს:

- ▶ ჯგუფის შიდა საკრედიტო რეიტინგების მოდელი, რომელიც თითოეულ დონეს ანიჭებს დეფოლტის ალბათობას;
- ▶ ჯგუფის კრიტერიუმები იმის შესაფასებლად, მნიშვნელოვნად ხომ არ გაზრდილა საკრედიტო რისკი და ამიტომ ფინანსური აქტივების რეზერვები ხომ არ უნდა შეფასდეს აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით და ხარისხობრივად;
- ▶ ფინანსური აქტივების სეგმენტაცია, როდესაც მათი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი კოლექტიურად ფასდება;
- ▶ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელების შემუშავება, მათ შორის, სხვადასხვა ფორმულისა და ამოსავალი მონაცემის შერჩევა;
- ▶ კავშირის დადგენა მაკროეკონომიკურ სცენარებსა და ისეთ ეკონომიკურ მონაცემებს შორის, როგორცაა უმუშევრობის დონეები და უზრუნველყოფის საგნის ღირებულებები, ასევე გავლენის განსაზღვრა დეფოლტის ალბათობაზე, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ დავალიანებაზე და დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგებზე;
- ▶ საპროგნოზო მაკროეკონომიკური სცენარების არჩევა და მათი ალბათობების შეწონვა, მიღებული ეკონომიკური მონაცემების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელებში გამოყენების მიზნით.

ჯგუფი დროდადრო ამოწმებს თავის სესხებს, რომ შეაფასოს მათი გაუფასურება და განსაზღვროს გაუფასურების ზარალის ოდენობა საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ისეთ შემთხვევებში, როდესაც მსესხებელს აქვს ფინანსური სირთულეები და მსგავს მსესხებლებთან მიმართებაში ისტორიული მონაცემები რთულად მოიპოვება. ანალოგიურად, ჯგუფი სამომავლო ფულად ნაკადებში ცვლილებებს იმ მოპოვებად მონაცემებზე დაყრდნობით განსაზღვრავს, რომლებიც მიუთითებენ, რომ მსესხებლების გადახდის სტატუსი გაუარესდა. ხელმძღვანელობა ალბათობებს განსაზღვრავს მსესხებლებთან ურთიერთობის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რა დროსაც ითვალისწინებს დეფოლტის შემთხვევების მსგავსებასა და დეფოლტის შემთხვევაში მიღებულ დანაკარგებს. ჯგუფი თავის გამოცდილებაზე დაყრდნობით აკორექტირებს ერთგვაროვანი სესხების ჯგუფის ემპირიულ მონაცემებს, რათა ასახოს არსებული ვითარება და საპროგნოზო მაკროეკონომიკური ცვლადები.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის განსაზღვრა ხდება არსებული ეკონომიკური ვითარების საფუძველზე. ჯგუფს არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს, რა ცვლილებები მოხდება საქართველოში და რა გავლენა ექნება ასეთ ცვლილებებს მომავალ პერიოდებში ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ადეკვატურობაზე.

(ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონების და შენობების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

საინვესტიციო ქონება და შენობები სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება. სამართლიანი ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც შეფასების დღეს შეიძლება აქტივი გაიყვას საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის პრინციპით“ შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის სტანდარტების შესაბამისად.

ჯგუფის შენობები სისტემატურად გადაფასდება. ბოლო გადაფასების თარიღი 2018 წლის 31 დეკემბერი იყო. იხილეთ *მე-1010*.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დამოუკიდებელი პროფესიონალი შემფასებლების მიერ. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შემოსავლის მეთოდის გამოყენებით, დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდზე დაყრდნობით. აღნიშნული ითვალისწინებს ნებისმიერი მიმდინარე იჯარის ხელშეკრულების და სხვა ხელშეკრულებების პირობებს და როდესაც ეს ხელმისაწვდომია, ისეთ მტკიცებულებებს, როგორებიცაა ანალოგიური ძირითადი საშუალებების იჯარის მიმდინარე საბაზრო ფასი, შესადარისი ადგილმდებარეობა და პირობები. გამოიყენება დისკონტირების განაკვეთები, რომლებიც ასახავს ფულადი ნაკადების მოცულობისა და პერიოდულობის გაურკვევლობის საბაზრო შეფასებებს. სამომავლო ფულადი ნაკადების დაშვებები მოიცავს მიწის იჯარასთან თუ შესყიდვასთან დაკავშირებით ფულადი სახსრების გადინების პროგნოზს.

ზემოაღნიშნული შეფასებები ექვემდებარება შემდგომ ცვლილებას ახალი გარიგებების შესახებ მიღებული ინფორმაციისა და ახალი საბაზრო მონაცემების საფუძველზე.

გადასახადით დაბეგვრა

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ექვემდებარებულ დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება ადგილი ჰქონდეს დამატებით გადასახადებს, ჯარიმებს ან საურავებს. ფისკალური პერიოდები ექვემდებარება უფლებამოსილი ორგანოების მიერ საგადასახადო კუთხით შემოწმებას სამი წლის განმავლობაში, შემოწმების წლის ჩათვლით. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ ჯგუფის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

(ათას ლარში)

5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ

მართვის მიზნებისათვის ჯგუფი დაყოფილია შემდეგ საოპერაციო სეგმენტებად პროდუქტებისა და მომსახურების მიხედვით:

საცალო საბანკო მომსახურება ძირითადად მართავს ფიზიკური პირების დეპოზიტებს, გაცემს სამომხმარებლო სესხებს, ოვერდრაფტებს, საკრედიტო ბარათებს და უზრუნველყოფს ფულადი სახსრების გადარიცხვისა და ელექტრონული ბანკინგის მომსახურებას.

კორპორაციული და მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მომსახურება ძირითადად გაცემს სესხებსა და სხვა საკრედიტო პროდუქტებს კორპორაციულ და ინსტიტუციონალურ მომხმარებლებზე, ასევე მართავს მათ დეპოზიტებსა და მიმდინარე ანგარიშებს.

კერძო საბანკო მომსახურება ძირითადად ეწევა მაღალშემოსავლიანი ფიზიკური პირების კერძო საბანკო და ქონების მართვის მომსახურებას.

კორპორაციული ცენტრი ძირითადად ჯგუფის ყველა საოპერაციო სეგმენტს უწევს სახაზინო და ბექ-ოფისის მომსახურებას.

სხვა სეგმენტები, რომლებიც ზემოთ მოყვანილ კლასიფიკაციაში არ მოხვდა, მოიცავს არასაბანკო ოპერაციებს.

ხელმძღვანელობა აკვირდება ბიზნეს ერთეულების საოპერაციო შედეგებს განცალკევებულად, რათა გადაწყვეტილება მიიღოს სახსრების განაწილებასა და შედეგების შეფასებაზე. სეგმენტის საქმიანობის შედეგი, რომელიც ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია განმარტებული, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოგება-ზარალისგან განსხვავებულად ფასდება. მოგების გადასახადის მართვა ხდება ჯგუფურ საფუძველზე და არ ნაწილდება საოპერაციო სეგმენტებზე.

(ათას ლარში)

5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ (გაგრძელება)

ჯგუფი ოპერირებს გეოგრაფიულ ბაზარზე – საქართველოში. ვინაიდან ჯგუფის აქტივები განთავსებულია ერთ გეოგრაფიულ ერთეულში, ჯგუფის გარე შემოსავალი, მთლიანი აქტივები და კაპიტალის დანახარჯებიც ამავე ერთეულშია განთავსებული.

2018	კორპორა- ციული და მცირე და საშუალო		კერძო საბანკო მომსა- ხურება	კორპორა- ციული ცენტრი	სხვა	შესწორე- ბები და გაქვითვები	სულ
	საცალო საბანკო მომსა- ხურება	ზომის საწარმოების მომსა- ხურება					
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	143,604	3,151	365	35,424	22	(22)	182,544
წმინდა საკომისიო შემოსავალი	19,521	375	32	3,070	–	–	22,998
უცხოური ვალუტებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა	2,841	1,254	514	18	–	–	4,627
სხვა შემოსავალი	17,743	101	11	1,125	51	–	19,031
სულ შემოსავალი	183,709	4,881	922	39,637	73	(22)	229,200
საკრედიტო ზარალის ხარჯი	(35,087)	(644)	(89)	–	–	–	(35,820)
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	(54,849)	(1,030)	(116)	(11,436)	(41)	–	(67,472)
ცვეთა და ამორტიზაცია	(17,082)	(380)	(43)	(4,218)	–	–	(21,723)
სხვა გაუფასურება და ანარიცხების შემობრუნება	173	4	–	41	–	–	218
ზოგადი, ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(30,640)	(682)	(76)	(7,568)	(12)	–	(38,978)
შედეგები სეგმენტების მიხედვით	46,224	2,149	598	16,456	20	(22)	65,425
მოგების გადასახადის ხარჯი	–	–	–	–	–	–	(8,225)
წლის მოგება	–	–	–	–	–	–	57,200
სეგმენტის აქტივები	1,246,595	291,757	14,207	287,674	–	–	1,840,233
ვალდებულებები	928,884	475,707	157,240	8,036	–	–	1,569,867
სხვა ინფორმაცია სეგმენტების შესახებ							
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	–	–	–	1,524	–	–	1,524
მეკავშირე საწარმოების მოგების წილი	–	–	–	695	–	–	695

(ათას ლარში)

5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ (გაგრძელება)

2017	კორპორა- ციული და მცირე და საშუალო		კერძო საბანკო მომსა- ხურება	კორპორა- ციული ცენტრი	სხვა	შესწორე- ბები და გაქვითვები	სულ
	საცალო საბანკო მომსა- ხურება	ზომის საწარმოების მომსა- ხურება					
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	153,236	10,837	3,246	14,209	5	12	181,545
წმინდა საკომისიო შემოსავალი	21,373	3,764	538	1,210	-	-	26,885
უცხოური ვალუტებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა	901	376	75	150	-	-	1,502
სხვა შემოსავალი	13,291	6,329	1,055	422	60	304	21,461
სულ შემოსავალი	188,801	21,306	4,914	15,991	65	316	231,393
სესხის გაუფასურების რეზერვის (ხარჯი)/ამობრუნება	(38,625)	807	(79)	-	-	-	(37,897)
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	(53,282)	(10,799)	(712)	(7,199)	(44)	-	(72,036)
ცვეთა და ამორტიზაცია	(14,419)	(3,132)	(209)	(3,134)	-	-	(20,894)
სხვა გაუფასურება და ანარიცხების შემობრუნება	46	27	2	4	-	-	79
ზოგადი, ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(28,900)	(8,117)	(635)	(4,184)	(10)	1	(41,845)
შედეგები სეგმენტების მიხედვით	53,621	92	3,281	1,478	11	317	58,800
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-	-	-	-	-	(5,786)
წლის მოგება	-	-	-	-	-	-	53,014
სეგმენტის აქტივები ვალდებულებები	1,373,869	6,664	5,730	316,733	84	397	1,703,477
სეგმენტების მიხედვით	975,002	298,530	212,675	-	15	(78)	1,486,144
სხვა ინფორმაცია სეგმენტების შესახებ							
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	-	-	-	813	-	-	813
მეკავშირე საწარმოების მოგების წილი	-	-	-	304	-	-	304

(ათას ლარში)

5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ (გაგრძელება)

შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ფასს 15-ის მოქმედების არეალში მოქცეული შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან სეგმენტების მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ასეთია:

2018	საცალო	კორპორა- ციული და მცირე და საშუალო ზომის	კერძო	კორპორა- ციული	სულ
	საბანკო საქმიანობა	საწარმოების მომსახურება	საბანკო მომსახურება	ცენტრი	
მიღებული საკომისიო					
ოპერაციები პლასტიკური ბარათებით	9,749	-	-	-	9,749
საანგარიშსწორებო ოპერაციები	4,836	555	133	1,178	6,702
ფულადი გადარიცხვები	3,704	-	-	-	3,704
კომუნალური გადახდებიდან მიღებული საკომისიო შემოსავალი	1,747	201	48	426	2,422
საკასო ოპერაციები	1,646	189	45	401	2,281
გარანტიები და აკრედიტივები	-	102	-	-	102
სხვა შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	4,400	505	121	1,072	6,098
სულ შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	26,082	1,552	347	3,077	31,058

6. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს:

	2018	2017
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	205,705	156,963
მიმდინარე ანგარიშები სებ-ში	29,572	60,533
მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში	110,625	231,906
90 დღემდე ვადიანი დეპოზიტი საკრედიტო დაწესებულებებში	47,000	15,000
	392,902	464,402
გამოკლებული – გაუფასურების რეზერვი	(3)	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	392,899	464,402

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ლ 98,517 (2017 წლის 31 დეკემბერი: ლ 209,128) იყო განთავსებული მიმდინარე ანგარიშებზე ეგთოს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ბანკებში, რომლებიც კონტრაქტებად გამოდიან ჯგუფის მიერ განხორციელებულ საერთაშორისო ანგარიშსწორების ოპერაციებში.

(ათას ლარში)

6. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები (გაგრძელება)

სხვა საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშების საკრედიტო რეიტინგი ასეთია:

	2018	2017
A-	–	–
BBB+	98,516	209,111
BBB-	2,678	838
BB+	–	18
BB	–	–
BB-	9,120	19,465
B+	28	27
B-	–	5
CCC	–	–
შეფასების გარეშე	283	2,442
სულ	110,625	231,906

საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული 90 დღემდე ვადიანი დეპოზიტების საკრედიტო რეიტინგი:

	2018	2017
BB-	47,000	15,000
სულ	47,000	15,000

ცხრილებში მოცემულია საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Fitch Ratings-ის მიერ მინიჭებული რეიტინგები.

7. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოიცავს:

	2018	2017
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	85,968	61,098
90 დღეზე მეტი ვადის მქონე ანაზარი	13,954	12,332
	99,922	73,430
გამოკლებული – გაუფასურების რეზერვი	(191)	–
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	99,731	73,430

საკრედიტო დაწესებულებებს მოეთხოვებათ საქართველოს ეროვნულ ბანკში საპროცენტო სარგებლის მქონე დეპოზიტების (სავალდებულო რეზერვი) გახსნა, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია საკრედიტო დაწესებულებების მიერ მოზიდული თანხების მოცულობაზე. კანონმდებლობის შესაბამისად ჯგუფს შეზღუდული აქვს დეპოზიტზე არსებული თანხების გამოტანის უფლება. 2017 წლის სექტემბერსა და ნოემბერში, Standard&Poor-ისა და Fitch-ის რეიტინგებმა ხელახლა დაადასტურეს საქართველოს სუვერენული რეიტინგები „BB-“ „სტაბილური“ პროგნოზით, ხოლო 2017 წლის სექტემბერში Moody-მ ქვეყნის რეიტინგი ერთი ნიშნულით, „Ba2“-მდე, გააუმჯობესა.

(ათას ლარში)

7. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრისთვის, 2018, ლ 13,123 (2017 წლის 31 დეკემბერი: ლ 11,413) იყო განთავსებული საგარანტიო დეპოზიტის სახით სვოპ გარიგებების დასაფინანსებლად გაფორმებული სვოპ დილერთა საერთაშორისო ასოციაციის (ISDA) ჩარჩო ხელშეკრულების „კრედიტის უზრუნველყოფის შესახებ დანართით“ განსაზღვრული ვარიაციული და საიმედოობის მარჟებისთვის. ვარიაციული მარჟა დროდადრო იცვლება ფორვარდულ კონტრაქტებში საბაზრო კოტირებების მიხედვით გადაფასებისას. დამატებითი დეტალები წარმოდგენილია მე-13 შენიშვნაში.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში 90 დღეზე მეტი ვადის მქონე ვადიანი ანაზრების საერთო საბალანსო ღირებულებასა და შესაბამის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილებების ანალიზი:

	<i>საერთო საბალანსო ღირებულება</i>	<i>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი</i>
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	12,332	(140)
წარმოქმნილი ახალი აქტივები	100	(1)
გადახდილი აქტივები	(95)	1
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	1,617	(51)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	13,954	(191)

8. მომხმარებლებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს:

	<i>2018</i>	<i>2017</i>
საცალო კლიენტებზე გაცემული სესხები, რეგულარული შენატანებით	450,382	403,368
კორპორაციული და მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სესხები	190,539	4,336
სამომხმარებლო სესხები	162,772	260,455
მიკროსესხები	108,854	117,203
სალომბარდო სესხები	86,439	60,583
იპოთეკური სესხები	61,864	19,998
მომხმარებლებზე გაცემული მთლიანი სესხები ამორტიზებული ღირებულებით	1,060,850	865,943
გამოკლებული – გაუფასურების რეზერვი	(108,102)	(109,486)
მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით	952,748	756,457
მომხმარებლებზე გაცემული სესხები, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით	796	608
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	953,544	757,065

(ათას ლარში)

8. მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში საცალო კლიენტებზე გაცემული სესხების (საიდანაც რეგულარული ფულადი ნაკადები მიიღება) საერთო საბალანსო ღირებულებასა და შესაბამის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში ცვლილებების ანალიზი:

<i>საცალო კლიენტებზე გაცემული სესხები, რეგულარული შენატანებით</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მეორე ეტაპი</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>სულ</i>
საერთო საბალანსო ღირებულება				
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	361,835	6,968	34,548	403,351
შექმნილი ან შექმნილი ახალი აქტივები	1,268,658	–	–	1,268,658
გადახდილი აქტივები	(1,245,532)	(3,020)	(545)	(1,249,097)
გადატანა 1-ელ ეტაპზე	2,275	(2,275)	–	–
გადატანა მე-2 ეტაპზე	(17,167)	17,382	(215)	–
გადატანა მე-3 ეტაპზე	–	(13,438)	13,438	–
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	1,360	1,360
აღდგენები	–	–	553	553
ჩამოწერილი თანხები	–	–	(4,970)	(4,970)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	32,642	(97)	(2,018)	30,527
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	402,711	5,520	42,151	450,382

<i>საცალო კლიენტებზე გაცემული სესხები, რეგულარული შენატანებით</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მეორე ეტაპი</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>სულ</i>
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი				
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	7,483	2,540	29,918	39,941
შექმნილი ან შექმნილი ახალი აქტივები	32,999	–	–	32,999
გადახდილი აქტივები	(27,920)	(494)	(489)	(28,903)
გადატანა 1-ელ ეტაპზე	924	(924)	–	–
გადატანა მე-2 ეტაპზე	(2,293)	2,479	(186)	–
გადატანა მე-3 ეტაპზე	–	(2,056)	2,056	–
პერიოდის განმავლობაში ეტაპებს შორის გადატანილი დავალიანებების გავლენა პერიოდის ბოლოსთვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(910)	839	7,887	7,816
დისკონტის ამორტიზაცია (აღიარებული საპროცენტო შემოსავალში)	–	–	1,360	1,360
აღდგენები	–	–	553	553
ჩამოწერილი თანხები	–	–	(4,970)	(4,970)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	(802)	(402)	2,416	1,212
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,481	1,982	38,545	50,008

(ათას ლარში)

8. მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში კორპორატიული და მცირე და საშუალო ზომის სესხების საერთო საბალანსო ღირებულებასა და შესაბამის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილებების ანალიზი:

<i>კორპორატიული და მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სესხები</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მეორე ეტაპი</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>სულ</i>
საერთო საბალანსო ღირებულება				
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,057	149	1,130	4,336
შექმნილი ან შექმნილი ახალი აქტივები	423,843	–	–	423,843
გადახდილი აქტივები	(242,263)	(9)	(486)	(242,758)
გადატანა 1-ელ ეტაპზე	208	(208)	–	–
გადატანა მე-2 ეტაპზე	(298)	393	(95)	–
გადატანა მე-3 ეტაპზე	–	(272)	272	–
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	52	52
აღდგენები	–	–	78	78
ჩამოწერილი თანხები	–	–	(21)	(21)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	4,955	(1)	55	5,009
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	189,502	52	985	190,539

<i>კორპორატიული და მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სესხები</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მეორე ეტაპი</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>სულ</i>
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი				
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	609	57	701	1,367
შექმნილი ან შექმნილი ახალი აქტივები	7,835	–	–	7,835
გადახდილი აქტივები	(10,304)	–	(242)	(10,546)
გადატანა 1-ელ ეტაპზე	137	(137)	–	–
გადატანა მე-2 ეტაპზე	(5)	100	(95)	–
გადატანა მე-3 ეტაპზე	–	(17)	17	–
პერიოდის განმავლობაში ეტაპებს შორის გადატანილი დავალიანებების გავლენა პერიოდის ბოლოსთვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(136)	19	252	135
დისკონტის ამორტიზაცია (აღიარებული საპროცენტო შემოსავალი)	–	–	52	52
აღდგენები	–	–	78	78
ჩამოწერილი თანხები	–	–	(21)	(21)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	4,120	–	32	4,152
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,256	22	774	3,052

(ათას ლარში)

8. მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში სამომხმარებლო სესხების საერთო საბალანსო ღირებულებასა და შესაბამის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილებების ანალიზი:

<i>სამომხმარებლო სესხები</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მეორე ეტაპი</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>სულ</i>
საერთო საბალანსო ღირებულება				
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	194,011	9,832	60,430	264,273
შექმნილი ან შეძენილი ახალი აქტივები	294,249	–	–	294,249
გადახდილი აქტივები	(336,292)	(11,257)	(6,703)	(354,252)
გადატანა 1-ელ ეტაპზე	600	(600)	–	–
გადატანა მე-2 ეტაპზე	(43,471)	43,471	–	–
გადატანა მე-3 ეტაპზე	–	(29,765)	29,765	–
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	3,555	3,555
აღდგენები	–	–	907	907
ჩამოწერილი თანხები	–	–	(45,358)	(45,358)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	3,840	180	(4,622)	(602)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	112,937	11,861	37,974	162,772

<i>სამომხმარებლო სესხები</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მეორე ეტაპი</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>სულ</i>
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი				
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	8,950	4,170	51,275	64,395
შექმნილი ან შეძენილი ახალი აქტივები	14,825	–	–	14,825
გადახდილი აქტივები	(14,355)	(2,538)	(1,795)	(18,688)
გადატანა 1-ელ ეტაპზე	198	(198)	–	–
გადატანა მე-2 ეტაპზე	(3,398)	3,399	(1)	–
გადატანა მე-3 ეტაპზე	–	(4,404)	4,404	–
პერიოდის განმავლობაში ეტაპებს შორის გადატანილი დავალიანებების გავლენა პერიოდის ბოლოსთვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(188)	3,208	15,417	18,437
დისკონტის ამორტიზაცია (აღიარებული საპროცენტო შემოსავალში)	–	–	3,555	3,555
აღდგენები	–	–	907	907
ჩამოწერილი თანხები	–	–	(45,358)	(45,358)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	(828)	845	3,054	3,071
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,204	4,482	31,458	41,144

(ათას ლარში)

8. მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში მიკროსესხების საერთო საბალანსო ღირებულებასა და შესაბამის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილებების ანალიზი:

<i>მიკროსესხები</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მეორე ეტაპი</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>სულ</i>
საერთო საბალანსო ღირებულება				
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	107,891	1,690	7,622	117,203
შექმნილი ან შექმნილი ახალი აქტივები	92,098	–	–	92,098
გადახდილი აქტივები	(97,615)	(1,342)	(3,248)	(102,205)
გადატანა 1-ელ ეტაპზე	437	(437)	–	–
გადატანა მე-2 ეტაპზე	(10,511)	10,514	(3)	–
გადატანა მე-3 ეტაპზე	–	(6,779)	6,779	–
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	1,533	1,533
აღდგენები	–	–	63	63
ჩამოწერილი თანხები	–	–	(1,573)	(1,573)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	998	100	637	1,735
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	93,298	3,746	11,810	108,854

<i>მიკროსესხები</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მეორე ეტაპი</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>სულ</i>
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი				
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,849	654	5,888	8,391
შექმნილი ან შექმნილი ახალი აქტივები	2,301	–	–	2,301
გადახდილი აქტივები	(1,138)	(236)	(1,961)	(3,335)
გადატანა 1-ელ ეტაპზე	165	(165)	–	–
გადატანა მე-2 ეტაპზე	(885)	887	(2)	–
გადატანა მე-3 ეტაპზე	–	(471)	471	–
პერიოდის განმავლობაში ეტაპებს შორის გადატანილი დავალიანებების გავლენა პერიოდის ბოლოსთვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(161)	925	3,549	4,313
დისკონტის ამორტიზაცია (აღიარებული საპროცენტო შემოსავალში)	–	–	1,533	1,533
აღდგენები	–	–	63	63
ჩამოწერილი თანხები	–	–	(1,573)	(1,573)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	(946)	4	826	(116)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,185	1,598	8,794	11,577

(ათას ლარში)

8. მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში სალომბარდო სესხების საერთო საბალანსო ღირებულებასა და შესაბამის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილებების ანალიზი:

<i>სალომბარდო სესხები</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მეორე ეტაპი</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>სულ</i>
საერთო საბალანსო ღირებულება				
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	58,018	635	1,930	60,583
შექმნილი ან შექმნილი ახალი აქტივები	134,478	–	–	134,478
გადახდილი აქტივები	(107,591)	(334)	(849)	(108,774)
გადატანა 1-ელ ეტაპზე	–	–	–	–
გადატანა მე-2 ეტაპზე	(775)	775	–	–
გადატანა მე-3 ეტაპზე	–	(377)	377	–
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	178	178
აღდგენები	–	–	–	–
ჩამოწერილი თანხები	–	–	(258)	(258)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	218	2	12	232
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	84,348	701	1,390	86,439

<i>სალომბარდო სესხები</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მეორე ეტაპი</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>სულ</i>
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი				
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	65	1	1,249	1,315
შექმნილი ან შექმნილი ახალი აქტივები	468	–	–	468
გადახდილი აქტივები	(2,272)	(2)	(300)	(2,574)
გადატანა 1-ელ ეტაპზე	–	–	–	–
გადატანა მე-2 ეტაპზე	(3)	3	–	–
გადატანა მე-3 ეტაპზე	–	(1)	1	–
პერიოდის განმავლობაში ეტაპებს შორის გადატანილი დავალიანებების გავლენა პერიოდის ბოლოსთვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	–	1	1	2
დისკონტის ამორტიზაცია (აღიარებული საპროცენტო შემოსავალში)	–	–	178	178
აღდგენები	–	–	–	–
ჩამოწერილი თანხები	–	–	(258)	(258)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	1,833	–	133	1,966
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	91	2	1,004	1,097

(ათას ლარში)

8. მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში იპოთეკური სესხების საერთო საბალანსო ღირებულებასა და შესაბამის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილებების ანალიზი:

<i>იპოთეკური სესხები</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მეორე ეტაპი</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>სულ</i>
საერთო საბალანსო ღირებულება				
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	18,866	348	785	19,999
შექმნილი ან შექმნილი ახალი აქტივები	60,891	–	–	60,891
გადახდილი აქტივები	(19,184)	(222)	(477)	(19,883)
გადატანა 1-ელ ეტაპზე	–	–	–	–
გადატანა მე-2 ეტაპზე	(1,200)	1,200	–	–
გადატანა მე-3 ეტაპზე	–	(699)	699	–
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	61	61
ჩამოწერილი თანხები	–	–	(1)	(1)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	721	31	45	797
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	60,094	658	1,112	61,864

<i>იპოთეკური სესხები</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მეორე ეტაპი</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>სულ</i>
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი				
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	216	34	436	686
შექმნილი ან შექმნილი ახალი აქტივები	215	–	–	215
გადახდილი აქტივები	(151)	(27)	(225)	(403)
გადატანა 1-ელ ეტაპზე	–	–	–	–
გადატანა მე-2 ეტაპზე	(38)	38	–	–
გადატანა მე-3 ეტაპზე	–	(23)	23	–
პერიოდის განმავლობაში ეტაპებს შორის გადატანილი დავალიანებების გავლენა პერიოდის ბოლოსთვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	–	74	267	341
დისკონტის ამორტიზაცია (აღიარებული საპროცენტო შემოსავალში)	–	–	61	61
ჩამოწერილი თანხები	–	–	(1)	(1)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	252	12	61	325
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	494	108	622	1,224

(ათას ლარში)

8. მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)**მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი**

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი შემდეგ კატეგორიებად იყოფა:

	საცალო კლიენტებზე გაცემული სესხები, რეგულარული შენატონებით			სამომხმარებლო მიკრო-სესხები	სალომ-ბარდო სესხები	იპოთეკური სესხები	კორპორატიული და მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხები	სულ
	სამომხმარებლო სესხები	მიკრო-სესხები	სალომ-ბარდო სესხები					
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	28,030	34,870	4,663	2,528	292	2,700	73,083	
დარიცხვა/(შემობრუნება) წლის განმავლობაში	10,326	26,149	2,497	(396)	128	(807)	37,897	
აღდგენები	726	777	39	–	56	266	1,864	
ჩამოწერილი თანხები	(1,171)	(450)	(36)	(850)	–	(851)	(3,358)	
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	37,911	61,346	7,163	1,282	476	1,308	109,486	
ინდივიდუალური გაუფასურება	–	–	–	1,244	–	740	1,984	
კოლექტიური გაუფასურება	37,911	61,346	7,163	38	476	568	107,502	
	37,911	61,346	7,163	1,282	476	1,308	109,486	
ინდივიდუალურად გაუფასურებულად შეფასებული სესხის მთლიანი თანხა, ინდივიდუალური გაუფასურების რეზერვის გამოქვითვამდე	–	–	–	1,926	–	2,560	4,486	

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო რისკით გაუფასურებული მე-3 ეტაპის სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის პროცესში კრედიტის ხარისხის გასაუმჯობესებლად უზრუნველყოფის საგანი არ გამოიყენება.

მომხმარებლებზე გაცემული სესხების კონცენტრაცია

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ათ უმსხვილეს მესამე მხარე მსესხებელზე გაცემული სესხების კონცენტრაცია შეადგენდა ლ 121,051-ს, ანუ ჯგუფის მთლიანი სასესხო პორტფელის 11.5%-ს (2017 წ.: ლ 4,632 და 0.5%, შესაბამისად). აღნიშნული სესხებისთვის შეიქმნა რეზერვი ლ 850 (2017 წ.: ლ 999) ოდენობით.

(ათას ლარში)

8. მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხების კონცენტრაცია (გაგრძელება)

სესხები შემდეგი ტიპის მომხმარებლებზეა გაცემული:

	2018	2017
ფიზიკური პირები	870,167	862,722
კერძო საწარმოები	191,479	3,829
მომხმარებლებზე გაცემული სესხები, მთლიანი	1,061,646	866,551
გამოკლებული – სესხების გაუფასურების რეზერვი	(108,102)	(109,486)
მომხმარებლებზე გაცემული სესხები, წმინდა	953,544	757,065

სესხები საქართველოს ფარგლებში, ძირითადად შემდეგ დარგებზეა გაცემული:

	2018	2017
ფიზიკური პირები	870,167	862,722
ვაჭრობა და მომსახურება	67,107	2,470
მშენებლობა	53,470	2
ტრანსპორტირება და კომუნიკაცია	26,847	–
ტურიზმი და სასტუმროს ბიზნესი	15,869	–
წარმოება	11,026	–
ჯანდაცვა	7,221	–
სხვა	9,939	1,357
მომხმარებლებზე გაცემული სესხები, მთლიანი	1,061,646	866,551
გამოკლებული – სესხების გაუფასურების რეზერვი	(108,102)	(109,486)
მომხმარებლებზე გაცემული სესხები, წმინდა	953,544	757,065

9. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები მოიცავს შემდეგს:

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სავალო ფასიანი ქაღალდები	2018	2017
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქები	32,721	83,207
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	160,508	139,593
კორპორაციული ობლიგაციები	5,245	–
	198,474	222,800
გამოკლებული – გაუფასურების რეზერვი	(970)	–
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სავალო ფასიანი ქაღალდები	197,504	222,800

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები არ დაგირავებულა უზრუნველყოფის საგნის სახით.

(ათას ლარში)

9. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების საერთო საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების ანალიზი:

	საქართველოს				სულ
	ეროვნული ბანკის	საქართველოს ფინანსთა	საქართველოს ფინანსთა	საქართველოს ფინანსთა	
კორპორა-ციული ობლიგა-ციები	სადეპოზიტო სერტიფი-კატები	სამინისტროს სახაზინო თამასუქები	სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები		
საერთო საბალანსო ღირებულება					
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	83,207	139,593	222,800
წარმოქმნილი ახალი აქტივები	5,200	16,452	59,569	38,465	103,234
გადახდილი აქტივები	-	(16,745)	(115,263)	(32,628)	(147,891)
სხვა მოძრაობა	45	293	5,208	15,078	20,331
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,245	-	32,721	160,508	198,474

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების ყველა ნაშთი მიეკუთვნა 1-ელ ეტაპს. 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვებში მომხდარი ცვლილების ანალიზი:

	საქართველოს				სულ
	ეროვნული ბანკის	საქართველოს ფინანსთა	საქართველოს ფინანსთა	საქართველოს ფინანსთა	
კორპორა-ციული ობლიგა-ციები	სადეპოზიტო სერტიფი-კატები	სამინისტროს სახაზინო თამასუქები	სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები		
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი					
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	(410)	(686)	(1,096)
წარმოქმნილი ახალი აქტივები	(26)	81	(293)	(190)	(509)
გადახდილი აქტივები	-	(82)	574	161	735
სხვა მოძრაობა	-	1	(26)	(74)	(100)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(26)	-	(155)	(789)	(970)

(ათას ლარში)

10. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ჯგუფის მიწა და შენობა-ნაგებობები სისტემატურად გადაფასდება. ბოლო გადაფასების თარიღი 2016 წლის 31 დეკემბერი იყო. მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასების შედეგად მათი ღირებულება გაიზარდა € 7,350-ით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა გააანალიზა თავისი შენობა-ნაგებობების საბაზრო ფასები და დაასკვნა, რომ მათი საბაზრო ფასი არსებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

სრულად გაცვეთილი, მაგრამ ჯერ კიდევ ექსპლუატაციაში მყოფი ძირითადი საშუალებების მთლიანი საბალანსო ღირებულება ასეთია:

	<i>ავიჯი და მოწყობილობები</i>	<i>კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა</i>	<i>ავტოსატრანსპორტო საშუალებები</i>	<i>საიჯარო ქონების გაუმჯობესება</i>	<i>სულ</i>
თვითღირებულება ან გადაფასებული ღირებულება					
31 დეკემბერი, 2018 წ.	15,685	19,555	11,728	230	47,198
31 დეკემბერი, 2017 წ.	11,786	16,276	10,305	230	38,597

ჯგუფის შენობები სამართლიანი ღირებულების იერარქიის მესამე დონეს მიეკუთვნება. 2018 წელს სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადატანები არ მომხდარა.

შენობა-ნაგებობები თვითღირებულების მეთოდით რომ შეფასებულიყო, მათი საბალანსო ღირებულება იქნებოდა:

	<i>2018</i>	<i>2017</i>
თვითღირებულება	53,189	51,901
დარიცხული ცვეთა და გაუფასურება	(10,475)	(9,411)
ნარჩენი საბალანსო ღირებულება	42,714	42,490

(ათას ლარში)

11. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების, მათ შორის კომპიუტერული პროგრამებისა და ლიცენზიების დინამიკა ასეთია:

	<i>პროგრამული უზრუნველყოფა და ლიცენზიები</i>
თვითღირებულება	
31 დეკემბერი, 2016 წ.	36,331
შემოსვლები	11,828
31 დეკემბერი, 2017 წ.	48,159
შემოსვლები	13,637
31 დეკემბერი, 2018 წ.	61,796
დაგროვილი ამორტიზაცია	
31 დეკემბერი, 2016 წ.	14,833
ამორტიზაციის დანარიცხი	6,977
31 დეკემბერი, 2017 წ.	21,810
ამორტიზაციის დანარიცხი	7,335
31 დეკემბერი, 2018 წ.	29,145
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი, 2016 წ.	21,498
31 დეკემბერი, 2017 წ.	26,349
31 დეკემბერი, 2018 წ.	32,651

12. გადასახადით დაბეგრვა

მოგების გადასახადის ხარჯი ასეთია:

	<i>2018</i>	<i>2017</i>
მიმდინარე წლის გადასახადის ხარჯი	5,463	6,433
გადავადებული გადასახადის ხარჯი/(სარგებელი) – დროებითი სხვაობების წარმოშობა და შებრუნება	2,762	(647)
მოგების გადასახადის ხარჯი	8,225	5,786

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებსთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. 2018 წლის 5 მაისს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილებები და თარიღმა გადაიწია 2023 წლის იანვრამდე. ახალი რეგულაციის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე დასარიცხი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებულ თანხაზე (1/85% *15%) ოდენობის დარიცხვით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდის განაწილება

(ათას ლარში)

არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

12. გადასახადები (გაგრძელება)

ამ ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ხელახლა შეაფასა საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა ამოქმედებაც მოსალოდნელია იმ პერიოდში, როდესაც აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების გასტუმრება ხდება. ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ თანახმად, ჯგუფმა გაუნაწილებელი მოგებისთვის გამოიყენა 0%-იანი საგადასახადო განაკვეთი იმ აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში, რომელთა რეალიზაცია ან გასტუმრება მოსალოდნელია 2023 წლის იანვრის შემდეგ პერიოდებში.

2018 და 2017 წლებში მოგების გადასახადის განაკვეთი, გარდა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული მოგებისა, 15% იყო. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიდან და საქართველოს ეროვნული ბანკის დეპოზიტებიდან მიღებულ საპროცენტო შემოსავლებზე გადასახადის განაკვეთი 0%-ს შეადგენს.

მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოგების გადასახადის განაკვეთისგან. ქვემოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული განაკვეთების მიხედვით მოგების გადასახადის ხარჯი შესაბამისობაშია მოყვანილი გადასახადის რეალურ ოდენობასთან:

	<i>2018</i>	<i>2017</i>
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე	65,425	58,800
კანონით დადგენილი საგადასახადო განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით	9,814	8,820
სებ-ში 0%-ად განთავსებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიდან და დეპოზიტებიდან მიღებული შემოსავლის საგადასახადო ეფექტი	(3,359)	(3,125)
საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების ეფექტი	1,653	(251)
საგადასახადო მიზნებისთვის გამოუქვითავი ხარჯები	117	342
მოგების გადასახადის ხარჯი	8,225	5,786

(ათას ლარში)

12. გადასახადები (გაგრძელება)

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი მოძრაობა შესაბამის წლებში შემდეგია:

	<i>მოგება- ზარალის ანგარიშ- გებაში</i>		<i>ფასს 9-ის მიღების ეფექტი</i>		<i>მოგება- ზარალის ანგარიშ- გებაში</i>	
	<i>2016</i>	<i>2017</i>	<i>2016</i>	<i>2017</i>	<i>2016</i>	<i>2017</i>
გადასახადის ეფექტი გამოსაქვით დროებით სხვაობებზე						
მომხმარებლებზე						
გაცემული სესხები	475	(475)	–	607	(600)	7
სხვა აქტივები	32	(24)	8	–	351	359
სხვა ვალდებულებები	1,262	832	2,094	–	301	2,395
მთლიანი გადავადებული საგადასახადო აქტივები	1,769	333	2,102	607	52	2,761
გადავადებული საგადასახადო აქტივი	1,769	333	2,102	607	52	2,761
გადასახადის ეფექტი დასაბეგრ დროებით სხვაობებზე						
მომხმარებლებზე						
გაცემული სესხები	–	(747)	(747)	–	747	–
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	(2,350)	1,061	(1,289)	–	(3,561)	(4,850)
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	(2,350)	314	(2,036)	–	(2,814)	(4,850)
წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივები/ (ვალდებულებები)	(581)	647	66	607	(2,762)	(2,089)

(ათას ლარში)

13. სხვა აქტივები, ავანსები და სხვა ვალდებულებები

სხვა აქტივებს მიეკუთვნება:

	<i>2018</i>	<i>2017</i>
საინვესტიციო ქონება	2,583	2,597
განთავსებული საგარანტიო დეპოზიტები	2,427	2,310
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2,369	2,061
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	1,524	813
წინასწარ გადახდილი გადასახადები მოგების გადასახადის გარდა მოთხოვნები ფულადი გადარიცხვების სისტემის ოპერატორების მიმართ	1,496	910
დასაკუთრებული ქონება	1,362	7,116
გადახდილი გარანტიებიდან მისაღები ანგარიშები	933	906
წარმოებული აქტივი	899	899
სხვა	707	104
სულ	8,738	5,045
გამოკლებული – სხვა აქტივების გაუფასურების რეზერვი	(2,633)	(2,792)
სხვა აქტივები	20,405	19,969

საინვესტიციო ქონება ძირითადად მოიცავს „ბ“ კლასის საოფისე ფართს ზუგდიდის საქმიან ნაწილში, რომლის საერთო საიჯარო ფართიც 1,582 კვ. მ.-ია, ასევე თბილისის გარეთ მდებარე რამდენიმე შენობა-ნაგებობას.

საინვესტიციო ქონება სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის შემდგარი ჩვეულებრივი გარიგების პირობებში. ბოლო გადაფასების თარიღი 2018 წლის 31 დეკემბერი იყო. შეფასება ჩაატარა აკრედიტებულმა დამოუკიდებელმა შემფასებელმა, რომელსაც აქვს აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და ასევე აქვს გამოცდილება შესაფასებელი საინვესტიციო ქონების ანალოგიური კატეგორიისა და ადგილმდებარეობის ქონების შეფასებაში. გამოყენებულია შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ რეკომენდებული შეფასების მოდელები და შეფასება შეესაბამება ფასს 13-ის პრინციპებს. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ 24-ე შენიშვნა.

სამართლიანი ღირებულების გადაფასების გარდა, საინვესტიციო ქონებაში მნიშვნელოვანი მოძრაობა არ დაფიქსირებულა.

ჯგუფის საინვესტიციო ქონება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მესამე დონეს მიეკუთვნება. 2018 წელს სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადატანები არ მომხდარა.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, განთავსებული საგარანტიო დეპოზიტები, ძირითადად, წარმოადგენს დაგირავებულ სახსრებს „ვიზა ინკ.“-ში ლ 974-ის, ხოლო „მასტერ ქარდ ინკ.“-ში ლ 1,453-ის ოდენობით (2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: „ვიზა ინკ.“-ში ლ 924, „მასტერ ქარდ ინკ.“-ში ლ 1,386).

(ათას ლარში)

13. სხვა აქტივები, ავანსები და სხვა ვალდებულებები (გაგრძელება)

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებებს, რომლებიც აღრიცხულია აქტივებად და ვალდებულებებად მათ პირობით თანხებთან ერთად. ჯამურად აღრიცხული პირობითი თანხა წარმოადგენს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის შესაბამისი აქტივის, განაკვეთის ან ინდექსის თანხას და საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც ფასდება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილება. პირობითი თანხები ასახავს ოპერაციათა მოცულობას წლის ბოლოსთვის და არ მოიცავს საკრედიტო რისკს.

	2018				2017			
	პირობითი თანხა		სამართლიანი ღირებულებები		პირობითი თანხა		სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში ასახვით	
	აქტივი	ვალდე-ბულება	აქტივი	ვალდე-ბულება	აქტივი	ვალდე-ბულება	აქტივი	ვალდე-ბულება
სავალუტო ხელშეკრულებები								
ფორვარდები და სვოპები – ადგილობრივ ვალუტაში	95,651	(94,871)	707	(192)	-	(2,651)	-	(34)
ფორვარდები და სვოპები – უცხოურ ვალუტაში	-	(69,688)	-	(8,407)	17,741	(51,922)	104	(5,608)
სულ წარმოებული აქტივები/ვალდებულებები	95,651	(164,559)	707	(8,599)	17,741	(54,573)	104	(5,642)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი ფლობს შემდეგი სახის წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს:

ფორვარდული ხელშეკრულებები

ფორვარდული ხელშეკრულებები წარმოადგენს სპეციალური ფინანსური ინსტრუმენტის კონკრეტულ ფასად სამომავლო თარიღით ყიდვასთან ან გაყიდვასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებს. ფორვარდული ხელშეკრულებებით ოპერაციები ხდება არასაბირჟო ბაზარზე.

ჯგუფის ფორვარდული ხელშეკრულებები სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეორე დონეს მიეკუთვნება. 2018 წელს სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადატანები არ მომხდარა.

ავანსები მოიცავს შემდეგს:

	2018	2017
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	9,188	4,987
პროფესიული მომსახურებისთვის გადახდილი ავანსი	1,534	608
წინასწარ გადახდილი დაზღვევა	399	362
სხვა	874	857
სულ გადახდილი ავანსები	11,995	6,814

(ათას ლარში)

13. სხვა აქტივები, ავანსები და სხვა ვალდებულებები (გაგრძელება)

სხვა ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	<i>2018</i>	<i>2017</i>
დარიცხული პრემია	10,663	10,021
წარმოებული ვალდებულება	8,599	5,642
დაუფარავი თანხები	4,771	2,320
სხვადასხვა კრედიტორები	1,143	743
საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა	771	386
სხვადასხვა პირობითი ვალდებულების, მათ შორის თავდებობებისა და ნაკისრი ვალდებულებების ანარიცხები	211	215
სხვა	3,036	5,904
სხვა ვალდებულებები	29,194	25,231

14. საკრედიტო ზარალის ხარჯი და სხვა გაუფასურება და ანარიცხები

ქვედა ცხრილში წარმოდგენილია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ხარჯი ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომელიც ასახულია 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში:

	<i>პირველი</i>				<i>სულ</i>
	<i>შენიშვნა</i>	<i>ეტაპი</i>	<i>მეორე ეტაპი</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7	51	-	-	51
მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით	8	(461)	738	35,571	35,848
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ფასიანი ქაღალდები	9	(126)	-	-	(126)
ფინანსური გარანტიები	19				47
სულ საკრედიტო ზარალის ხარჯი		(489)	738	35,571	35,820

გაუფასურების რეზერვის და ანარიცხების დინამიკა ასეთია:

	<i>სხვადასხვა პირობითი ვალდებულებებისთვის შექმნილი ანარიცხები</i>		<i>სულ</i>
	<i>სხვა აქტივები</i>	<i>სხვადასხვა პირობითი ვალდებულებებისთვის შექმნილი ანარიცხები</i>	
31 დეკემბერი, 2017 წ.	2,792	215	3,007
დანარიცხი/(შემოზრუნება)	(170)	(48)	(218)
ჩამოწერა	-	(3)	(3)
აღდგენები	11	-	11
31 დეკემბერი, 2018 წ.	2,633	164	2,797

(ათას ლარში)

14. საკრედიტო ზარალის ხარჯი და სხვა გაუფასურება და ანარიცხები (გაგრძელება)

	<i>სხვა აქტივები</i>	<i>სხვადასხვა პირობითი ვალდებულების, მათ შორის თავდებობებისა და ნაკისრი ვალდებულებების ანარიცხები</i>	<i>სულ</i>
31 დეკემბერი, 2016 წ.	2,414	461	2,875
დანარიცხი/(შემობრუნება)	382	(461)	(79)
ჩამოწერა	(4)	-	(4)
აღდგენები	-	215	215
31 დეკემბერი, 2017 წ.	2,792	215	3,007

მოთხოვნების, გარანტიების და ვალდებულებების ანარიცხები აღირიცხება სხვა ვალდებულებებში.

15. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე

ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე მოიცავს:

	<i>2018</i>	<i>2017</i>
მიმდინარე ანგარიშები	7,414	5,703
ვადიანი ანაზრები და სესხები	799	794
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	8,213	6,497

16. ვალდებულებები კლიენტების მიმართ

ვალდებულებები კლიენტების მიმართ მოიცავს შემდეგს:

	<i>2018</i>	<i>2017</i>
მიმდინარე ანგარიშები	841,516	669,253
ვადიანი დეპოზიტები (სადეპოზიტო სერტიფიკატების ჩათვლით)	640,733	677,035
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	1,482,249	1,346,288

გაცემული გარანტიების უზრუნველყოფა (0 შენიშვნა) 3,884 814

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ვალდებულებები კლიენტების მიმართ ლ 229,976-ის (15.6%) ოდენობით ათ უმსხვილეს მენაზრეზე (2017 წლის 31 დეკემბერი: ლ 140,272 (10.4%)) მოდიოდა.

ვალდებულებები მომხმარებლების წინაშე მოიცავს ანგარიშებს მომხმარებლების შემდეგ ტიპებთან:

	<i>2018</i>	<i>2017</i>
ფიზიკური პირები	996,169	1,035,010
სახელმწიფო და საბიუჯეტო ორგანიზაციები	281,711	187,204
კერძო საწარმოები	204,369	124,074
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	1,482,249	1,346,288

(ათას ლარში)

16. ვალდებულებები კლიენტების მიმართ (გაგრძელება)

ვალდებულებები კლიენტების წინაშე ეკონომიკის სექტორების მიხედვით:

	2018	2017
ფიზიკური პირები	996,169	1,035,010
სახელმწიფო და საბიუჯეტო ორგანიზაციები	281,711	187,204
ვაჭრობა	41,615	28,471
ტრანსპორტირება და კომუნიკაცია	35,350	919
არასაბანკო ფინანსური ორგანიზაციები	30,456	26,221
უძრავი ქონების მშენებლობა	3,559	2,584
ენერჯეტიკა	754	876
სოფლის მეურნეობა	226	332
სხვა	92,409	64,671
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	1,482,249	1,346,288

17. სუბორდინირებული ვალი

2014 წლის ნოემბერში ჯგუფმა დაიწყო არაუზრუნველყოფილი სუბორდინირებული სესხის ხელშეკრულებების გაყიდვა მაღალმემოსავლიან ფიზიკურ და იურიდიულ კლიენტებზე. სუბორდინირებული სესხის ხელშეკრულებების გამოშვების ძირითადი მიზანი იყო მეორადი კაპიტალის მოზიდვა ჯგუფის კაპიტალიზაციის მხარდასაჭერად.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰქონდა ლ 48,122 (2017 წლის 31 დეკემბერი: ლ 105,753) დაუფარავი სუბორდინირებული ვალი. აქედან, ბაზელ III-ის საფუძველზე, სებ-ის მოთხოვნების თანახმად, მეორადი კაპიტალისთვის მიკუთვნებადი ვალის ამორტიზებული ღირებულება, შესაბამისად, იყო ლ 41,715 (2017 წლის 31 დეკემბერი: ლ 51,415)

18. საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ნებადართული საწესდებო კაპიტალი შედგებოდა 7,500,000,000 ჩვეულებრივი აქციისგან. აქედან 5,502,254,354 გამოშვებული იყო, ხოლო 5,462,874,502 ჩვეულებრივი აქცია სრულად იყო განაღდებული 1,013,828,327 გამოსყიდული აქციის ჩათვლით (2017 წლის 31 დეკემბერი: ნებადართული საწესდებო კაპიტალი შედგებოდა 7,500,000,000 ჩვეულებრივი აქციისგან, რომელთაგან 5,502,254,354 იყო გამოშვებული, ხოლო 5,440,480,024 სრულად იყო განაღდებული 1,045,428,327 გამოსყიდული აქციის ჩათვლით). თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა ლ 0.01. გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების მთლიანი რაოდენობიდან 39,379,845 (2017 წ.: 59,926,012) აქცია გადავადებული გადახდის პრინციპით არის მიყიდული Stichting Liberty ESOP-ისთვის და მიეკუთვნება თანამშრომელთა წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაციის პროგრამას.

(ათას ლარში)

18. საკუთარი კაპიტალი (გაგრძელება)

საწესდებო კაპიტალი (გაგრძელება)

მთლიანად განაღდებული და გამოსყიდული ჩვეულებრივი და კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციების მოძრაობა აღწერილია ქვემოთ:

	<i>აქციების რაოდენობა</i>		<i>ნომინალური თანხა</i>		
	<i>კონვერტი- რებადი</i>		<i>კონვერტი- რებადი</i>		<i>სულ</i>
	<i>პრივილე- გირებული</i>	<i>ჩვეულებრივი</i>	<i>პრივილე- გირებული</i>	<i>ჩვეულებრივი</i>	
31 დეკემბერი, 2016 წ.	6,139,064	4,377,885,580	6,139	43,779	49,918
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-	17,166,117	-	172	172
1 დეკემბერი, 2017 წ.	6,139,064	4,395,051,697	6,139	43,951	50,090
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-	22,394,500	-	224	224
კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციების გარდაქმნა ჩვეულებრივ აქცებად	(1,573,680)	31,600,000	(1,574)	316	(1,258)
31 დეკემბერი, 2018 წ.	4,565,384	4,449,046,197	4,656	44,491	49,056

აქციონერებმა ჯგუფის სააქციო კაპიტალში შენატანი განახორციელეს ლ – ში და ისინი უფლებამოსილი არიან დივიდენდები და კაპიტალის ნებისმიერი განაწილება მიიღონ ლ – ში.

საწესდებო კაპიტალის გაზრდა წარმოადგენს ESOP-ის აქციებთან დაკავშირებული უფლების გამოყენებას. ESOP-ის აქციების მთლიანი რაოდენობა, რომლებზეც უფლება გამოყენებულია, 2018 წელს შეადგენდა 20,546,167-ს, რომლებიც სრულად იყო გადახდილი 2018 წელს. მთლიანი შენატანი გაუტოლდა ლ 206-ს; (ESOP-ის აქციების მთლიანი რაოდენობა, რომლებზეც უფლება გამოყენებულია 2017 წელს შეადგენდა 19,014,435-ს, საიდანაც ფულადი შენატანი განხორციელდა 17,166,117 აქციაზე; დარჩენილი 1,848,318 აქციაზე ანგარიშსწორება მოხდა 2018 წლის იანვარში). ESOP-ის 1,848,318 აქცია, რომლებზეც უფლება გამოყენებული იყო 2017 წელს, სრულად იქნა გადახდილი 2018 წელს, და მთლიანმა შენატანმა შეადგინა ლ 18. 2018 და 2017 წლების განმავლობაში ახალი ჩვეულებრივი აქციები არ გამოშვებულა და არ გაყიდულა.

2018 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ერთი ჩვეულებრივი აქციის საბალანსო ღირებულება იყო ლ 0.0593 და ლ 0.0474, შესაბამისად.

გამოსყიდული აქციები

2015 წლის 12 ნოემბერს ჯგუფმა დაიწყო ჩვეულებრივი აქციების გამოსყიდვა (შემდგომში „გამოსყიდვა“), რა დროსაც თითო ჩვეულებრივ აქციაში გადაიხდა ლ 0.0179, და ჩვეულებრივი აქციების მაქსიმალურმა რაოდენობამ შეადგინა 1,045,428,327 ლარი, ანუ გამოშვებული და მიმოქცევაში არსებული ჩვეულებრივი აქციების მთლიანი რაოდენობის 19.00%.

გამოსყიდვის პერიოდი განისაზღვრა 90 კალენდარული დღით გამოცხადების თარიღიდან 2016 წლის 10 თებერვლამდე. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა გამოსყიდა და მთლიანად მოახდინა ანგარიშსწორება 1,045,428,327 ჩვეულებრივ აქციაზე (გამოშვებული და მიმოქცევაში არსებული აქციების მთლიანი რაოდენობის 19.00%).

2018 წელს ჯგუფმა გარდაქმნა 1,573,680 პრივილეგირებული აქცია 31,600,000 ჩვეულებრივ აქციად, რის შედეგადაც გამოსყიდული აქციები შემცირდა 1,013,828,327-მდე (2017 წ.: 1,045,428,327).

(ათას ლარში)

18. საკუთარი კაპიტალი (გაგრძელება)

გამოსყიდული აქციები (გაგრძელება)

გადახდილი საფასური და გარიგების დანახარჯები გამოიქვითება მთლიანი საკუთარი კაპიტალიდან, როგორც გამოსყიდული აქციები მათ გაუქმებამდე ან ხელახლა გამოშვებამდე. გამოსყიდული აქციები ასახულია საშუალო შეწონილი ღირებულებით.

კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციები

2012 წლის აგვისტოში ბანკმა გამოუშვა და საქართველოში საჯარო შეთავაზების მეშვეობით საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადა 10,000,000 კონვერტირებადი პრივილეგირებული აქცია, რომლებიც გამოსყიდვას არ ექვემდებარება. თითო კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციის განთავსების მთლიანი ფასი იყო ლ 1 (საჯარო შეთავაზების ნებადართული ოდენობა შემდეგ გაიზარდა 30,000,000 კონვერტირებად პრივილეგირებულ აქციამდე), რომელთაგან 4,565,384 იყო მიმოქცევაში და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის სრულად განაღდებული (2017 წ.: 6,139,064). საჯარო შეთავაზების ვადა 2015 წლის 31 დეკემბერს ამოიწურა. კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციები მუდმივია და მათი კონვერტირება, მფლობელის სურვილისამებრ, შეიძლება ბანკის ჩვეულებრივ აქციებად კონვერტაციის ფასით, რომელიც წარმოადგენს წინა კალენდარული წლის ბოლოსთვის ბანკის ფასს-ის შესაბამისად აუდიტის მიხედვით ჩვეულებრივი აქციების საბალანსო ღირებულების 1.05-ზე გამრავლებულ ოდენობას, მიმოქცევაში არსებულ ერთ ჩვეულებრივ აქციაზე (გამოსყიდული აქციების გამოკლებით).

კონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდების განაკვეთი წელიწადში 17%-ია, გადაიხდება ყოველწლიურად და ექვემდებარება აქციონერთა საერთო კრების მიერ დამტკიცებას ყოველ წელს. დივიდენდები არ არის კუმულაციური. კონვერტაციის ოფციონი თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის საკუთარი კაპიტალის კომპონენტის სახითაა კლასიფიცირებული.

დივიდენდის გადახდა დამოკიდებულია ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე და საქმიანობის შედეგზე და კაპიტალის ადეკვატურობის გონივრულ მოთხოვნებზე და შეიძლება, სხვა მიზეზებთან ერთად, შეიზღუდოს არსებული კანონმდებლობითა და ნორმატიული აქტებით, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

საბაზო/განზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე

ჯგუფი წარმოადგენს მონაცემებს ერთ აქციაზე საბაზო და განზავებული შემოსავლის შესახებ თავისი ჩვეულებრივი აქციებისთვის. საბაზო შემოსავალი ერთ აქციაზე გამოითვლება ბანკის ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა წმინდა მოგების ან ზარალის შეფარდებით პერიოდის განმავლობაში მიმოქცევაში არსებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის საშუალო შეწონილთან (გამოსყიდული აქციების გამოკლებით). განზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე განისაზღვრება ჩვეულებრივი აქციების მფლობელების მოგების ან ზარალის და მიმოქცევაში არსებული ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობის დაკორექტირებით, პოტენციური ჩვეულებრივი აქციების განზავების ეფექტის გათვალისწინებით (მაგრამ გამოსყიდული აქციების გათვალისწინების გარეშე), რომლებიც მოიცავს თანამშრომლებისთვის გაცემულ ოფციონებს და კონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებს.

2018 წელს ბანკის ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა კუთვნილმა წმინდა მოგებამ შეადგინა ლ 57,200 (2017 წ.: ლ 53,014), ხოლო წლის განმავლობაში მიმოქცევაში მყოფი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა იყო 4,477,950,410 (2017 წ.: 4,456,826,027), შესაბამისად, შემოსავალი აქციაზე 2018 წელს შეადგენდა ლ 0.0.1260-ს (2017 წ.: ლ 0.01166).

(ათას ლარში)

18. საკუთარი კაპიტალი (გაგრძელება)

საბაზო/განზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბერს კონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებს არ ჰქონდა განზავების ეფექტი, რადგან ლ 0.050 კონვერტაციის ფასი აღემატებოდა აღნიშნული პერიოდის კოტირებულ საშუალო შეწონილ საბაზრო ფასს – ლ 0.039-ს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. ამრიგად, 2018 წლის 31 დეკემბრისთვის პოტენციურ განზავებაში არ მონაწილეობდა 4,565,384 კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციის ჩვეულებრივ აქციებად კონვერტაციის პოტენციური ეფექტი (2017 წლის 31 დეკემბრისთვის კონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებს არ ჰქონდა განზავების ეფექტი, რადგან ლ 0.050-ის კონვერტაციის ფასი აღემატებოდა აღნიშნული პერიოდის კოტირებულ საშუალო შეწონილ საბაზრო ფასს – ლ 0.033-ს).

დივიდენდები

2018 წელს ბანკს არ გადაუხდია დივიდენდები თავის ჩვეულებრივ აქციებზე (2017 წ.: ლ 20,000). 2018 წელს ბანკმა კონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებზე გადაიხადა დივიდენდები ლ 776-ის ოდენობით (2017 წ.: ლ 1,044).

სხვა რეზერვები

სხვა რეზერვების დინამიკა ასეთია:

	<i>ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი</i>
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16,789
გაყიდული აქტივის გადაფასების რეზერვი, გადასახადის გათვალისწინებით	(40)
ქონების გადაფასების რეზერვის ცვეთა მოგების გადასახადის გათვალისწინებით	(335)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16,414
გაყიდული აქტივის გადაფასების რეზერვი, გადასახადის გათვალისწინებით	(176)
ქონების გადაფასების რეზერვის ცვეთა მოგების გადასახადის გათვალისწინებით	(325)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	15,913

სხვა რეზერვების ხასიათი და დანიშნულება

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი გამოიყენება შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულების გაზრდის და შემცირებების აღრიცხვისათვის, იმ პირობით, თუ ამგვარი შემცირება უკავშირდება საკუთარ კაპიტალში ადრე ასახული იმავე აქტივის ზრდას.

(ათას ლარში)

19. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო გარემო

2019 წლის თებერვალსა და აპრილში, სარეიტინგო სააგენტოებმა „Fitch“ და „Standard & Poor’s“ განაახლეს საქართველოსთვის მათ მიერ მინიჭებული სუვერენული რეიტინგი „BB“ და „BB“-ით, „დადებითი“ პროგნოზით, ხოლო 2017 წლის სექტემბერში „Moody’s“-მა თავისი რეიტინგი ერთი ნიშნულით, „Ba2“-მდე, გააუმჯობესა. ბოლო წლებში ქვეყანამ განახორციელა და მეტწილად შეინარჩუნა ფართომასშტაბიანი სტრუქტურული რეფორმები. 2018 წელს ბიზნესის წარმოების სიმარტივის მიხედვით საქართველო მსოფლიო ბანკის რეიტინგში მე-6 ადგილზე (2018 წელს მე-9 ადგილზე იყო), ხოლო, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, მე-16 ადგილზე გავიდა. მიუხედავად ამისა, იგი მაინც მცირე ზომის, ღია ეკონომიკის მქონე, ქვეყანაა და მასზე გავლენას ახდენს გარე ტენდენციები და ზეწოლა. ფულადი გადარიცხვებიდან წმინდა შემოდინება გაიზარდა 13.8%-ით (2017 წლის 1,387 მილიონი აშშ დოლარის მაჩვენებლიდან 2018 წლის 1,579 მილიონი აშშ დოლარის მაჩვენებლამდე), საერთაშორისო ტურისტების შემოსვლამ 9.8%-ით იმატა (2017 წლის 7.9 მილიონიანი მაჩვენებლიდან 2018 წლის 9.7 მილიონიანი მაჩვენებლამდე). რეალური მშპ 2018 წელს 4.7%-ით გაიზარდა 2017 წლის 4.8%-იან და 2016 წლის 2.8%-იან მაჩვენებლებთან შედარებით.

ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ის 3.3%-მდე შემცირდა 2017 წლის 3.9%-იანი მაჩვენებლიდან. სათანადო ფისკალური და საკრედიტო-ფულადი ზომების ურთიერთქმედებისა და საბანკო სექტორის გონივრული ზედამხედველობის შედეგად ფინანსურმა სექტორმა და საკრედიტო რისკებმა დადებითი დინამიკა შეინარჩუნა, რის შედეგადაც საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელი 19.3%-ით გაიზარდა და, ამავდროულად, უმოქმედო სესხები (ანუ 90 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული სესხები) შედარებით დაბალ დონეზე შენარჩუნდა (3%-ზე ნაკლები) მთლიანი საბანკო სექტორისთვის. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხებისა და ანაზრების დოლარიზაციის კოეფიციენტი სტაბილურად 57.1%-სა და 63.1%-ზე შენარჩუნდა (2017 წ.: 56.9% და 65.6%, შესაბამისად).

პერიოდის ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი, რომელიც 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 6.0%-ს შეადგენდა, 2018 წლის 31 დეკემბრისთვის 2.6%-მდე შემცირდა. ფასის ზრდის თითქმის 40% განპირობებული იყო აქციზის გადასახადის ზრდით. სახელმწიფო ვალის წილი მშპ-ში 2018 წელს უცვლელად შენარჩუნდა 44.7%-ზე. სახელმწიფო და სებ-ი საკმარის ლიკვიდურობას ინარჩუნებენ სებ-ში სახელმწიფო ფულადი დეპოზიტებისა და სებ-ის საერთაშორისო რეზერვების სახით (სებ-ის საერთაშორისო რეზერვები შემცირდა 10.2%-ით და 2018 წელს 2,911 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა მაშინ, როდესაც 2017 წელს იგივე მაჩვენებელი 3,039 მილიონ აშშ დოლარს უტოლდებოდა). 2019 წელს შეინიშნება ფუნდამენტური ეკონომიკური ფაქტორების გაუმჯობესება რეგიონში და მოსალოდნელზე მაღალი ზრდის იმპულსი საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორებს შორის (2018 წელს ექსპორტში დაფიქსირდა 22.9%-იანი წლიური ზრდა); სწრაფზრდადი ტურიზმის სექტორი (2018 წელს ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 18.3%-ით და 3.2 მილიარდი აშშ დოლარი, ანუ მშპ-ის 18.2%, შეადგინა); მსხვილი საინვესტიციო პროექტების დაწყება და მთავრობის მიერ განხორციელებული, ზრდის გაძლიერებაზე ორიენტირებული, რეფორმების პოზიტიური გავლენის დაჩქარება.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ბანკი მზად არის ფეხი აუწყოს უახლოეს ტენდენციას, რადგან მას აქვს საკმაოდ დივერსიფიცირებული საცალო სესხების პორტფელი, დაბალი კონცენტრაცია საერთო საკრედიტო პორტფელში და ფინანსური რესურსების ბაზა; მაღალი კაპიტალიზაცია და საკმაოდ სტაბილური ლიკვიდურობის ბუფერი. ამასთან, ჯგუფის რეფინანსირების რისკი, როგორც წესი, არსებითად დაბალია ფიქსირებული განაკვეთის მქონე საცალო ვადიანი ანაზრებისა და სადეპოზიტო სერტიფიკატების მნიშვნელოვანი წილის გამო.

იურიდიული

საქმიანობის ჩვეულებრივი მსვლელობისას, ჯგუფის წინააღმდეგ შესაძლოა აღიძრას სარჩელები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ სარჩელებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო ფუნქციონირებაზე.

(ათას ლარში)

19. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

იურიდიული (გაგრძელება)

ჯგუფის პირობითი ვალდებულებები შემდეგია:

	<i>2018</i>	<i>2017</i>
საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები		
გარანტიები	8,039	840
სესხების გაცემის ვალდებულება	73,303	32,312
	81,342	33,152
ვალდებულებები საოპერაციო იჯარიდან		
არაუგვიანეს 1 წლისა	11,412	7,445
1 წელზე გვიან, მაგრამ არაუგვიანეს 5 წლისა	29,470	20,959
5 წელზე გვიან	13,379	8,104
	54,261	36,508
პირობითი ვალდებულებები კაპიტალური დანახარჯებიდან	7,622	2,330
პირობითი ვალდებულებები (უზრუნველყოფის გამოქვითვამდე)	143,225	71,990
გამოკლებული – გამოშვებული გარანტიების უზრუნველსაყოფად განკუთვნილი ნაღდი ფული (<i>16 შენიშვნა</i>)	(3,884)	(814)
პირობითი ვალდებულებები	139,341	71,176

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს ჰქონდა ბანკების კომპლექსური დაზღვევა, დირექტორებისა და თანამშრომლების პასუხისმგებლობის, ასევე ქონებისა და ავტოტრანსპორტის დაზღვევა.

ყველა ვალდებულება პირველი ეტაპისთვისაა მიკუთვნებული და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მნიშვნელოვანი მოძრაობა წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა.

20. წმინდა საკომისიო შემოსავალი

წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებელიდან მოიცავს შემდეგს:

	<i>2018</i>	<i>2017</i>
ოპერაციები პლასტიკური ბარათებით	9,749	10,157
საანგარიშსწორებო ოპერაციები	6,702	6,020
ფულადი გადარიცხვები	3,704	4,750
კომუნალური გადახდებიდან მიღებული საკომისიო შემოსავალი	2,422	3,517
საკასო ოპერაციები	2,281	3,370
გარანტიები და აკრედიტივები	102	26
სხვა	6,098	6,769
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო	31,058	34,609
ოპერაციები პლასტიკური ბარათებით	(6,375)	(6,160)
კომუნალურ გადახდებზე გაწეული საკომისიო ხარჯი	(669)	(755)
საანგარიშსწორებო ოპერაციები	(947)	(798)
საკასო ოპერაციები	(69)	(11)
საკომისიო ხარჯი	(8,060)	(7,724)
წმინდა საკომისიო შემოსავალი	22,998	26,885

(ათას ლარში)

20. წმინდა საკომისიო შემოსავალი (გაგრძელება)

შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ჯგუფი შემოსავალს მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ძირითადად წარმოადგენს გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან აღიარებულია 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და შეადგინა ლ 31,058.

მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, ჯგუფმა ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარა შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები:

	<i>2018</i>	<i>1 იანვარი, 2018 წ.</i>
დარიცხული მისაღები შემოსავალი (წარმოდგენილი სხვა აქტივებში)	120	151

ჯგუფი იყენებს ფასს 15-ის 121-ე მუხლით გათვალისწინებულ პრაქტიკული მიზანშეწონილობის პრინციპს და არ წარმოადგენს ინფორმაციას დარჩენილი საკონტრაქტო ვალდებულებების შესახებ, რომელთა თავდაპირველი მოსალოდნელი ვადაც მაქსიმუმ ერთი წელია.

21. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მოიცავს შემდეგს:

	<i>2018</i>	<i>2017</i>
შემოსავალი კლიენტთა სესხების და ავანსების დაფარვის დაგვიანებასთან დაკავშირებული ჯარიმებიდან	13,188	18,371
შემოსავალი იჯარიდან	289	344
შემოსულობა აქტივების გაყიდვიდან	286	379
გასაყიდად გამიზნულ ინვესტიციაში აქციების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	-	1,026
შემოსულობა აქტივების გადაფასებიდან	-	46
სხვა	5,268	1,295
სხვა შემოსავლები, სულ	19,031	21,461

(ათას ლარში)

22. თანამშრომლებზე გაწეული და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

თანამშრომლებზე გაწეული და სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს შემდეგს:

	2018	2017
ხელფასები	52,998	53,434
ცვალებადი ყოველთვიური პრემია	7,281	7,785
სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული პრემიალური თანხები	7,193	9,057
სუბორდინირებული ვალის კონტრაქტების თანამშრომლების შენარჩუნება	-	1,760
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	67,472	72,036

	2018	2017
იჯარა და ქირა	10,327	8,865
საკომუნიკაციო მომსახურება	3,332	3,707
საოფისე მარაგები	3,009	2,648
იურიდიული და სხვა პროფესიული მომსახურება	2,657	3,861
კომუნალური ხარჯი	2,203	2,286
მარკეტინგი და რეკლამა	1,978	3,937
შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	1,613	1,347
საოპერაციო გადასახადები	1,382	1,326
დაცვა-უსაფრთხოება	965	1,095
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები	832	836
მგზავრობის ხარჯი	580	865
კორპორაციული წამახალისებელი ღონისძიებები	575	405
აუდიტი, აუდიტთან დაკავშირებული და სხვა მომსახურების ხარჯები	300	380
სხვა	3,342	3,492
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	33,095	35,050

ბანკის აუდიტორის ანაზღაურება 31 დეკემბრით დასრულებული 2018 წლისა და 2017 წლისთვის (დღგ-ის გარეშე):

	2018	2017
გასამრჯელო ბანკის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის	268	259
სხვა პროფესიული მომსახურების დანახარჯები	-	354
სულ გასამრჯელოები და ხარჯები	268	613

სხვა აუდიტორებისა და აუდიტორული კომპანიებისთვის მათ მიერ გაწეულ პროფესიულ მომსახურებაში გადასახდელი გასამრჯელო და ასანაზღაურებელი დანახარჯები შეადგენდა ლ 76 (2017 წ.: ლ 142).

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა

შესავალი

ჯგუფის საქმიანობისთვის გარკვეული რისკებია დამახასიათებელი, და მათი მართვა ხორციელდება გამოვლენის, შეფასებისა და კონტროლის უწყვეტი პროცესით, რისკების ლიმიტებისა და კონტროლის სხვა მექანიზმების მეშვეობით. რისკის მართვას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჯგუფის რენტაბელურობისათვის და ჯგუფის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თავისი საქმიანობის ფარგლებში. ჯგუფის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის, საბაზრო, საოპერაციო რისკები და სხვა არაფინანსური რისკები. ჯგუფის მიერ დანერგილი რისკის მართვის სისტემა საქმიანობის თითოეული მიმართულებისთვის თითოეული ტიპის რისკის დასაშვებ დონეს აწესებს და უზრუნველყოფას მის დაცვას.

რისკის მართვაზე პასუხისმგებელი პირების მოვალეობაა, უზრუნველყონ, რომ ჯგუფი აკმაყოფილებდეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ პოლიტიკას რისკის დასაშვები დონის შესახებ. მასთან შესაბამისობას უზრუნველყოფა ხდება რისკის დასაშვები დონის მაჩვენებლების მუდმივი მეთვალყურეობითა და, გარემოებების შეცვლის შემთხვევაში, ამ პარამეტრების შეცვლის წინადადებების წამოყენებით. რისკის დასაშვები დონის შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული პოლიტიკის მონიტორინგზე საბოლოო პასუხისმგებლობა აკისრია საწარმოს რისკის მართვის ქვეგანყოფილებას. პოლიტიკა რისკის დასაშვები დონის შესახებ აწესებს რისკის გამომწვევი მოვლენების დადგომისა და ლიმიტების დარღვევის ესკალაციის სცენარებს იმისათვის, რომ დროულად და ეფექტურად დაიწყოს და განახორციელოს რისკის შემცირებისკენ მიმართული წინასწარ განსაზღვრული ზომები. ჯგუფის ყოველდღიურ საქმიანობაში ეფექტურად ჩართვის მიზნით, რისკის დასაშვები დონის შესახებ პოლიტიკის პარამეტრები უფრო დაწვრილებითი სახითაა წარმოდგენილი ბიზნესერთეულებისა და ოპერაციების დონეებზე. დირექტორთა საბჭოს აქტიური მონაწილეობით, რისკის მართვის ფუნქციები უზრუნველყოფს სათანადო კომუნიკაციას და სიცხადეს ყველა დონეზე, რისკის ამოცანებთან მიმართებაში, რისკის პროფილის მუდმივ მონიტორინგს და მისი შესაბამისობის შემოწმებას რისკის დასაშვები დონის შესახებ პოლიტიკასთან, ასევე რისკების დროულად აღმოჩენასა და მათ შესამცირებლად ზომების შემუშავებას.

რისკების მართვის სისტემა და სტრუქტურა

ჯგუფის რისკის მართვის სისტემის დანერგვასა და ზედამხედველობაზე საბოლოო პასუხისმგებლობა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ეკისრება. სამეთვალყურეო საბჭოს დაფუძნებული აქვს კომიტეტები, რომლებსაც ევალებათ შესაბამის კონკრეტულ სფეროში ჯგუფის რისკის მართვის სხვადასხვა პოლიტიკის შედგენა და კონტროლი, რომლებიც აისახება პოლიტიკაში რისკის დასაშვები დონის შესახებ.

ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკა შეიქმნა იმისთვის, რომ მოხდეს ჯგუფის წინაშე მდგარი რისკების გამოვლენა და გაანალიზება, რისკის სათანადო ლიმიტების დაწესება და კონტროლის მექანიზმების შემუშავება, და რისკებისა და მათი ლიმიტების დაცვის ზედამხედველობა. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემები რეგულარულად გადაიხედება, რომ მასში აისახოს საბაზრო პირობებში და ბაზარზე შეთავაზებულ პროდუქტებსა და მომსახურებებში მომხდარი ცვლილებები. ჯგუფს, თავისი მართვის სტანდარტებით, პროცედურებითა და ტრენინგებით, აქვს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომელშიც თანამშრომლებს კარგად აქვთ გააზრებული თავიანთი როლები და მოვალეობები.

აუდიტის კომიტეტი

აუდიტის კომიტეტი პასუხს აგებს ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებთან შესაბამისობის ზედამხედველობაზე, ასევე რისკის მართვის სისტემის ადეკვატურობის შემოწმებაზე ჯგუფის წინაშე მდგარ რისკებთან მიმართებაში. კომიტეტი პასუხისმგებელია რისკის ძირითად საკითხებზე და მართავს და ამოწმებს რისკთან დაკავშირებულ შესაბამის გადაწყვეტილებებს. აუდიტის კომიტეტს ამ ფუნქციების შესრულებაში შიდა აუდიტი ეხმარება.

*(ათას ლარში)***23. რისკის მართვა (გაგრძელება)****რისკების მართვის სისტემა და სტრუქტურა (გაგრძელება)***შიდა აუდიტი*

ჯგუფში რისკების მართვის პროცესებს მეთვალყურეობს ჯგუფის შიდა აუდიტი, რომელიც სისტემატური და არასისტემატური შემოწმებებით ადგენს პროცედურების ადეკვატურობასა და ჯგუფის შესაბამისობას პროცედურებთან. შიდა აუდიტი ყველა შეფასების შედეგს განიხილავს დირექტორთა საბჭოსთან და აუდიტის კომიტეტს შედეგებსა და რეკომენდაციებს მოახსენებს.

სხვა სტრუქტურული ერთეულები

რისკების იდენტიფიკაციასა და კონტროლს ძირითადად ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, თუმცა რისკების მართვა და მონიტორინგი ასევე ხორციელდება ჯგუფის დამოუკიდებელი განყოფილებების მიერ. რისკის დასაშვები დონის ზღვარს აწესებს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო მონიტორინგი ევალებათ შემდეგ კომიტეტებს და სტრუქტურულ ერთეულებს, დირექტორთა საბჭოს აქტიური მონაწილეობით:

- ▶ საკრედიტო რისკს მართავენ საკრედიტო რისკის კომიტეტები;
- ▶ ლიკვიდურობის რისკს მართავს აქტივებ-პასივების მართვის კომიტეტი;
- ▶ საბაზრო რისკს მართავს აქტივ-პასივების კომიტეტი;
- ▶ საოპერაციო რისკს მართავს საოპერაციო რისკის მართვის განყოფილება დირექტორთა საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობით;
- ▶ საინფორმაციო უსაფრთხოებისა და ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ რისკებს მართავს საინფორმაციო უსაფრთხოების განყოფილება.

კომიტეტები დაკომპლექტებულია ყველა შესაბამისი ბიზნესერთეულის წარმომადგენლებით და რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს დირექტორთა საბჭოს.

ჯგუფში ყოველდღიური საქმიანობისა და ოპერაციების თანმდევი რისკების მართვა ბანკის საქმიანობის შესაბამისი მიმართულებების ამოცანაა. ბიზნესპროცესებს ახლავს მკონტროლებელი დონისძიებები, რომლებსაც ახორციელებენ შესაბამისი რისკის განყოფილების წარმომადგენლები. რისკის მართვის ფუნქციის მქონე სტრუქტურული ერთეულები დაცვის მეორე ხაზს წარმოდგენენ. საკრედიტო, ლიკვიდურობის, საბაზრო, საოპერაციო და სხვა ფინანსური რისკების ყოველდღიურ მართვაზე პასუხისმგებლები არიან შემდეგი განყოფილებები:

- ▶ საწარმოს რისკის მართვა;
- ▶ საკრედიტო ანდერაიტინგი;
- ▶ კრედიტების ადმინისტრირება;
- ▶ საკრედიტო კონტროლი;
- ▶ დავალიანების ამოღება;
- ▶ საოპერაციო რისკის მართვა;
- ▶ საინფორმაციო უსაფრთხოება.

უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის რისკი და შესაბამისობის რისკი იმართება საოპერაციო რისკის მართვის განყოფილების მიერ. დავალიანების ამოღების ფუნქცია გაყოფილია ორ მსხვილ ქვეფუნქციად, რომელთაგან თითოეული პასუხისმგებელია დავალიანების ამოღების პროცესის წარმართვასა და მონიტორინგზე, დაუფარავი დებიტორული დავალიანების ტიპების მიხედვით.

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

რისკების მართვის სისტემა და სტრუქტურა (გაგრძელება)

ჯგუფში ყოველდღიური საქმიანობისა და ოპერაციების თანმდევი რისკების მართვა ბანკის საქმიანობის შესაბამისი მიმართულებების ამოცანაა. ბიზნესპროცესები მოიცავს რისკის მართვის წარმომადგენლების ყოველდღიურ ჩართულობას, რა დროსაც ყურადღება მახვილდება რისკის გამოვლენაზე, ანალიზზე, შეფასებასა და შემცირებაზე.

რისკის შეფასებისა და ანგარიშგების სისტემა

ჯგუფის რისკები ფასდება ისეთი მეთოდით, რომელიც განიხილავს როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში მოსალოდნელ დანაკარგს, ისე გაუთვალისწინებელ დანაკარგს, რომელიც წარმოადგენს სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე პროგნოზირებულ რეალურ ზარალს. მეთოდი ალბათობებს იყენებს ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

რისკების მონიტორინგი და კონტროლი უმთავრესად ხორციელდება რისკის დასაშვები დონის პოლიტიკით დადგენილ ლიმიტებზე დაყრდნობით. ეს ლიმიტები ასახავს ჯგუფის ბიზნეს სტრატეგიას, საბაზრო გარემოს და მისთვის მისაღებ რისკის დონეს.

ყველა საქმიანობიდან მიღებული ინფორმაცია მოწმდება და მუშავდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ადრეული რისკების განსაზღვრა, ანალიზი და კონტროლი. ამ ინფორმაციის წარდგენა და განმარტება ხდება დირექტორთა საბჭოსთვის და თითოეული ბიზნესგანყოფილების ხელმძღვანელისთვის. ზედა რგოლის ხელმძღვანელობა ყოველთვის აფასებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის შექმნილი რეზერვის მართებულობას.

რისკების შესახებ სპეციალურად მომზადებული ანგარიშები მზადდება და ვრცელდება ჯგუფის ყველა დონეზე, რათა ყველა განყოფილებას ჰქონდეს წვდომა ამომწურავ, სათანადო და განახლებულ ინფორმაციაზე.

რისკის შემცირება

საკრედიტო რისკების შესამცირებლად ჯგუფი იყენებს უზრუნველყოფის საგნებს (მკირფასი ქვები, უძრავი ქონება, ანაბრები, ფასიანი ქაღალდები, მოძრავი ქონება, დებიტორული დავალიანება და კომპანიის აქციები) და მიმართავს დივერსიფიკაციას.

რისკის ჭარბი კონცენტრაცია

კონცენტრაცია წარმოიქმნება, როდესაც მთელი რიგი მონაწილე მხარეები ჩართულნი არიან ანალოგიურ საქმიანობებში, ერთსა და იმავე გეოგრაფიულ ერთეულში საქმიანობენ, ან აქვთ მსგავსი ეკონომიკური მახასიათებლები, რის გამოც მათ მიერ საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულების უნარზე ერთნაირად მოქმედებს ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა პირობების ცვლილებები. კონცენტრაცია მიგვანიშნებს ჯგუფის საქმიანობის მეტ მგრძობელობაზე იმ გარემოებების მიმართ, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ კონკრეტულ დარგზე ან გეოგრაფიულ მდებარეობაზე. ჯგუფის რისკის მართვის ფუნქციები უზრუნველყოფს იმას, რომ რისკის კონცენტრაციის პოტენციური უარყოფითი გავლენა დროულად გამოვლინდეს, შესაბამისი რისკები სათანადოდ შეფასდეს და, საბოლოოდ, დაიგეგმოს და განხორციელდეს საპასუხო ზომები. პოლიტიკა რისკის დასაშვები დონის შესახებ აწესებს ლიმიტებს საკრედიტო, ლიკვიდურობისა და საბაზრო რისკების ჭარბ კონცენტრაციაზე.

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფმა შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა კლიენტებმა ან მონაწილე მხარეებმა ვერ შეძლეს საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულება. ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით ცალკეული მონაწილე მხარეების, ასევე გეოგრაფიული და დარგობრივი კონცენტრაციებისთვის და რისკების ამ ლიმიტებთან შესაბამისობის მონიტორინგით.

ჯგუფმა შეიმუშავა საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი, რათა უზრუნველყოს გარიგებაში მონაწილე მხარეების კრედიტუნარიანობაში სავარაუდო ცვლილებების ადრეული გამოვლენა. მათ შორისაა უზრუნველყოფის რეგულარული შემოწმებაც. საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი ჯგუფს საშუალებას აძლევს შეაფასოს რისკებით გამოწვეული პოტენციური ზარალი და მიიღოს მაკორექტირებელი ზომები.

მსესხებლის მიერ ლიმიტების დარღვევის მონიტორინგი ხდება გაცემულ სესხებზე. საკრედიტო კომიტეტი შეიძლება ამ ლიმიტების შეცვლის ინიციატივით გამოვიდეს.

საჭიროების შემთხვევაში ჯგუფი ითხოვს გირაოს და კომპანიის თავდებობას. საკრედიტო რისკების მონიტორინგი ხდება უწყვეტად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების რისკი

ჯგუფი თავის კლიენტებს სთავაზობს გარანტიებს, რომელთა მიხედვითაც ჯგუფს შესაძლოა მოუწიოს მათი სახელით გადახდა. ასეთი თანხების ამოღება კლიენტებისგან ხდება აკრედიტივის პირობების მიხედვით. ამ შემთხვევაში, ჯგუფი დგას სესხის გაცემისთვის დამახასიათებელი რისკების წინაშე, ამ რისკების შემცირება ხდება სესხებზე გამოყენებული პოლიტიკისა და კონტროლის პროცესების შესაბამისად.

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

გაუფასურების შეფასება

2018 წლის 1 იანვრიდან ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს გამოითვლის ალბათობის რამდენიმე სცენარზე დაყრდნობით იმისათვის, რომ შეაფასოს ფულადი სახსრების მოსალოდნელი დეფიციტი, რომელიც დისკონტირებულია ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. ფულადი სახსრების დეფიციტი არის სხვაობა ხელშეკრულების შესაბამისად საწარმოსთვის გადასახდელ ფულად ნაკადებს და იმ ფულად ნაკადებს, რომელთა მიღებასაც საწარმო მოელის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ და მისი ძირითადი კომპონენტებია:

დეფოლტის ალბათობა დეფოლტის ალბათობა არის გარკვეული დროის განმავლობაში დეფოლტის დადგომის შესაძლებლობის შეფასება. დეფოლტი შეიძლება დადგეს მხოლოდ შესაფასებელი პერიოდის გარკვეულ მომენტში, თუ სესხის აღიარება მანამდე არ შეწყვეტილა და ჯერ კიდევ პორტფელის ნაწილია.

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება დეფოლტის დავალიანების შეფასება დეფოლტის სამომავლო თარიღისთვის, საანგარიშგებო თარიღის შემდეგ დავალიანებაში მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით, რომელთა შორისაცაა ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა, ხელშეკრულების მიხედვით ან სხვაგვარად, კრედიტების, რომელთა გაცემის ვალდებულება ნაკისრია, მოსალოდნელი ათვისება და გადაუხდელ შენატანებზე დარიცხული პროცენტი.

დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში არის დროის გარკვეულ მომენტში დეფოლტის დადგომის შემთხვევაში წარმოქმნილი ზარალის შეფასება. ეყრდნობა სხვაობას გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელთა მიღებასაც კრედიტორი მოელის, მათ შორის უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის გზით. ჩვეულებრივ, გამოიხატება დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების პროცენტის სახით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე დაყრდნობით, თუ არ შეიმჩნევა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ან გაუფასურების სხვა ნიშნები რეზერვის შექმნის თარიღიდან, რა შემთხვევაშიც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი დაეყრდნობა აქტივის არსებობის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). 12-თვიანი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, კერძოდ ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევების შედეგად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და 12-თვიანი საკრედიტო ზარალი გამოითვლება ან ინდივიდუალურად, ან კოლექტიურად, შესაბამისი ფინანსური აქტივების პორტფელის ხასიათიდან გამომდინარე.

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ჯგუფმა დანერგა პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის აფასებს, თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის თუ არა გაზრდილი ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი, რისთვისაც ითვალისწინებს დეფოლტის რისკის ცვლილებას ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში. ზემოაღნიშნულ პროცესზე დაყრდნობით, ჯგუფი აჯგუფებს თავის სესხებს 1-ელ, მე-2, მე-3 ეტაპებად და შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებულად, როგორც აღწერილია ქვემოთ:

პირველი ეტაპი: სესხების თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფი ქმნის რეზერვს 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით. პირველი ეტაპის სესხები ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი შემცირებულია და სესხი რეკლასიფიცირებულია მეორე ეტაპიდან.

მეორე ეტაპი: როდესაც სესხის წარმოშობის შედეგად საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, ჯგუფი ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. მეორე ეტაპის სესხები ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი შემცირებულია და სესხი რეკლასიფიცირებულია მესამე ეტაპიდან.

მესამე ეტაპი: სესხები, რომლებიც გაუფასურებულად მიიჩნევა. ჯგუფი ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს.

შესყიდვისას ანშესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული აქტივები არის ისეთი ფინანსური წარმოქმნისას აქტივები, რომლებიც გაუფასურებულია თავდაპირველი აღიარებისას. შესყიდვისას ან გაუფასურებულ წარმოქმნისას გაუფასურებული აქტივები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისას და საპროცენტო შემოსავლის აღიარება შემდეგ ხდება კრედიტის მიხედვით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ან შემცირება ხდება მხოლოდ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილების შესაბამისად.

დეფოლტის განმარტება და აღმოფხვრა

ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტს გადაუხდელოდ და, შესაბამისად, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსაანგარიშებლად, მე-3 საფეხურზე მყოფად (გაუფასურებულად) მიიჩნევს ყველა ისეთ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელი 90 დღით დააგვიანებს ხელშეკრულების თანახმად გადახდას. ჯგუფი ბანკებისგან მისაღებ თანხებს მიიჩნევს გადაუხდელოდ და იღებს დაუყოვნებლივ ზომებს მაშინ, როდესაც დღის განმავლობაში მოთხოვნილი გადახდები არ იფარება სამუშაო დღის დახურვის დროისთვის ცალკეული ხელშეკრულებების შესაბამისად.

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

იმის ხარისხობრივი შეფასებისას, კლიენტს დარღვეული აქვს თუ არა გადახდის პირობა, ჯგუფი ასევე განიხილავს სხვადასხვა მოვლენას, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ გადახდა არ არის მოსალოდნელი. ასეთი მოვლენების დადგომისას, ჯგუფი საგულდაგულოდ ამოწმებს მომხმარებლის სტატუსს, რათა, თუ მან არ შეასრულა ვალდებულება, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლისას მიაკუთვნოს მე-3 ეტაპს, ან ხომ არ არის მე-2 ეტაპი უფრო მართებული. ეს მოვლენები მოიცავს შემდეგს:

- ▶ მსესხებლის შიდა რეიტინგი მიანიშნებს ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე კრედიტის დეფოლტზე ან დეფოლტამდე მისვლაზე;
- ▶ მსესხებელმა გადაუდებელი დაფინანსებას ითხოვს ჯგუფისგან;
- ▶ მსესხებლის გარდაცვალება;
- ▶ შესაბამისი უზრუნველყოფის საგნის ღირებულების მკვეთრი შემცირება, თუ სესხის ამოღება უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციით არის მოსალოდნელი;
- ▶ მსესხებლის ბრუნვის მკვეთრი შემცირება ან მსხვილი კლიენტის დაკარგვა;
- ▶ ისეთი პირობის დარღვევა, რაზეც ჯგუფს ნებართვა არ გაუცია;
- ▶ დებიტორის (ან დებიტორის ჯგუფში შემავალი იურიდიული პირის) გაკოტრების საქმე იხსნება;

ჯგუფის პოლიტიკის თანახმად, იგი ფინანსურ ინსტრუმენტს განიხილავს „გამოსწორებულად“ და, შესაბამისად, მე-3 ეტაპიდან რეკლასიფიცირებულად, როდესაც დეფოლტის არცერთი კრიტერიუმი არ არის წარმოდგენილი მინიმუმ ექვსი თანმიმდევრული თვის განმავლობაში. გადაწყვეტილება იმის შესახებ, აქტივი მე-2 ეტაპს უნდა მიეკუთვნოს თუ 1-ელს, დამოკიდებულია დეფოლტის აღმოფხვრისას განახლებულ საკრედიტო რეიტინგზე, და იმაზე, ხომ არ მიანიშნებს ეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდაზე თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

შიდა რეიტინგი და დეფოლტის ალბათობის პროგნოზირების პროცესი

ჯგუფის დამოუკიდებელი საკრედიტო რისკის განყოფილება ფუნქციონირებს S&P-ის სარეიტინგო მოდელების საფუძველზე და მნიშვნელოვანი დავალიანებების შემთხვევაში იყენებს შეფასების სკალებს. მოდელები მოიხმარს როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და, უშუალოდ მსესხებლის შესახებ ინფორმაციის გარდა, ასევე გამოიყენებს დამატებით გარე ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მსესხებლის ქცევაზე. თუ შესაძლებელია, ისინი ასევე ეყრდნობა ადგილობრივი და საერთაშორისო გარე სარეიტინგო სააგენტოებისგან მიღებული ინფორმაციას. თითოეულ რეიტინგს ენიჭება დეფოლტის ალბათობა, რომელიც ეფუძნება საპროგნოზო ინფორმაციას და ფასს 9-ის მიხედვით დავალიანების კლასიფიკაციას. ეს მეორდება თითოეული ეკონომიკური სცენარისთვის.

ხაზინა და ბანკთაშორისო ურთიერთობები

ჯგუფის სახაზინო და ბანკთაშორისი ურთიერთობები და კონტრაქტები არიან ფინანსური მომსახურების გამწევი დაწესებულებები, ბანკები, საბროკერო-სადილერო კომპანიები, სავალუტო და საკლირინგო ცენტრები. ამ ურთიერთობებისთვის ჯგუფის საკრედიტო რისკის განყოფილება აანალიზებს საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას, როგორცაა ფინანსური ინფორმაცია და სხვა გარე მონაცემები, მაგალითად, გარე რეიტინგები, და მათ ანიჭებს შიდა რეიტინგს ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით.

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

კორპორატიული სესხები და სესხები მცირე ბიზნესისთვის

კორპორატიული სესხების შემთხვევაში, მსესხებლებს აფასებენ ჯგუფის საკრედიტო რისკის განყოფილების სპეციალისტები. საკრედიტო რისკის შეფასება ეყრდნობა კრედიტუნარიანობის შეფასების მოდელს, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ისტორიულ, მიმდინარე და საპროგნოზო ინფორმაციას, როგორცაა:

- ▶ ისტორიული ფინანსური ინფორმაცია, კლიენტის მიერ მომზადებულ პროგნოზებთან და ბიუჯეტებთან ერთად. ეს ფინანსური ინფორმაცია მოიცავს რეალიზებულ და მოსალოდნელ შედეგებს, გადახდისუნარიანობის, ლიკვიდურობის და სხვა შესაბამის კოეფიციენტებს, რომლებითაც ვასდება კლიენტის ფინანსური მდგომარეობა. ზოგიერთი ეს მაჩვენებელი ჩადებულია კლიენტებთან შეთანხმების პირობებში და ამიტომ, მეტი ყურადღებით ვასდება.
- ▶ მესამე მხარეებისგან კლიენტების შესახებ მიღებული ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია. ეს გულისხმობს სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებულ გარე რეიტინგებს, დამოუკიდებელი ანალიტიკოსების ანგარიშებს, საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული ობლიგაციების ვასებს, პრესრელიზებს და სტატიებს.
- ▶ ნებისმიერი მაკროეკონომიკური ან გეოპოლიტიკური ინფორმაცია, მაგალითად, მშპ-ის ზრდა, რომელიც აქტუალურია კონკრეტული დარგისთვის და გეოგრაფიული სეგმენტებისთვის, რომლებშიც კლიენტი ეწევა საქმიანობას.
- ▶ ნებისმიერი სხვა ობიექტური და გადამოწმებადი ინფორმაცია კლიენტის მმართველობის ხარისხისა და უნარების შესახებ, რაც განსაზღვრავს კომპანიის საქმიანობას.

რეიტინგის მინიჭების ხერხების სირთულე და დეტალიზაცია განსხვავდება ჯგუფის წინაშე დავალიანებისა და კლიენტი კომპანიის კომპლექსურობისა და ზომის მიხედვით. შედარებით ნაკლებად კომპლექსური ბიზნესსესხებისთვის რეიტინგის მინიჭება ხდება ჯგუფის საცალო პროდუქტებისთვის მოდელის საფუძველზე.

სამომხმარებლო სესხები და საცხოვრებელი სახლის იპოთეკა

ერთგვაროვანი საცალო სესხების ჯგუფების მოდელირება ხდება შესაბამის მაკროეკონომიკურ ცვლადებზე დაყრდნობით. ამის შემდეგ თითოეულ პროდუქტს ენიჭება ინდივიდუალური მაკროეკონომიკური სცენარი. თითოეულ საცალო პროდუქტს მინიმუმ სამი მაკროეკონომიკური ცვლადი ენიჭება. სხვა მნიშვნელოვანი ამოსავალი მონაცემები, რომლებიც ამ მოდელში გამოიყენება, არის მშპ-ის ზრდა, უმუშევრობის დონე, ცვლილება ფიზიკური პირის შემოსავალში/სახელფასო დონეში, ფიზიკური პირების დავალიანება, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, ნომინალური ეფექტური სავალუტო კურსი, სფი-ს ინფლაცია და, საცხოვრებელი სახლის იპოთეკების შემთხვევაში, სესხის ფარდობა უზრუნველყოფის ღირებულებასთან.

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება წარმოადგენს იმ ფინანსური ინსტრუმენტების საერთო საბალანსო ღირებულებას, რომელთა გაუფასურება გამოსათვლელია, და აფასებს როგორც კლიენტის უნარს, გაზარდოს დავალიანების მოცულობა დეფოლტის მოახლოებასთან ერთად, ისე პოტენციურ წინსწრებით დაფარვებს. 1-ლი ეტაპის სესხის შემთხვევაში, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების გამოსათვლელად ჯგუფი აფასებს დეფოლტის შესაძლო მოვლენებს 12 თვის განმავლობაში, რათა გამოიანგარიშოს 12-თვიანი საკრედიტო ზარალი. მეორე და მესამე ეტაპებისა და შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება ვასდება ინსტრუმენტების არსებობის მანძილზე მომხდარი მოვლენებისთვის.

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში

კორპორატიული დაკრედიტების აქტივების შემთხვევაში, დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში ფასდება წელიწადში ორჯერ საოპერაციო მენეჯერების მიერ და გადაიხედება და მტკიცდება ჯგუფის საკრედიტო რისკის განყოფილების მიერ.

საკრედიტო რისკის შეფასება ხდება დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების შეფასების სტანდარტიზებულ სისტემის საფუძველზე დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების გარკვეული მაჩვენებლის მისაღებად. დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების ეს მაჩვენებლები ითვალისწინებს დეფოლტის მომენტისთვის მოსალოდნელ დაუფარავ დავალიანებას და მას ადარებს იმ თანხას, რომლის ამოღება ან რეალიზება მოსალოდნელია ნებისმიერი უზრუნველყოფის საგნიდან.

ჯგუფი საცალო დაკრედიტების პროდუქტებს ჰყოფს უფრო მომცრო, ერთგვაროვან პორტფელებად იმ ძირითადი მახასიათებლების მიხედვით, რომლებიც აქტუალურია სამომავლო ფულადი ნაკადების შესაფასებლად. გამოყენებული მონაცემები ეყრდნობა წარსულში განცდილი ზარალის მონაცემებს და მოიცავს გარიგებისა (მაგ. პროდუქტის ტიპი, უზრუნველყოფის ტიპების უფრო ფართო სპექტრი) და მსესხებლის უფრო მეტ მახასიათებელს.

საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი უახლესი მონაცემები და საპროგნოზო ეკონომიკური სცენარები გამოიყენება, რომ განისაზღვროს ფასს 9-ის მიხედვით დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტების თითოეული ჯგუფისთვის. საპროგნოზო ინფორმაციის შეფასებისას, მოლოდინი ეფუძნება სხვადასხვა სცენარს. მთავარი ამოსავალი მონაცემების მაგალითებია ცვლილებები უზრუნველყოფის საგნის ღირებულებაში, მათ შორის უძრავი ქონების ფასები იპოთეკისთვის, სასაქონლო ფასები, გადახდისუნარიანობის სტატუსი და სხვა ფაქტორები, რომლებიც მიაჩნიათ ჯგუფის ზარალზე.

დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების დონე ფასდება აქტივის თითოეული კლასის 1-ლი, მე-2, მე-2 ეტაპებისთვის და შექმნილი ან შექმნილი გაუფასურებული სეგმენტისთვის. დეფოლტის შემთხვევაში ამ დანაკარგების დონეების ამოსავალი მონაცემები საპროგნოზოა და, სადაც შესაძლებელია, დაზუსტებულია ისტორიული მონაცემების ტესტირების საფუძველზე დავალიანების წინა ამოღებების მიხედვით. ეს ყველაფერი მეორდება თითოეული ეკონომიკური სცენარისთვის.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

ჯგუფი მუდმივად აკონტროლებს ყველა აქტივს, რომლებზეც მოსალოდნელია საკრედიტო ზარალი. იმის დასადგენად, ინსტრუმენტს ან ინსტრუმენტების პორტფელს ეხება თუ არა 12-თვიანი საკრედიტო ზარალი ან აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, ჯგუფი აფასებს, მნიშვნელოვნად ხომ არ არის გაზრდილი საკრედიტო რისკი აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ეს შეფასება მოიცავს სხვადასხვა პარამეტრის, მათ შორის ფინანსური მდგომარეობისა და შედეგების გაუარესების, ანალიზს. საკრედიტო რეიტინგში ცვლილებების მიუხედავად, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდები 30 დღეზე მეტი ხნითაა ვადაგადაცილებული, ითვლება, რომ საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარებიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა.

კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების დაჯგუფება

ჯგუფი ქვემოთ მოყვანილ ფაქტორებზე დაყრდნობით ან კოლექტიურად, ან ინდივიდუალურად გამოითვლის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს.

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

აქტივების კლასები, რომლებსთვისაც ჯგუფი ინდივიდუალურად გამოითვლის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს:

- ▶ მე-3 ეტაპის აქტივებიდან მხოლოდ ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე რისკის კრედიტები, განურჩევლად ფინანსური აქტივების კლასისა;
- ▶ მე-2 და მე-3 ეტაპები – კორპორატიული და მცირე და საშუალო ზომის სესხები, რომელთა თანხა ერთ მსესხებელზე აღემატება ლ 300-ს;
- ▶ ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე რისკის მატარებელ კრედიტებზე ზარალი ინდივიდუალურად ფასდება. ჯგუფის მეთოდოლოგიის მიხედვით, ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე რისკის მატარებელი კრედიტის მინიმალური ზვარი ლ 300-ია.
- ▶ კრედიტი, რომელიც ლ 300-ზე მცირეა შეიძლება დაექვემდებაროს ინდივიდუალურ შეფასებას ჯგუფის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით.
- ▶ სახაზინო და ბანკთაშორისი ურთიერთობები (მაგალითად, მოთხოვნები ბანკების მიმართ, ფულადი სახსრების ეკვივალენტები და სავალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით არის შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით);

აქტივების კლასები, რომლებზეც მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ჯგუფი კოლექტიურად გამოითვლის:

- ▶ ჯგუფის მცირე ბიზნესის სესხების უფრო მომცრო და სტანდარტული ნაშთები;
- ▶ ყველა საცალო პროდუქტი.

ჯგუფი ამ სესხებს აჯგუფებს უფრო მომცრო ერთგვაროვან პორტფელებად, სესხების შიდა და გარე მახასიათებლების ერთობლიობის საფუძველზე, მაგალითად, გადაცილებული ვადების, პროდუქტის ტიპის, სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტების, ან მსესხებლის საოპერაციო სეგმენტის მიხედვით.

საპროგნოზო ინფორმაცია და სხვადასხვა ეკონომიკური სცენარი

თავის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელებში ჯგუფი ფართო სპექტრის საპროგნოზო ინფორმაციას ეყრდნობა და მათგან იღებს ისეთ ეკონომიკურ მაჩვენებლებს, როგორიცაა:

- ▶ მშპ-ის ზრდა;
- ▶ უმუშევრობის დონეები;
- ▶ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი;
- ▶ ვალუტის კურსები.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად გამოყენებული ამოსავალი მონაცემები და მოდელები შეიძლება ყოველთვის არ ასახავდეს ბაზრის ყველა მახასიათებელს ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის. ამის მხედველობაში მისაღებად, დროებითი შესწორებების სახით ხდება ხარისხობრივი კორექტირებები ან განახლებები, როდესაც ეს სხვაობები საკმაოდ არსებითია.

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ბანკი საპროგნოზო ინფორმაციას იღებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული წყაროებიდან. ჯგუფის საკრედიტო რისკის განყოფილების ექსპერტები განსაზღვრავენ სხვადასხვა სცენარისთვის მისანიჭებელ წონებს. ცხრილებში მოცემულია ძირითადი საპროგნოზო ეკონომიკური ცვლადები/დაშვებები, რომლებიც გამოიყენება ეკონომიკურ სცენარებში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად.

მთავარი ფაქტორები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სცენარი	მინიჭებული ალბათობა, %	2019	2020	2021
ქვეყნის სუვერენული რისკ-პრემიის ცვლილება*	ოპტიმისტური	25%	უცვლელი	უცვლელი	უცვლელი
	საბაზო	50%	უცვლელი	უცვლელი	უცვლელი
	პესიმისტური	25%	+1.0 პროცენტული პუნქტი	+1.0 პროცენტული პუნქტი	+0.5 პროცენტული პუნქტი
ლარი/აშშ დოლარის ნომინალური საგალუტო კურსი	ოპტიმისტური	25%	გამყარება 3%-ით	გამყარება 2%-ით	გამყარება 2%-ით
	საბაზო	50%	უცვლელი	უცვლელი	უცვლელი
	პესიმისტური	25%	გაუფასურება 15%-ით	გაუფასურება 10%-ით	გამყარება 5%-ით
რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (წლიური)	ოპტიმისტური	25%	6.5%	5.5%	5.0%
	საბაზო	50%	5.0%	5.0%	5.0%
	პესიმისტური	25%	2.0%	3.0%	4.0%
უმუშევრობის დონის ცვლილება	ოპტიმისტური	25%	-1.0 პროცენტული პუნქტი	-0.5 პროცენტული პუნქტი	-0.2 პროცენტული პუნქტი
	საბაზო	50%	-0.2 პროცენტული პუნქტი	-0.2 პროცენტული პუნქტი	-0.2 პროცენტული პუნქტი
	პესიმისტური	25%	+1.0 პროცენტული პუნქტი	+0.5 პროცენტული პუნქტი	+0.2 პროცენტული პუნქტი
სფი-ს ინფლაციის ტემპი (წლიური)	ოპტიმისტური	25%	3.6%	3.3%	3.0%
	საბაზო	50%	2.9%	3.0%	3.0%
	პესიმისტური	25%	4.5%	4.0%	3.0%
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	ოპტიმისტური	25%	+0.0 პროცენტული პუნქტი	-0.25 პროცენტული პუნქტი	-0.25 პროცენტული პუნქტი
	საბაზო	50%	-0.25 პროცენტული პუნქტი	-0.25 პროცენტული პუნქტი	-0.5 პროცენტული პუნქტი
	პესიმისტური	25%	+0.5 პროცენტული პუნქტი	+0.0 პროცენტული პუნქტი	-0.75 პროცენტული პუნქტი
ნომინალური ეფექტური გავლენითი კურსი	ოპტიმისტური	25%	გამყარება 3%-ით	გამყარება 5%-ით	უცვლელი
	საბაზო	50%	უცვლელი	უცვლელი	უცვლელი
	პესიმისტური	25%	გაუფასურება 5%-ით	გაუფასურება 5%-ით	გაუფასურება 2%-ით

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასების მიხედვით

ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხი იმართება ჯგუფის ზემოთ აღწერილი შიდა საკრედიტო რეიტინგის სისტემით. ცხრილში მოცემულია საკრედიტო ხარისხი აქტივების კლასების მიხედვით ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგების სასესხო მუხლებისთვის, ცხრილებში მოყვანილ კატეგორიებზე დაყრდნობით.

შენიშვნა	მალალი შეფასება	სტანდარტული შეფასება	სტანდარტულზე დაბალი შეფასება	გაუფასურებული	სულ		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გარდა ნაღდი ფულის ნაშთისა სალაროში	6	პირველი ეტაპი	187,194	–	–	187,194	
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7	პირველი ეტაპი	99,731	–	–	99,731	
მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით	8		916,803	15,842	5,878	14,225	952,748
- კლიენტებზე გაცემული სესხები, რეგულარული შენატანებით		პირველი ეტაპი	391,516	1,661	53	–	393,230
		მეორე ეტაპი	1,944	639	955	–	3,538
		მესამე ეტაპი	–	–	–	3,606	3,606
- მიკროსესხები		პირველი ეტაპი	89,220	2,893	–	–	92,113
		მეორე ეტაპი	927	50	1,171	–	2,148
		მესამე ეტაპი	–	–	–	3,016	3,016
- სამომხმარებლო სესხები		პირველი ეტაპი	102,035	5,698	–	–	107,733
		მეორე ეტაპი	3,341	1,485	2,553	–	7,379
		მესამე ეტაპი	–	–	–	6,516	6,516
- იპოთეკური სესხები		პირველი ეტაპი	58,798	802	–	–	59,600
		მეორე ეტაპი	133	–	417	–	550
		მესამე ეტაპი	–	–	–	490	490
- სალომბარდო სესხები		პირველი ეტაპი	83,529	728	–	–	84,257
		მეორე ეტაპი	–	–	699	–	699
		მესამე ეტაპი	–	–	–	386	386
- კორპორაციული და მცირე და საშუალო ზომის სესხები		პირველი ეტაპი	185,360	1,886	–	–	187,246
		მეორე ეტაპი	–	–	30	–	30
		მესამე ეტაპი	–	–	–	211	211
სავალო ფასიანი ქაღალდები	9	პირველი ეტაპი	197,504	–	–	–	197,504
- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული							
სესხების გაცემის ვალდებულება	19	პირველი ეტაპი	73,002	–	–	–	73,002
ფინანსური გარანტიები	19	პირველი ეტაპი	7,978	–	–	–	7,978
სულ			1,482,212	15,842	5,878	14,225	1,518,157

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შენიშვნა	არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული			ვადაგადაცილებული, მაგრამ არა		სულ
		მაღალი შეფასება	სტანდარტული შეფასება	სტანდარტულზე დაბალი შეფასება	ინდივიდუალურად გაუფასურებული	ინდივიდუალურად გაუფასურებული	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გარდა ნაღდი ფულის ნაშთისა სალაროში	6	307,439	-	-	-	-	307,439
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7	73,430	-	-	-	-	73,430
მომხმარებლებზე გაცემული სესხები საცალო კლიენტებზე გაცემული სესხები, რეგულარული შენატანებით	8	360,795	4,744	1,760	36,069	-	403,368
სამომხმარებლო სესხები მიკროსესხები		187,036	3,949	3,298	66,780	-	261,063
სალომბარდო სესხები		106,337	814	190	9,862	-	117,203
სალომბარდო სესხები იპოთეკური სესხები		57,238	-	4	1,415	1,926	60,583
კორპორატიული, მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხები		18,672	262	210	854	-	19,998
		968	115	68	625	2,560	4,336
		731,046	9,884	5,530	115,605	4,486	866,551
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	9						
- სესხები და მისაღები ანგარიშები		152,425	-	-	-	-	152,425
- დაფარვის ვადამდე ფლობილი		70,375	-	-	-	-	70,375
		222,800	-	-	-	-	222,800
სულ		1,334,715	9,884	5,530	115,605	4,486	1,470,220

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკის შეფასების პოლიტიკა ჯგუფმა ბალანსზე ასახული კრედიტებისთვის ასე განსაზღვრა:

- ▶ ფინანსური აქტივი, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის არ არის ვადაგადაცილებული, ფასდება მაღალი ხარისხის ფინანსურ აქტივად;
- ▶ ფინანსური აქტივი, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის 30 დღემდე ვადით არის გადაცილებული, ფასდება სტანდარტული ხარისხის ფინანსურ აქტივად;
- ▶ ფინანსური აქტივი, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის 30 დღიდან 90 დღემდე ვადით არის გადაცილებული, ფასდება სტანდარტულზე დაბალი ხარისხის ფინანსურ აქტივად;

ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკის შეფასების პოლიტიკა ჯგუფმა ბალანსზე ასახული კრედიტებისთვის ასე განსაზღვრა:

- ▶ რეიტინგის მინიჭება სესხების გაცემის ვალდებულებებისთვის ისეთი კლიენტებისთვის, რომლებსაც სესხები ან რამე სხვა ბალანსური კრედიტი აქვთ, შეესაბამება ბალანსზე ასახულ რეიტინგებს. სესხების გაცემის ვალდებულებების შემთხვევაში, სესხების გაცემის პირობით ვალდებულებებს ენიჭება მაღალი ხარისხი. სესხების გაცემის უპირობო ვალდებულებებს ხარისხი ენიჭება კლიენტების კრედიტუნარიანობის მიხედვით, რასაც ჯგუფის ექსპერტები აკონტროლებენ.
- ▶ ფინანსურ გარანტიებს ენიჭება მაღალი ხარისხი, თუ კლიენტი ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. თუ კლიენტი მეტწილად ასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს, იგი მიეკუთვნება სტანდარტული ხარისხის კატეგორიას, თუ ვერ ასრულებს, მაშინ – სტანდარტულზე დაბალ კატეგორიას, ხოლო ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში – გაუფასურებულ კატეგორიას.

ჯგუფის პოლიტიკა ითვალისწინებს მთლიანი საკრედიტო პორტფელის რისკების ზუსტ და სისტემატურ შეფასებას. ეს ამარტივებს არსებული რისკების ეფექტურ მართვასა და საკრედიტო რისკის გავლენის შედარებას საქმიანობის ყველა სფეროსა და პროდუქტის მიხედვით. რეიტინგის სისტემა დამყარებულია სხვადასხვა ფინანსურ ანალიზზე, აგრეთვე დამუშავებულ საბაზრო მონაცემებზე, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს აუცილებელ კომპონენტს კონტრაქტის რისკის შეფასებისთვის. სხვადასხვა კატეგორიის რისკებისთვის შესაბამისი შიდა რეიტინგი არსებობს. რისკის რეიტინგები ექვემდებარება მუდმივ შეფასებასა და განახლებას.

ვადაგადაცილებული სესხები მოიცავს მხოლოდ იმ სესხებს, რომლებიც ვადაგადაცილებულია მხოლოდ რამდენიმე დღით. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ვადაგადაცილებული სესხების ანალიზს ხანდაზმულობის მიხედვით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ხანდაზმულობის ანალიზი ვადაგადაცილებულ სესხებზე გარდა ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხებისა, ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის მიხედვით:

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შენიშვნა	30 დღეზე ნაკლები	31 დღიდან 60 დღემდე	61 დღიდან 90 დღემდე	90 დღეზე მეტი	სულ
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	8					
საცალო კლიენტებზე გაცემული სესხები, რეგულარული შენატანებით		3,675	1,683	1,165	29,546	36,069
სამომხმარებლო სესხები მიკროსესხები		8,799	2,888	2,757	52,336	66,780
სალომბარდო სესხები		1,635	509	395	7,323	9,862
იპოთეკური სესხები		780	375	260	–	1,415
კორპორატიული, მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხები		216	58	5	575	854
		9	–	25	591	625
სულ		15,114	5,513	4,607	90,371	115,605

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ მე-8 შენიშვნა.

ფინანსური გარანტიები, აკრედიტივები და სასესხო დავალიანება ფასდება და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხები გამოითვლება სესხების ანალოგიურად.

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ჯგუფის აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია მოცემულია ქვემოთ:

	2018				2017			
	საქარ- თველო	ებთო	დსთ და სხვა ქვეყნები	სულ	საქარ- თველო	ებთო	დსთ და სხვა ქვეყნები	სულ
აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	291,306	98,517	3,076	392,899	253,424	209,128	1,850	464,402
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	99,731	–	–	99,731	73,430	–	–	73,430
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	953,544	–	–	953,544	757,065	–	–	757,065
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები: ამორტიზებული ღირებულებით	197,504	–	–	197,504	222,800	–	–	222,800
ყველა სხვა აქტივი	188,253	7,087	1,215	196,555	175,451	5,642	4,687	185,780
	1,730,338	105,604	4,291	1,840,233	1,482,170	214,770	6,537	1,703,477
ვალდებულებები								
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	3,564	–	4,649	8,213	6,479	–	18	6,497
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	1,341,860	65,219	75,170	1,482,249	1,237,354	68,472	40,462	1,346,288
სუბორდინირებული ვალი	20,089	18,958	9,075	48,122	53,641	36,720	15,392	105,753
ყველა სხვა ვალდებულება	29,419	1,295	569	31,283	21,219	6,387	–	27,606
	1,394,932	85,472	89,463	1,569,867	1,318,693	111,579	55,872	1,486,144
წმინდა აქტივები/ (ვალდებულებები)	335,406	20,132	(85,172)	270,366	163,477	103,191	(49,335)	217,333

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკის მართვა და ზედამხედველობა

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის მართვის მიმართ ჯგუფის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და ჯგუფის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე. სხვა მიზნებში შედის ჯგუფის საქმიანობის დაფინანსების წყაროების დაბალანსება, სებ-ის სტანდარტების დაკმაყოფილება, კრიზისული სიტუაციების მართვა და დაფინანსების დანახარჯების გაკონტროლება.

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკის შემცირების ძირითადი ხერხებია ლიკვიდურობის რეზერვების შექმნა, დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირება და დაფინანსების ვადების გახანგრძლივება. თუმცა, სავალდებულო მოთხოვნებზე მნიშვნელოვნად მეტი ლიკვიდურობა მოულოდნელი წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინების გამო თავიდან უნდა იქნეს აცილებული და დირექტორთა საბჭომ უნდა განიხილოს და შეარჩიოს ლიკვიდურობის სათანადო დონემდე დაყვანის ზომები.

ხაზინის განყოფილებას ევალება ლიკვიდურობისა და დაფინანსების რისკების მართვა და მათი შენარჩუნება იმ ზღვრებსა და ლიმიტებში, რომლებიც დაწესებულია პოლიტიკით რისკის დასაშვები დონის შესახებ. ხაზინის განყოფილება ცენტრალიზებულად მართავს ლიკვიდურობის რისკს და მინიმუმ კვირაში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს დირექტორთა საბჭოს. ლიკვიდურობის რისკის მართვასა და მონიტორინგთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს აქტივ-პასივების კომიტეტი იღებს. აქტივ-პასივების მართვის კომიტეტს ანალიზისთვის ამოსავალ მონაცემებს წარუდგენს ხაზინის განყოფილება და საწარმოს რისკის მართვის ქვეგანყოფილება. საწარმოს რისკის მართვის განყოფილება დამატებით ატარებს ბანკის ლიკვიდურობის პოზიციის ყოველთვიურ სტრესგამძლეობის ანალიზს და შედეგებს აქტივ-პასივების მართვის კომიტეტს ამცნობს.

ბანკს აქვს აღდგენის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ზეწოლას ლიკვიდურობის გამომწვევ მოვლენებზე და აღდგენის გეგმის სტრატეგიას. რადგან სტრესის მოვლენის ხასიათის ზუსტად განსაზღვრა წინასწარ შეუძლებელია, შემუშავებულია გეგმები, რომლებიც მოქნილია სტრესის მოვლენის სხვადასხვა ხასიათისა და სიმძიმის მიმართ და შეიცავს მოქმედებათა არჩევანს, რომელიც საჭირო დროს შესაბამისად გამოიყენება. ლიკვიდურობის გამომწვევ მოვლენებს ყოველდღიურად აკონტროლებს ხაზინის განყოფილება და საწარმოს რისკის მართვის ქვეგანყოფილება. ნებისმიერი პოტენციური გამომწვევი მოვლენა ეცნობება დირექტორთა საბჭოს და განიხილება აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის მიერ. აღდგენის გეგმა მოიცავს დამატებითი ლიკვიდურობის წარმოქმნის ეტაპობრივ ნაბიჯებს მძიმე სტრესის დასაძლევად, და მას ახორცილებს ხაზინის განყოფილების უფროსი აქტივ-პასივების მართვის კომიტეტისა და დირექტორთა საბჭოს მეთვალყურეობით.

ჯგუფი მიმართავს სტრესულ ტესტირებას და სცენარულ ანალიზს, რომ შეაფასოს მოულოდნელი და მძიმე სტრესის მოვლენების გავლენა მის ლიკვიდურობის პოზიციაზე. სცენარები მოიცავს როგორც ჯგუფისთვის სპეციფიკურ, ისე ბაზართან დაკავშირებულ რისკის დადგომის შემთხვევებს.

სავალდებულო მოთხოვნები

სებ-ი საქართველოში მოქმედი ყველა ბანკისგან მოითხოვს, რომ დაიცვან მინიმუმ 30.0%-იანი საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტი, რომელიც იანგარიშება, როგორც საშუალო ლიკვიდური აქტივების თანაფარდობა შესაბამისი თვის საშუალო ვალდებულებებთან, ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრებისა და გარეგანსური ვალდებულებების ნაწილის (ექვს თვემდე დარჩენილი ვადით) ჩათვლით. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის თვიური საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტი 45.4% იყო (2017 წლის 31 დეკემბერი: 61.7%). ბანკის საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2018 წლისთვის 55.0% იყო (2017 წ.: 64.9%).

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი და ფინანსების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტის დებულება (#70/04 დებულება) სებ-მა დაამტკიცა და გამოაქვეყნა 2017 წლის 15 მაისს და ძალაში შევიდა 2017 წლის 1 სექტემბრიდან. ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი გამოითვლება ბაზელ III-ის პრინციპების თანახმად, თუმცა უფრო მაღალი კოეფიციენტებიც დასაშვებია. სებ-ი ყველა ბანკს ავალდებულებს, რომ ყოველდღიურად შეინარჩუნონ 75.0%-იანი ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი ლ -ში, 100.0%-იანი ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი უცხოურ ვალუტაში და 100.0%-იანი ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი მთლიანობაში. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის მთლიანი ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი შეადგენდა 184.6%-ს. იგივე კოეფიციენტი ლ -ში იყო 183.5%, ხოლო უცხოურ ვალუტაში 285.9% (2017 წ.: მთლიანი ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი იყო 287.3%, იგივე კოეფიციენტი ლ -ში იყო 285.9%, ხოლო უცხოურ ვალუტაში – 289.0%).

დარჩენილი საკონტრაქტო ვადების ანალიზი

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში შეჯამებულია 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების მიხედვით. დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინებას, აღრიცხულია იმგვარად, თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა. თუმცა, ჯგუფი მოელოს, რომ შენაბრეთა უმრავლესობა დაფარვას იმაზე ადრე არ მოითხოვს, ვიდრე ეს ჯგუფს მოეთხოვება. ცხრილი არ ასახავს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, რომლებიც გაწერილია ჯგუფის დეპოზიტების ფლობის ისტორიაში.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი 5 წელი	სულ
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	7,415	798	-	-	8,213
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	1,012,791	327,695	186,544	1,009	1,528,039
სუბორდინირებული ვალი	712	2,693	44,024	17,515	64,944
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	1,020,918	331,186	230,568	18,524	1,601,196
დაფარული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები - მთლიანი					
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების დადებითი სამართლიანი ღირებულება (შემოდინება)	(54,097)	-	-	-	(54,097)
გადინება	53,258	-	-	-	53,258
დაფარული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები - მთლიანი					
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების უარყოფითი სამართლიანი ღირებულება (შემოდინება)	(41,554)	(5,466)	(54,093)	-	(101,113)
გადინება	41,613	6,226	63,462	-	111,301

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი და ფინანსების მართვა (გაგრძელება)

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი 5 წელი	სულ
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	6,303	194	–	–	6,497
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	831,936	399,710	180,491	1,273	1,413,410
სუბორდინირებული ვალი	4,016	10,576	111,191	22,306	148,089
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	842,255	410,480	291,682	23,579	1,567,996

დაფარული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები – მთლიანი

წარმოებული ფინანსური
ინსტრუმენტების დადებითი
სამართლიანი ღირებულება
(შემოდინება)
გადინება

	–	–	(17,898)	–	(17,898)
	–	–	17,741	–	17,741

დაფარული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები – მთლიანი

წარმოებული ფინანსური
ინსტრუმენტების უარყოფითი
სამართლიანი ღირებულება
(შემოდინება)
გადინება

	(1,303)	(1,160)	(44,552)	–	(47,015)
	1,303	1,348	51,922	–	54,573

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საკონტრაქტო ვადის ამოწურვას ჯგუფის პირობითი ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის მიხედვით. თითოეული გამოყენებული სესხის პირობითი ვალდებულება შეტანილია იმ ყველაზე ადრეული თარიღით, როდესაც შესაძლებელი გახდება მისი გამოყენება. გამოშვებული ფინანსური საგარანტიო კონტრაქტების შემთხვევაში, გარანტიის მაქსიმალური თანხა ნაწილდება იმ ყველაზე ადრეულ პერიოდზე, როდესაც შესაძლებელი იქნება გარანტიის გამოთხოვნა.

	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი 5 წელი	სულ
2018	82,393	14,067	33,335	13,430	143,225
2017	36,380	6,329	21,127	8,154	71,990

ჯგუფის ვარაუდით, შესაძლოა ყველა პირობითი ვალდებულება ან უზრუნველყოფა არ იქნას გამოყენებული ვალდებულებების ვადის ამოწურვამდე.

ვადიანობის ანალიზი არ ასახავს მიმდინარე ანგარიშების ისტორიულ სტაბილურობას. მათ ლიკვიდაციას წარსულში უფრო მეტი დრო სჭირდებოდა, ვიდრე ეს ცხრილებშია ნაჩვენები. ეს ნაშთები ზედა ცხრილებში გათვალისწინებულია სამ თვეზე ნაკლებ პერიოდში გადასახდელ თანხებში.

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი და ფინანსების მართვა (გაგრძელება)

აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ხაზინის განყოფილება მართავს აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს. აქტივებისა და ვალდებულებების მოდელირება საჭიროა, როდესაც საკონტრაქტო ვადა ადეკვატურად არ ასახავს ლიკვიდურობის რისკის პოზიციას. ჯგუფის შემთხვევაში ამის ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითი იქნებოდა საცალო, კორპორატიული და მუნიციპალური თუ სხვა სახელმწიფო ორგანიზაციების მიმდინარე და შემნახველი ანგარიშები. მართალია, ხელშეკრულებების მიხედვით, მიმდინარე ანგარიშები მოთხოვნამდე იფარება და შემნახველი ანგარიშები მცირე ხნით ადრე მოთხოვნისას, მომხმარებლების ფართო ბაზა – რიცხოვრივი თვალსაზრისითაც და შენახვების ტიპების მიხედვითაც – ეხმარება ბანკს ნაშთების მოულოდნელი მერყეობისგან თავის დასაცავად. ასეთი ანგარიშები ქმნის ფინანსური რესურსების სტაბილურ ბაზას ჯგუფის ოპერაციებისა და ლიკვიდურობის საჭიროებებისთვის. ქვემოთ ცხრილი გვიჩვენებს ჯგუფის ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი ამოღება ან დაფარვა.

	2018			2017		
	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტ ვადაში	სულ	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტ ვადაში	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	392,899	–	392,899	464,402	–	464,402
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	99,731	–	99,731	73,430	–	73,430
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	549,027	404,517	953,544	500,093	256,972	757,065
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:						
ამორტიზებული ღირებულებით	87,173	110,331	197,504	102,008	120,792	222,800
სულ	1,128,830	514,848	1,643,678	1,139,933	377,764	1,517,697
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	8,213	–	8,213	6,497	–	6,497
ვალდებულებები						
კლიენტების მიმართ:	778,605	703,644	1,482,249	644,960	701,328	1,346,288
- მიმდინარე ანგარიშები	304,276	537,240	841,516	120,053	549,200	669,253
- ვადიანი ანაზრები (სადეპოზიტო სერტიფიკატების ჩათვლით)	474,329	166,404	640,733	524,907	152,128	677,035
სუბორდინირებული ვალი	113	48,009	48,122	–	105,753	105,753
სულ	786,931	751,653	1,538,584	651,457	807,081	1,458,538
წმინდა	341,899	(236,805)	105,094	488,476	(429,317)	59,159

აქტივების ვადიანობა დამოკიდებულია მათ საბალანსო თანხებზე და შესაბამისი წლის 31 დეკემბრისთვის, იურიდიული თვალსაზრისით, ყველაზე ადრე გამოყენებად ვადაზე. ვალდებულებების ვადიანობა დამოკიდებულია ხელშეკრულების მიხედვით უადრეს ვადაზე, ან პირველივე მოთხოვნაზე. მიმდინარე და შემნახველი ანგარიშების ნაწილი წარმოდგენილია ერთ წელზე მეტი ვადის დიაპაზონში მათი სტაბილური ხასიათის გამო. კლიენტთა დეპოზიტების დივერსიფიცირება დეპოზიტორთა რაოდენობისა და ტიპის მიხედვით და ჯგუფის გამოცდილება იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული ანგარიშები და დეპოზიტები წარმოადგენს დაფინანსების გრძელვადიან და სტაბილურ წყაროს, აქედან გამომდინარე ისინი განთავსებულია გეპის ანალიზის ცხრილში მითითებული სახსრების გადინების სავარაუდო დროის მიხედვით ჯგუფის მიერ წინა პერიოდების დროს დაგროვილი სტატისტიკური მონაცემისა და მიმდინარე ანგარიშების ნაშთების „მუდმივ“ ნაწილთან დაკავშირებით გამოთქმული ვარაუდების საფუძველზე.

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი და ფინანსების მართვა (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტების მიმართ მთლიანმა ვალდებულებებმა შეადგინა ლ 1,482,249 (2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: ლ 1,346,288). აქედან მიმდინარე, ანგარიშებზე მოდიოდა ლ 841,516 (2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: ლ 669,253). ბანკი ყოველდღიურად ატარებს მიმდინარე ანგარიშების ნაშთების სტაბილურობის ანალიზს წინა ორი წლის პერიოდისთვის. წინა 24 თვის შესაბამის პერიოდებში ეს ნაშთები ლ 537,240-ზე ნაკლები არ ყოფილა (2017 წ.: ლ 549,200). ამიტომ, ზედა გრაფიკში ეს თანხები ასახულია, როგორც ვალდებულებები კლიენტების მიმართ ერთ წელზე მეტი ვადის დიაპაზონში. კლიენტების მიმართ ვალდებულებების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადები რომ გაგვეთვალისწინებინა, კუმულაციური ლიკვიდურობის გეპი ერთ წელიწადში, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უარყოფითი იქნებოდა და შეადგენდა ლ 195,341 -ს (2017 წლის 31 დეკემბერი: უარყოფითი ლ 60,724).

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს საკმარისი ლიკვიდური უზრუნველყოფა აქვს, რათა შეტყობინებისთანავე მოიზიდოს სებ-იდან ლ 181,403 (2017 წ.: ლ 209,245).

2018 წლის 23 აპრილს სარეიტინგო სააგენტო Fitch Ratings-მა დაადასტურა ბანკის უცხოური ვალუტის ემიტენტის დეფოლტის გრძელვადიანი „B+“ რეიტინგი სტაბილური პროგნოზით; უცხოური ვალუტის ემიტენტის დეფოლტის მოკლევადიანი „B“ რეიტინგი; Support Rating – „4“ და Support Rating Floor – „B“.

2018 წლის 17 მაისს Standard & Poor's-მა დაადასტურა ბანკის კონტრაქტის გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი „B“ და კონტრაქტის მოკლევადიანი საკრედიტო რეიტინგი „B“, ხოლო პროგნოზი სტაბილური დარჩა. 2018 წლის 24 მაისს Moody's-მა დაადასტურა ბანკის გრძელვადიანი ადგილობრივი და უცხოური ვალუტის დეპოზიტების რეიტინგი „B1“ დადებითი პროგნოზით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ისეთი რისკი, რომელიც გავლენას ახდენს ფინანსური ბაზრის ზოგად ვითარებაზე. საბაზრო რისკის ძირითადი ტიპებია საპროცენტო განაკვეთის რისკი, სავალუტო რისკი და მათი მერყეობის დონე. საბაზრო რისკს, ძირითადად, სავაჭრო საქმიანობა განაპირობებს. ჯგუფს არ აქვს სავაჭრო საქმიანობასთან დაკავშირებული საბაზრო რისკი, რადგან ბანკი, მისთვის რისკის მისაღები დონიდან გამომდინარე, არ არის ჩაბმული სავაჭრო საქმიანობაში. საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებული საბაზრო რისკი მოიცავს კაპიტალში მონაწილეობის ზარალის რისკს და საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკებს, რომლებიც ბანკის საშუამავლო საქმიანობიდან წარმოიშობა. ბანკს აქვს თავის საბანკო პორტფელთან დაკავშირებული საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკები.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება შესაძლებლობიდან, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები გავლენას იქონიებს ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მომავალ დინამიკაზე ან სამართლიან ღირებულებებზე.

მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგების მგრძობელობა წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტების განაკვეთების გადასინჯვის ან დაფარვის ვადის თავისებურებების გამო ერთი წლის წმინდა საპროცენტო შემოსავალზე საპროცენტო განაკვეთებში ნავარაუდები ცვლილებების ეფექტს. ჯგუფს ექნება საპროცენტო განაკვეთის რისკი, თუ კონკურენტები მკვეთრად შეამცირებენ საპროცენტო განაკვეთებს სასესხო პროდუქტებზე ან გაიზრდება ფულადი სახსრების მოზიდვის ხარჯი მაკროეკონომიკური, და კონკრეტულად ჯგუფთან დაკავშირებული, მოვლენების გამო.

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც სავალუტო კურსის ცვლილებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. სებ-ის მოთხოვნით, ბანკს ევალება ბალანსური და მთლიანი აგრეგირებული (გარეგანსურის ჩათვლით) ღია სავალუტო პოზიციების მონიტორინგი და ამ უკანასკნელის შენარჩუნება ბანკის მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის 20.0%-ის ოდენობით. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა შეინარჩუნა აგრეგირებული ღია სავალუტო პოზიცია საზედამხედველო კაპიტალის 0.2%-ის ოდენობით (2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1.9%).

ბანკს დამტკიცებული აქვს სავალუტო რისკის მართვის პოლიტიკა, რომლის მიზანიც არის ბანკისთვის სავალუტო რისკების მართვის პარამეტრების დაწესება.

სავალუტო რისკის მართვის პროცესი, სხვებთან ერთად, შემდეგსაც მოიცავს:

- ▶ ადეკვატური მეთოდოლოგიის შერჩევა სავალუტო რისკის გამოვლენასა და რაოდენობრივ შეფასებაზე;
- ▶ ღია სავალუტო პოზიციის ყოველდღიური მონიტორინგი;
- ▶ სავალუტო რისკის მინიმუმამდე დაყვანა დადგენილი ლიმიტების დაცვით;
- ▶ გაზრდილი სავალუტო რისკის არსებული და მოსალოდნელი უარყოფითი ტენდენციების გამოვლენა და ამის მიზეზებისა და შესაძლო შედეგების ანალიზი;
- ▶ რეკომენდაციების შემუშავება სავალუტო რისკის მართვის სტრატეგიაზე;
- ▶ სავალუტო რისკის ოპერაციებში გამოყენებული ინსტრუმენტების ტიპებისა და ლიმიტების განსაზღვრა.

პოლიტიკა რისკის დასაშვები დონის შესახებ აწესებს რისკის დონის ლიმიტებს ვალუტების მიხედვით და ასევე აგრეგირებული რისკის პოზიციების ლიმიტებს, რომლებიც უფრო კონსერვატიულია, ვიდრე სებ-ის მიერ დაწესებული ლიმიტები. ბანკის მხრიდან ამ ლიმიტების დაცვა ყოველდღე კონტროლდება ხაზინისა და საწარმოს რისკის მართვის ქვეგანყოფილების მიერ.

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ ცხრილებში წარმოდგენილია ჯგუფისათვის ყველაზე მაღალი რისკის მატარებელი ვალუტები, რომლებშიც ძირითადად გამოხატულია ჯგუფის არასავაჭრო ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზის პროცესში ფასდება უცხოური ვალუტის ლ -ის მიმართ კურსის ცვლილების ეფექტი, როდესაც მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგების ყველა სხვა პირობა უცვლელია (სავალუტო კურსის მიმართ მგრნობიარე ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების გამო). საკუთარ კაპიტალზე ეფექტი არ განსხვავდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე ეფექტისგან. ცხრილში უარყოფითი მაჩვენებელი ასახავს პოტენციურ წმინდა შემცირებას მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ან საკუთარ კაპიტალში, ხოლო დადებითი მაჩვენებელი კი ასახავს პოტენციურ წმინდა ზრდას.

ვალუტა	ლ -ის გაცვლითი კურსის გამყარება/ (გაუფასურება) შესაბამის		ლ -ის გაცვლითი კურსის გამყარება/ (გაუფასურება) შესაბამის	
	ვალუტასთან მიმართებით (%)	ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე	ვალუტასთან მიმართებით (%)	ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე
	2018	2018	2017	2017
აშშ დოლარი	1.88%	(5)	2.06%	(76)
ევრო	12.37%	2	-11.11%	(15)

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური ზარალის განცდის საფრთხე, რომელსაც განაპირობებს შიდა პროცესების, სისტემების, ან ადამიანების არაადეკვატურობა ან უმოქმედობა, ან გამიზნული, შემთხვევითი, თუ ბუნებრივი გარე მოვლენები. გარე მოვლენებს, სხვებთან ერთად, მიეკუთვნება თაღლითობა, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, ტერორისტების თუ ჰაკერების თავდასხმა. საკრედიტო ან საბაზრო მოვლენები, როგორცაა გადაუხდელობა ან ღირებულების მერყეობა საოპერაციო რისკის ფარგლებში არ ექცევა. საოპერაციო რისკის ნაწილია შესაბამისობის რისკიც. შესაბამისობის რისკი არის იმის შესაძლებლობა, რომ ბანკს მარეგულირებელი ორგანოსგან დაეკისროს სანქციები, განიცადოს ფინანსური ზარალი და/ან საფრთხე შეექმნას მის რეპუტაციას იმის გამო, რომ მან ვერ შეასრულა მოქმედი კანონმდებლობა, კანონქვემდებარე აქტები და ნორმები. საოპერაციო რისკი არ მოიცავს რეპუტაციის და სტრატეგიულ რისკებს.

საოპერაციო რისკის მართვის ზოგადი მიზანია არაადეკვატური ან გაუმართავი შიდა პროცესების, ადამიანების ან სისტემების, ან გარე მოვლენების მიერ განპირობებული რისკების განსაზღვრა და, თუ შესაძლებელია, მათი შემცირება ეკონომიკური თვალსაზრისით გონივრულ დონემდე.

ბანკს შექმნილი აქვს საოპერაციო რისკის მართვის სისტემა და ყველა შესაძლო ზომას იღებს, რომ გაერკვეს, რა საოპერაციო რისკები ახასიათებს ბიზნესს არაადეკვატური ან გაუმართავი შიდა პროცესების, ადამიანებისა და სისტემების და გარე მოვლენების გამო. საოპერაციო რისკის მართვის სისტემის მიზანია, ბანკს საშუალება მიეცეს, რომ ეფექტურად და ეფექტიანად შეაგროვოს, შეაფასოს, მართოს და განაცხადოს საოპერაციო რისკი.

საოპერაციო რისკის მართვის განყოფილების, ფიზიკური უსაფრთხოების განყოფილების, პრობლემური სესხების და სასამართლო დავების, შიდა აუდიტის და ბიზნესპროცესების მმართველების მოვალეობები საოპერაციო რისკის მართვის სისტემის ფარგლებში გაწერილია საოპერაციო რისკის მართვის პოლიტიკაში.

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

საოპერაციო რისკი (გაგრძელება)

ზოგადად, ბანკს არ აქვს განსაზღვრული საოპერაციო რისკის დასაშვები დონე და მისი მიზანია, შეამციროს რისკის დადგომის შემთხვევებით გამოწვეული ზარალი იმდენად, რომ მათ ბანკზე არსებითი გავლენა არ მოახდინონ. ბანკს დაბალი ამტანობა აქვს საოპერაციო რისკების მიმართ, რომლებიც უკავშირდება თაღლითობას, საინფორმაციო უსაფრთხოებას (საინფორმაციო ტექნოლოგიების ჩათვლით) და რეგულაციების დარღვევას, ამიტომ იგი ყველა ზომას იღებს, რომ აღმოფხვრას ასეთი რისკები. საქმეთა უმრავლესობა გადაეცემა სამართალდამცავ ორგანოებს.

შექმნილია და ფუნქციონირებს რისკის შემთხვევების მონაცემთა ბაზა, რათა ყველა შემთხვევა, ზარალი და პოტენციური საფრთხის შემცველი მოვლენა აღირიცხოს და მათზე სათანადოდ რეაგირება მოხდეს. ეს ბაზა წარმოადგენს ბანკის ტექნიკურ ინსტრუმენტს, რომ სისტემაში მოიყვანოს რისკის შემთხვევები. ეს ინფორმაცია გამოიყენება რისკების იდენტიფიკაციის გასაუმჯობესებლად და მათ სამართავად სათანადო მიდგომების ჩამოსაყალიბებლად. მონაცემების შეგროვება და შესაბამისი ანალიზი ცენტრალიზებულად ხორციელდება საოპერაციო რისკის მართვის განყოფილების მიერ. საოპერაციო რისკის შემთხვევები რისკის შემთხვევების მონაცემთა ბაზიდან, რომლებსაც არსებითი გავლენა აქვთ, პირდაპირი და არაპირდაპირი ზარალი ეცნობება დირექტორთა საბჭოს.

ჯგუფის სტანდარტებთან შესაბამისობას ხელს უწყობს შიდა აუდიტის მიერ განხორციელებული პერიოდული შემოწმებების პროგრამა. შიდა აუდიტის შემოწმებების შედეგები განიხილება შესაბამისი მიმართულებების ხელმძღვანელებთან და შედეგები წარედგინება აუდიტის კომიტეტსა და სამეთვალყურეო საბჭოს.

რისკის შემცირების მთავარი მექანიზმები, რომლებსაც ბანკი გამოიყენებს, ეყრდნობა საოპერაციო რისკის პროფილს და სამეთვალყურეო საბჭოს პოლიტიკას რისკის დასაშვები დონის შესახებ. ბანკი აქტიურად იყენებს კორპორატიულ დაზღვევას თავისი საოპერაციო რისკების შესამცირებლად.

24. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები

სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცედურა

ისეთ მნიშვნელოვან აქტივებს, როგორცაა ძირითადი საშუალებები, გარე შემფასებლები აფასებენ. გარე შემფასებლების დაქირავების თაობაზე ხელმძღვანელობა ყოველწლიურად იღებს გადაწყვეტილებას ბანკის აუდიტის კომიტეტთან შეთანხმებით. შერჩევის კრიტერიუმებში შედის ბაზრის ცოდნა, რეპუტაცია, დამოუკიდებლობა და პროფესიული სტანდარტების დაცვა. შემფასებლების როტაცია ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ხდება. ხელმძღვანელობა, ჯგუფის გარე შემფასებლებთან გამართული განხილვების შემდეგ გადაწყვეტს, თითოეულ შემთხვევაში შეფასების რომელი მეთოდები და მონაცემები გამოიყენოს.

ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის ჯგუფი ანალიზებს იმ აქტივებისა და ვალეზულების ღირებულებების ცვლილებას, რომელთა ხელახლა შეფასებაც აუცილებელია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე. ამ ანალიზისთვის ხელმძღვანელობა ამოწმებს ბოლო შეფასებაში გამოყენებულ ძირითად მონაცემებს, რისთვისაც შეფასების გაანგარიშებაში გამოყენებულ ინფორმაციას უდარებს ხელშეკრულებებსა და სხვა შესაბამის დოკუმენტებს. ხელმძღვანელობა, ჯგუფის გარე შემფასებლებთან ერთად, ასევე ადარებს ყოველ ცვლილებას თითოეული აქტივისა და ვალდებულების სამართლიან ღირებულებაში შესაბამის გარე წყაროებთან, რათა განსაზღვროს ეს ცვლილება კანონზომიერია, თუ არა. ხელმძღვანელობა და ჯგუფის გარე შემფასებლები შეფასების შედეგებს წარუდგენენ აუდიტის კომიტეტსა და ჯგუფის დამოუკიდებელ აუდიტორებს. ამასთან, ხდება შეფასებაში გამოყენებული ძირითადი დაშვებების განხილვაც.

(ათას ლარში)

24. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქია

შეფასების ტექნიკის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისა და წარდგენისათვის ჯგუფი შემდეგ იერარქიას იყენებს:

- ▶ დონე 1: ანალოგიური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული (არაკოტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე;
- ▶ დონე 2: სხვა მეთოდი, რომლისთვისაც გამოყენებული ყველა ამოსავალი მონაცემი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე, არის პირდაპირ ან არაპირდაპირ განსაზღვრადი; და
- ▶ დონე 3: მეთოდი, რომლის დროსაც გამოიყენება ამოსავალი მონაცემები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე და არ ეყრდნობიან საბაზრო მონაცემებს.

სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებითი შენიშვნის მიზნებისთვის, ჯგუფმა აქტივების და ვალდებულებების კლასი განსაზღვრა აქტივის ან ვალდებულების ხასიათის, თვისებებისა და რისკების ან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შეფასების თარიღი	სამართლიანი ღირებულების შეფასება			
		(1-ლი დონე)	(მე-2 დონე)	(მე-3 დონე)	სულ
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები					
მომხმარებლებზე გაცემული სესხები, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით	31 დეკემბერი, 2018 წ.	-	-	796	796
სავალუტო ფორვარდები და სვოპები	31 დეკემბერი, 2018 წ.	-	707	-	707
საინვესტიციო ქონება	31 დეკემბერი, 2018 წ.	-	-	2,583	2,583
ძირითადი საშუალებები – მიწა და შენობა-ნაგებობები	31 დეკემბერი, 2016 წ.	-	-	80,396	80,396
		-	707	83,775	84,482
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი					
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები: - ამორტიზებული ღირებულებით	31 დეკემბერი, 2018 წ.	-	204,829	-	204,829
		-	204,829	-	204,829
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები					
სავალუტო ფორვარდები და სვოპები	31 დეკემბერი, 2018 წ.	-	8,599	-	8,599
		-	8,599	-	8,599
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი					
სუბორდინირებული ვალი	31 დეკემბერი, 2018 წ.	-	48,122	-	48,122
		-	48,122	-	48,122

(ათას ლარში)

24. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შეფასების თარიღი	სამართლიანი ღირებულების შეფასება			
		(1-ლი დონე)	(მე-2 დონე)	(მე-3 დონე)	სულ
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები					
მომხმარებლებზე გაცემული სესხები, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით	31 დეკემბერი, 2017 წ.	-	-	608	608
სავალუტო ფორვარდები და სვოპები	31 დეკემბერი, 2017 წ.	-	104	-	104
საინვესტიციო ქონება	31 დეკემბერი, 2017 წ.	-	-	2,597	2,597
ძირითადი საშუალებები – მიწა და შენობა-ნაგებობები	31 დეკემბერი, 2016 წ.	-	-	80,730	80,730
		-	104	83,935	84,039
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი					
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები: - სესხები და მისაღები ანგარიშები - დაფარვის ვადამდე ფლობილი	31 დეკემბერი, 2017 წ.	-	153,286	-	153,286
		-	75,409	-	75,409
		-	228,695	-	228,695
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები					
სავალუტო ფორვარდები და სვოპები	31 დეკემბერი, 2017 წ.	-	5,642	-	5,642
		-	5,642	-	5,642
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი					
სუბორდინირებული ვალი	31 დეკემბერი, 2017 წ.	-	108,874	-	108,874
		-	108,874	-	108,874

(ათას ლარში)

24. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით

წინამდებარე ცხრილში გაწერილია ჯგუფის იმ ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებისა და სამართლიანი ღირებულებების შედარება კატეგორიების მიხედვით, რომლებიც აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. ცხრილი არ მოიცავს არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებებს.

	საბალანსო ღირებულება 2018	სამარ- თლიანი ღირებულება 2018	აუღია- რებელი შემოსულობა/ (ზარალი) 2018	საბალანსო ღირებულება 2017	სამარ- თლიანი ღირებულება 2017	აუღია- რებელი შემოსულობა/ (ზარალი) 2017
ფინანსური აქტივები						
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:						
- ამორტიზებული ღირებულებით	197,504	204,829	7,325	222,800	228,695	5,895
ფინანსური ვალდებულებები						
- სუბორდინირებული ვალი არარეალიზებული სამართლიანი ღირებულების მთლიანი აუღიარებელი ცვლილება	48,122	48,122	—	105,753	108,874	(3,121)
			<u>7,325</u>			<u>2,774</u>

შეფასების მეთოდები და დაშვებები

ქვემოთ აღწერილია მეთოდები და დაშვებები, რომლებიც გამოიყენება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული აქტივებისა და ვალდებულებების და აგრეთვე იმ მუხლების სამართლიანი ღირებულებების განსაზღვრისთვის, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, მაგრამ რომელთა სამართლიანი ღირებულება ცნობილია.

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას

მიიჩნევა, რომ ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების, საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების, მომხმარებლებზე გაცემული სესხების, საკრედიტო დაწესებულებების მიმართ ვალდებულებებისა და კლიენტების მიმართ ვალდებულებების (მიმდინარე და შემნახველი ანგარიშების) საბალანსო ღირებულებები უახლოვდება მათ შესაბამის სამართლიან ღირებულებებს მათი მოკლევადიანი ხასიათის და ლიკვიდურობის გამო, და გრძელდება მათი საბაზრო პირობების მიხედვით გადაფასება. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, მათი ხასიათისა და თვისებების გამო, სამართლიანი ღირებულების იერარქიის პირველ დონეს მიეკუთვნება.

(ათას ლარში)

24. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

შეფასების მეთოდები და დაშვებები (გაგრძელება)

წარმოებული ინსტრუმენტები

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შეფასებულია აქტიური ბაზრის მონაცემების გამოყენებით, ძირითადად წარმოადგენს საპროცენტო სვოპებს, სავალუტო სვოპებს და ფორვარდულ სავალუტო კონტრაქტებს. შეფასებებისთვის ყველაზე ხშირად გამოყენებული მეთოდიკა მოიცავს ფორვარდულ ფასწარმოქმნას, სვოპის მოდელს, რომლებისთვისაც გამოიყენება მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება. მოდელები შეიცავს სხვადასხვა მონაცემს მხარეთა საკრედიტო რეიტინგის, სავალუტო სვოპების და ფორვარდული კურსისა და საპროცენტო განაკვეთის მრუდის ჩათვლით.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სესხები, მოგებაში ან ზარალში ასახვით

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული სესხები ფასდება რამდენიმე მეთოდის ერთობლიობით. საჭიროების შემთხვევაში, სესხების შეფასება ხდება მსესხებლის ან შედარებადი საწარმოების მიერ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. სხვა შემთხვევებში შეფასება ხდება შიდა მოდელების გამოყენებით, რომლებიც ეყრდნობა დღევანდელი ღირებულების გამოთვლის ხერხებს და, რიგ შემთხვევებში (მაგალითად, ფულადი ნაკადები ისეთი აქტივებიდან, რომლებიც უზრუნველყოფის საგნის სახით არის ფლობილი), გარე შეფასების ანგარიშებს. ამ მოდელებში გამოყენებული არასაბაზრო ამოსავალი მონაცემები მოიცავს კორექტირებებს საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკების მიხედვით, რომლებიც უკავშირდება მსესხებლის საქმიანობიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ან უზრუნველყოფის საგნის შეფასებას.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

კოტირებული თამასუქების და ობლიგაციების სამართლიანი ღირებულება ეყრდნობა ფასების კოტირებას საანგარიშგებო თარიღისთვის და მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 დონეს. არაკოტირებული ინსტრუმენტების, კლიენტებზე გაცემული სესხების, კლიენტთა ანაბრების, საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების, სემ-ისთვის და საკრედიტო დაწესებულებებისთვის გადასახდელი თანხების და სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკის და ვადის მქონე სესხის მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.

საინვესტიციო ქონება და შენობა-ნაგებობები

უძრავი ქონების შეფასების სამი ძირითადი მეთოდი არსებობს:

საბაზრო მიდგომა

განსაზღვრავს უძრავი ქონების საბაზრო ფასის ზღვარს, რისთვისაც ამოწმებს მყიდველების მიერ შესაფასებელი ქონების ანალოგიურ ობიექტებში გადახდილ ფასებს. ხდება ყიდვის გარიგების საფუძვლიანი შემოწმება, რათა დაზუსტდეს, რომ გარიგების მხარეები სათანადოდ იყენებენ მოტივირებულები. არ განიხილება ისეთი გასაყიდი ფასები, რომლებშიც გარიგების მხარეს აქვს ბაზრის ტიპური მონაწილისგან განსხვავებული მოტივაცია, მაგ. სპეციფიკური ყიდვა-გაყიდვის გარიგებები, სადაც მყიდველი მზადაა ზედმეტი გადაიხადოს გარკვეულ ქონებაში. ამ მეთოდის მიხედვით ხდება შედარების ერთეულების, მაგალითად შენობის მთლიანი ფართობის ერთი კვადრატული მეტრის ფასის გაანალიზება. გაყიდვების/კოტირების კორექტირებები ხდება ადგილმდებარეობის, ზომის, სიძველისა და მდგომარეობის, დაფინანსებისა და ბევრი სხვა ფაქტორის მიხედვით, რომლებმაც შეიძლება რამე გავლენა მოახდინონ ღირებულებაზე.

(ათას ლარში)

24. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

შეფასების მეთოდები და დაშვებები (გაგრძელება)

შესაფასებელი ქონების საბაზრო ღირებულების გაყიდვების შედარებითი (საბაზრო მონაცემების) მეთოდით ანალიზისას გამოიყენება საუკეთესო ხელმისაწვდომი, უახლესი და მსგავსი ობიექტების გასაყიდი/კოტირებული ფასები საანგარიშგებო თარიღისთვის.

შესადარისი ობიექტების გაყიდვისა და კოტირების ფასების შესახებ ინფორმაცია მიიღება საბროკერო კომპანიებისგან, შუამავლებისა და ბროკერებისგან, ასევე საჯარო წყაროებიდან, მათ შორის ვებგვერდებზე განთავსებული საბროკერო მომსახურების განცხადებებიდან და გამოქვეყნებული მონაცემებიდან. შემდეგ ხდება ამ ინფორმაციის გადამოწმება ობიექტების მფლობელებთან და/ან აღნიშნულ გაირგებებში მონაწილე პრინციპალებთან თუ ბროკერებთან.

დანახარჯების მიდგომა

უძრავი ქონების ღირებულებას განსაზღვრავს ანალოგიური დანიშნულებით მიწის შესყიდვისა და ახალი შენობის აშენების ან ძველი შენობის განახლების ხარჯის გამოანგარიშებით, დაგვიანებით გამოწვეული დამატებითი ხარჯების გარეშე. მიწისა და მშენებლობის ხარჯებს, ჩვეულებრივ, ემატება მეწარმის წამახალისებელი ანაზღაურება ან დეველოპერის მოგება/ზარალი. ძველი შენობების შემთხვევაში დანახარჯების მეთოდი გამოიყენება ცვეთის ხარჯის გამოსათვლელად, ფიზიკური ცვეთისა და ფუნქციონალური ცვეთის ჩათვლით.

ხარჯის ჩანაცვლების მეთოდის ძირითადი მიდგომა იმას გულისხმობს, რომ არავინ გადაიხდის მოცემულ ქონებაში იმაზე მეტს, ვიდრე დაუჯდებოდა მისი აშენება.

დანახარჯების მეთოდი შემდეგ ეტაპებს მოიცავს:

- ▶ მიწის სავარაუდო ღირებულების გაანგარიშება;
- ▶ გაუმჯობესების აღდგენითი ან ჩანაცვლების ხარჯის გაანგარიშება;
- ▶ ყველა წყაროდან (ფიზიკური, ფუნქციონალური ცვეთა, გარეგანი და ეკონომიკური დაძველება) დარიცხული ცვეთის გაანგარიშება;
- ▶ აღდგენითი ან ჩანაცვლების ხარჯიდან დარიცხული ცვეთის გამოკლება, ცვეთის დარიცხვის შემდგომი გაუმჯობესების ხარჯის გამოსათვლელად;
- ▶ აღჭურვილობის ხარჯის გაანგარიშება და ცვეთის გამოკლება;
- ▶ ცვეთის დარიცხვის შემდგომი გაუმჯობესების ხარჯის დამატება ცვეთის დარიცხვის შემდგომ აღჭურვილობის ხარჯისა და მიწის ღირებულებისთვის, ქონების მთლიანი ღირებულების მისაღებად.

შემოსავლის კაპიტალიზაციის მეთოდი

შემოსავლების წარმოქმნის მეთოდოლოგია ეყრდნობა შესაფასებელი ქონების ექსპლუატაციის შედეგად მიღებულ ჰიპოთეტურ შემოსავალს. უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების მიახლოებითი გაანგარიშება ხდება კაპიტალიზაციის კოეფიციენტზე დაყრდნობით, რომელიც გამოითვლება ალტერნატიული საინვესტიციო მეთოდოლოგიის გრძელვადიანი განაკვეთის საფუძველზე.

(ათას ლარში)

24. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

შეფასების მეთოდები და დაშვებები (გაგრძელება)

დისკონტირებული ფულადი ნაკადები

დასრულებული საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდით. რეალური და პროგნოზირებული საბაზრო მოთხოვნის, საწარმოებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების ტიპების, ფასწარმოქმნის პოლიტიკისა და ბაზარზე მოსალოდნელი კონკურენციის საფუძველზე, შემუშავდება ბიზნესის სტრატეგიული ფინანსური პროგნოზი. დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდით, ქონების სამართლიანი ღირებულების გაანგარიშება ხდება ექსპლუატაციის ვადის განმავლობაში მისი საკუთრების შედეგად მისაღები სარგებლისა და ვალდებულების დაშვებების საფუძველზე, გასვლის და საბოლოო ღირებულების ჩათვლით. დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი შემოსავლის მეთოდით შეფასების ფარგლებში ფართოდ გამოიყენება და ნიშნავს უძრავ ქონებაზე ფულადი ნაკადების პროგნოზირებას. შემდეგ ხდება ამ პროგნოზირებული ფულადი ნაკადების დისკონტირება საბაზრო დისკონტირების განაკვეთით, რათა დადგინდეს უძრავ ქონებასთან დაკავშირებით შემომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება. ფულადი ნაკადების ვადიანობასა და შემოდინება-გადინების დროებზე მოქმედებს ისეთი მოვლენები, როგორცაა იჯარის გადასინჯვა, საიჯარო ხელშეკრულების განახლება და მოიჯარეების მოზიდვის, ხელახლა გაქირავების, ხელახლა განვითარების ან განახლების შესაბამისი პერიოდები. მიზანშეწონილ ვადას განსაზღვრავს ანალოგიური უძრავი ქონებისთვის დამახასიათებელი საბაზრო ქცევა.

საინვესტიციო ქონების შეთხვევაში, პერიოდული ფულადი ნაკადი ჩვეულებრივ გამოიანგარიშება შემდეგნაირად: ერთობლივ შემოსავალს აკლდება შენობის უქმად მოცდენის ხარჯი, ხარჯები, რომლებიც ამოღებას არ ექვემდებარება, ამოუღებელი საიჯარო დავალიანების ზარალი, იჯარის სტიმულირების, ტექნიკურ-სამეურნეო მომსახურების ხარჯები, შუამავლის ანაზღაურებისა და საკომისიო ხარჯები, და სხვა საოპერაციო და მართვის ხარჯები. შემდეგ ხდება პერიოდული წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინების დისკონტირება, საპროგნოზო პერიოდის ბოლოსთვის მოსალოდნელ საბოლოო ღირებულებასთან ერთად.

მომართობა სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ მე-3 დონის აქტივებსა და ვალდებულებებში

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული მე-3 დონის აქტივებსა და ვალდებულებებში საინვესტიციო ქონების საწყისი და საბოლოო თანხების შეჯერება. ძირითადი საშუალებების – შენობების შეჯერება მოცემულია მე-10 შენიშვნაში.

	<i>2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</i>	<i>მოგებაში ან ზარალში აღრიცხული მთლიანი ზარალი</i>	<i>2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>
აქტივები			
საინვესტიციო ქონება	2,597	(14)	2,583
	2,597	(14)	2,583

	<i>2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</i>	<i>მოგებაში ან ზარალში აღრიცხული მთლიანი ზარალი</i>	<i>2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>
აქტივები			
საინვესტიციო ქონება	2,729	(132)	2,597
	2,729	(132)	2,597

(ათას ლარში)

24. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

შეფასების მეთოდები და დაშვებები (გაგრძელება)

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია რაოდენობრივი ინფორმაცია მნიშვნელოვანი არასაბაზრო მონაცემების შესახებ, რომლებიც გამოიყენება სამართლებრივ ღირებულებათა იერარქიის მე-3 დონის სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

<i>2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	<i>საბალანსო ღირებუ- ლება</i>	<i>შეფასების მეთოდები</i>	<i>არასაბაზრო მონაცემები</i>	<i>დიაპაზონი (საშუალო შეწონილი)</i>
მიწა და შენობა- ნაგებობები – სათავო ოფისი	45,540	- შემოსავლების კაპიტალიზაციის მეთოდი (დისკონტირებული ფულადი ნაკადები)	- საიჯარო ღირებულების 10%-იანი ზრდა/კლება - დატვირთვის მაჩვენებლის 10%-იანი ზრდა/კლება	(11.49%)-დან 8.05%-მდე
მიწა და შენობა- ნაგებობები	13,050	- შემოსავლების კაპიტალიზაციის მეთოდი (დისკონტირებული ფულადი ნაკადები)	- საიჯარო ღირებულების 10%-იანი ზრდა/კლება - დატვირთვის მაჩვენებლის 10%-იანი ზრდა/კლება	(13.18%)-დან 13.57%-მდე
მიწა და შენობა- ნაგებობები	4,208	- დანახარჯების მეთოდი	- მიწის ღირებულების 10%-იანი ზრდა/კლება - ჩანაცვლების ღირებულების 10%-იანი ზრდა/კლება	(6.49%)-დან 6.36%-მდე
მიწა და შენობა- ნაგებობები	17,932	- საბაზრო მეთოდი;	- ფასის მერყეობის კორექტირება: საბაზრო ფასების 10%-იანი ზრდა/კლება	(9.31%)-დან 9.63%-მდე
საინვესტიციო ქონება – კომერციული დანიშნულების შენობა	776	- დანახარჯების მეთოდი	- მიწის ღირებულების 10%-იანი ზრდა/კლება - ჩანაცვლების ღირებულების 10%-იანი ზრდა/კლება	(3.13%)-დან 6.90%-მდე
საინვესტიციო ქონება – კომერციული დანიშნულების შენობა	1,740	- საბაზრო მეთოდი;	- ფასის მერყეობა/კორექტირება: საბაზრო ფასების 10%-იანი ზრდა/კლება	(10.30%)-დან 10.3%-მდე
საინვესტიციო ქონება – კომერციული დანიშნულების შენობა	67	- საბაზრო მეთოდი;	- ფასის მერყეობის კორექტირება: საბაზრო ფასების 10%-იანი ზრდა/კლება	(9.1%)-დან 9.1%-მდე

(ათას ლარში)

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	საბალანსო ღირებუ- ლება	შეფასების მეთოდები	არასაბაზრო მონაცემები	დიაპაზონი (საშუალო შეწონილი)
მიწა და შენობა- ნაგებობები – სათავო ოფისი	45,540	- შემოსავლების კაპიტალიზაციის მეთოდი (დისკონტირებული ფულადი ნაკადები)	- საიჯარო ღირებულების 10%-იანი ზრდა/კლება - დატვირთვის მაჩვენებლის 10%-იანი ზრდა/კლება	(11.49%)-დან 8.05%-მდე
მიწა და შენობა- ნაგებობები	13,050	- შემოსავლების კაპიტალიზაციის მეთოდი (დისკონტირებული ფულადი ნაკადები)	- საიჯარო ღირებულების 10%-იანი ზრდა/კლება - დატვირთვის მაჩვენებლის 10%-იანი ზრდა/კლება	(13.18%)-დან 13.57%-მდე
მიწა და შენობა- ნაგებობები	4,208	- დანახარჯების მეთოდი	- მიწის ღირებულების 10%-იანი ზრდა/კლება - ჩანაცვლების ღირებულების 10%-იანი ზრდა/კლება	(6.49%)-დან 6.36%-მდე
მიწა და შენობა- ნაგებობები	17,932	- საბაზრო მეთოდი;	- ფასის მერყეობის კორექტირება: საბაზრო ფასების 10%-იანი ზრდა/კლება	(9.31%)-დან 9.63%-მდე
საინვესტიციო ქონება – კომერციული დანიშნულების შენობა	777	- დანახარჯების მეთოდი	- მიწის ღირებულების 10%-იანი ზრდა/კლება - ჩანაცვლების ღირებულების 10%-იანი ზრდა/კლება	(3.33%)-დან 10%-მდე
საინვესტიციო ქონება – კომერციული დანიშნულების შენობა	1,763	- საბაზრო მეთოდი;	- ფასის მერყეობა/კორექტირება: საბაზრო ფასების 10%-იანი ზრდა/კლება	(10.30%)-დან 10.3%-მდე
საინვესტიციო ქონება – კომერციული დანიშნულების შენობა	57	- საბაზრო მეთოდი;	- ფასის მერყეობის კორექტირება: საბაზრო ფასების 10%-იანი ზრდა/კლება	(9.1%)-დან 9.1%-მდე

(ათას ლარში)

25. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებულ მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

(ათას ლარში)

25. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებებიდან მიღებული შესაბამისი შემოსავალი და ხარჯი ასეთია:

	2018			2017		
	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა
1 იანვრის მდგომარეობით დასაფარი საერთო სესხი	-	-	218	-	-	233
წლის განმავლობაში გაცემული სესხები	5,384	15,892	188	-	-	25
სესხის დაფარვა წლის განმავლობაში	-	(8,678)	(48)	-	-	(40)
სხვა მოძრაობები**	-	-	201	-	-	-
31 დეკემბრის მდგომარეობით დასაფარი საერთო სესხი	5,384	7,214	157	-	-	218
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	(64)	(86)	(1)	-	-	(4)
31 დეკემბრის მდგომარეობით დასაფარი სესხი, წმინდა	5,320	7,128	156	-	-	214
საპროცენტო შემოსავალი სესხებზე	372	356	9	-	-	32
საკრედიტო ზარალის ხარჯი/(შემობრუნება)	64	86	(5)	-	-	(1)
ანაზრები* 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	354	-	-	101
წლის განმავლობაში მიღებული ანაზრები	-	-	-	-	-	365
წლის განმავლობაში დაფარული ანაზრები	-	-	(274)	-	-	(112)
სხვა მოძრაობები**	-	-	-	-	-	-
ანაზრები 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	80	-	-	354
სუბორდინირებული ვალი 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	2,043	-	1,226	2,288
წლის განმავლობაში მიღებული სუბორდინირებული ვალი	-	-	-	-	111	904
წლის განმავლობაში დაფარული სუბორდინირებული ვალი	-	-	(2,043)	-	(1,337)	(1,149)
სუბორდინირებული ვალი 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-	-	-	2,043
მიმდინარე ანგარიშები 31 დეკემბრის მდგომარეობით	468	34,332	1,080	-	1,748	5,382
ანაზრებსა და მიმდინარე ანგარიშებზე საპროცენტო ხარჯი	1	372	103	20	90	325
სუბორდინირებული ვალის საპროცენტო ხარჯი	-	-	-	-	111	264
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო	1	-	2	-	1,091	9
სხვა საოპერაციო ხარჯები	1	-	2	-	336	1

* ანაზრებში შედის ვადიანი ანაზრები და სადეპოზიტო სერტიფიკატები, ასევე შემნახველი ანგარიშები.

** სხვა მოძრაობები მოიცავს იმ თანხებს, რომლებიც აისახა ნაშთებში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მაგრამ არ წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეებს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(ათას ლარში)

25. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სამეურნეო ერთეულებს მიეკუთვნებიან ის ორგანიზაციები, რომლებზეც ჯგუფის აქციონერები გარკვეულ კონტროლს ახორციელებენ და რომლებიც ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის ზედა რგოლის შედგებოდა 7 ადამიანისგან (2017 წ.: 8) და მათი ანაზღაურება მოიცავდა შემდეგს:

	<i>2018</i>	<i>2017</i>
ხელფასები, პრემიები და სხვა მოკლევადიანი სარგებელი	6,546	9,498
სუბორდინირებული ვალის კონტრაქტების შესყიდვისთვის გადახდილი ფულადი პრემია	-	1,760
ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება, სულ	6,546	11,258

26. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	<i>შენიშვნა</i>	<i>სუბორდინირებული ვალი</i>	<i>ფინანსური საქმიანობით გამოწვეული ვალდებულებები, სულ</i>
საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		94,920	94,920
გაცემიდან მიღებული შემოსავალი		11,331	11,331
უცხოური ვალუტის კონვერტაცია		(571)	(571)
სხვა		73	73
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	17	105,753	105,753
გაცემიდან მიღებული შემოსავალი		66,051	66,051
დაფარვა		(122,196)	(122,196)
უცხოური ვალუტის კონვერტაცია		(1,109)	(1,109)
სხვა		(377)	(377)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	17	48,122	48,122

„სხვა“ მუხლი მოიცავს სუბორდინირებულ ვალზე დარიცხული, მაგრამ ჯერ გადაუხდელი პროცენტის ეფექტს. ჯგუფი გადახდილ პროცენტს აღრიცხავს საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადებად.

(ათას ლარში)

27. კაპიტალის მართვა

ბანკის კაპიტალის მართვის მიზანია მუდმივად უზრუნველყოს თავისი გადახდისუნარიანობა, დააკმაყოფილოს საზედამხედველო და შიდა კაპიტალის მოთხოვნები და შეინარჩუნოს კაპიტალის გონივრული მარაგი ბანკის ცნობილი (და, გარკვეულწილად, უცნობი) რისკებისგან დასაცავად.

ბანკის მიერ თავისი მთლიანი კაპიტალის მართვა ეყრდნობა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების შიდა პროცესს, რომელიც წარმოადგენს მისი კაპიტალის მართვის ძირითად ინსტრუმენტს. გარდა ამისა, კაპიტალის სამართავად ბანკი ასევე იყენებს აღდგენის გეგმას, რომელიც შეიცავს საზედამხედველო კაპიტალის კრიტიკულ ზღვრებსა და აღდგენის სტრატეგიებს.

ბანკი ინარჩუნებს და აქტიურად განაგებს კაპიტალის ბაზას ბიზნესთან დაკავშირებული რისკების მართვის მიზნით. ჯგუფის კაპიტალის ადეკვატურობის შემოწმება ხდება სხვადასხვა კრიტერიუმებით, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით.

სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი ბაზელ III-ის მიხედვით

2017 წლის 18 დეკემბერს, სებ-მა გამოსცა და დაამტკიცა ცვლილებები კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ დებულებაში (გადაწყვეტილება #100/04), რომლითაც გადაიხედა მინიმალური კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები, მოიცვა პილარ I-ის მოდელი და განისაზღვრა კაპიტალის კონსერვაციის, სისტემური რისკისა და კონტრციკლური ბუფერები (პილარ I-ის ბუფერები).

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საერთო პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალისა და სრული კაპიტალის კოეფიციენტები განისაზღვრებოდა 4.50%-ით, 6.00%-ითა და 8.00%-ით, შესაბამისი თანმიმდევრობით, რომლებზეც დამატებით ბანკი ვალდებული იყო შეენარჩუნებინა პილარ I-ის ბუფერები და პილარ II-ის მოთხოვნები.

სისტემურობის ბუფერი დაგროვებითი ხასიათისაა და ნაწილდება მომდევნო სამ წელზე. ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრიდან, პირველ წელს შეადგენს 0.6%-ს, და წლიდან წლამდე იზრდება 0.3%-ით 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. კაპიტალის კონსერვაციის ბუფერის განაკვეთი 2.50%-ით, ხოლო კონტრციკლური ბუფერის – 0.00%-ით განისაზღვრა. პილარ I-ის ბუფერებში ცვლილებების შეტანა სებ-ის უფლებამოსილებაა.

2017 წლის 18 დეკემბერს, პილარ I-ის ბუფერებზე დამატებით, სებ-მა ასევე გამოსცა და დაამტკიცა პილარ II-ის მოთხოვნები. პილარ II-ის მოთხოვნები მოიცავს შემდეგ კაპიტალის ბუფერებს: არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი (CICR), წმინდა GRAPE (რისკების შეფასების საერთო პროგრამა) ბუფერი, საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის ბუფერი და წმინდა სტრეს-ტესტის (სტრესგამძლეობის ანალიზი) ბუფერი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი ვალდებული იყო, შეენარჩუნებინა სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი 0.90%-ის ოდენობით, ძირითადად, მომხმარებლებზე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების პროცენტული წილის გამო, საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის ბუფერი (HHI ბუფერი) 0.19%-ის ოდენობით, წმინდა GRAPE ბუფერი 5.50%-ის ოდენობით და წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერი 0%-ის ოდენობით.

(ათას ლარში)

27. კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი ბაზელ III-ის მიხედვით (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბაზელ III-ის მოთხოვნების მიხედვით, ბანკს ევალუბოდა, რომ შეენარჩუნებინა მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური კოეფიციენტი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 17.70%-ის ოდენობით, ასევე პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური კოეფიციენტი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 10.92%-ის ოდენობით, და ძირითადი პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი – რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 8.96%-ის ოდენობით, რაც გამოითვლება ბანკის მიერ სებ-ის მოთხოვნების მიხედვით მომზადებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით. (2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი ინარჩუნებდა კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებს სებ-ის მიერ კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ 2013 წლის 28 ოქტომბერს დამტკიცებული და გამოქვეყნებული დებულების (#100/04 დებულება) შესაბამისად და აკორექტირებდა სებ-ის ნებაყოფლობითი მუხლების მიხედვით, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 30 ივნისიდან. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კაპიტალის ადეკვატურობის მთლიანი კოეფიციენტი, პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი და ძირითადი პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი იყო 17.70%, 14.05% და 13.75%, შესაბამისად).

ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები, სებ-ის ბაზელ II/III-ის მოთხოვნების თანახმად, შემდეგნაირად გამოითვლება:

	<i>2018</i>	<i>2017</i>
ძირითადი პირველადი კაპიტალი	210,610	162,444
დამატებითი პირველადი კაპიტალი	4,565	6,139
პირველადი კაპიტალი	215,175	168,583
მეორადი კაპიტალი	55,994	63,911
სულ საზედამხედველო კაპიტალი	271,169	232,494
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	1,531,726	1,355,391
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	13.75%	11.99%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	14.05%	12.44%
სულ მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	17.70%	17.15%